საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№35 (506)
2 - 8 ოქტომბერი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ოქროს მსოფლიო ბაზარზე რადიკალური ცვლილებებია



14

## «მოლოდინი, თითქოს რაღაც გამონათებები დაიწყო რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, გადაჭარბებულია»

2-3

რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის დათბობა მავანს ძალიან არ უნდა და აუცილებლად მოიფიქრებს მორიგ პროვოკაციას





«არანაირ პერსპექტივას ეს შეხვედრა არ ქმნის, იმიტომ, რომ ზალკალიანმა ხაზი გადაუსვა ყველაფერს»

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## საქართველო ჯერ კიდევ არის ქვეყანა, რომელსაც დღის წესრიგს უდგენენ თეთრი სახლის წინა ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები

4



## თუკი ნაცების გარეშე ქვეყანა იქცევა, მაშ, დაუბრუნეთ მათ ხელისუფლება!

7



ხათუნა ბერძენიშვილის გალუბაელიაშვილება

## ბრიტანელების მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს

16



## გარყვნილების პროპაგანდა განათლების სახელით

6

ვინ და რატომ აპირებს ქართულ სკოლებში სექსუალური განათლების შესახებ საგნის სწავლებას



## ტრამპის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყება მას თეთრ სახლში კიდევ ოთხი წლით ყოფნის გარანტიას აძლევს

11



## პროექტი «გრეტა ტუნბერგი»


9

ამ ბავშვებიდან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ „ბავშვობა მოჰპარეს“

ჩაქუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებამ მწარე რეალობა ბოლომდე გააცნობიერა და, სავარაუდოდ, ამიტომაც იყო, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ რომ თქვა: „არსებობს ორი გზა — იარაღისა და მოლაპარაკების. ჩვენ მოლაპარაკების გზას ვირჩევთ...“ ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებებზე მზადყოფნას გამოთქვამს და, თუ ისე მოხდება, რომ რუსეთის პირველი პირი საქართველოს პრემიერს (და არა პრეზიდენტს) შეხვდება, შეიძლება ძალიან ბევრი რამ ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდეს.**

# რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის დათბობა მავანს ძალიან არ უნდა და აუცილებლად მოიფიქრებს მორიგ პროვოკაციას

## ფრთხილად, ბატონებო, დაწყებული საქმე ჩანასახშივე არ მოკლათ!

**ის, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ვწერდით და ვითხოვდით, როგორც იქნა, აღსრულდა. საქართველო ყოველგვარი მხარეებისა თუ შუამავლების გარეშე რუსეთს დაელაპარაკა. მართალია, ამაში პოზიტიური როლი შვეიცარიამ შეასრულა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მხოლოდ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი — დავით ზალკალიანი და რუსეთის პირველი დიპლომატი სერგეი ლავროვი ისხდნენ. რუსულმა მხარემ ოფიციალურად ისიც დაადასტურა, რომ შეხვედრა ქართული მხარის ინიციატივით გაიმართა. ეს მოწმობს იმას, რასაც ჩვენ ვწერდით — საკმარისია, ქართული მხარე დამოუკიდებლად შეეცადოს რუსეთთან საუბარს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი უარს არ იტყვის. შესაბამისად, პირველივე მცდელობა წარმატებით დასრულდა და ეჭვი გვაქვს, ამ შეხვედრიდან მიღებულ სიკეთეებს, თუ, რა თქმა უნდა, გვაცალეს, მალე ვიგრძნობთ. „თუ გვაცალეს“-ში კი იმას ვგულისხმობთ, რომ ოპოზიციამ უკვე ატეხა ხმაური, როგორც კი ზალკალიანი საქართველოში დაბრუნდება, მაშინვე პარლამენტში უნდა მოვიდეს და მოგვიყვეს, რაზე ისაუბრა ლავროვთანო.**

რატომღაც გვგონია, რომ ზალკალიან-ლავროვის შეხვედრის არაერთი ასპექტი საიდუმლო იქნებოდა და, თუ პარლამენტარები მოითხოვენ, მოსმენა დახურულ ფორმატში გაიმართოს, კი, ბატონო, მაგრამ მაინც გვგონია, რომ, როგორ ფორმატშიც არ უნდა გაიმართოს შეხვედრა, დეპუტატები ამ ამბავს გარეთ მაინც გამოიტანენ და ჭორ-მართალი ერთმანეთში აირევა.

„დღევანდელი შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რომელიც შვეიცარიის მედიაციით შედგა, მნიშვნელოვანია. ის აჩვენებს, რომ არსებობს კონსტრუქციული დიალოგის იმედი, რომელსაც შეუძლია დაძაბულობის შემცირება და სტაბილურობის გაძლიერება, რაც რეგიონში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის სასარგებლოა“, — ეს განცხადება ეუთოს თავმჯდომარე **მიროსლავ ლაიჩაკმა** სოციალურ ქსელში გაავრცელა. შეხვედრას საკმაოდ ორაზროვანი განცხადებით გამოეხმაურა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც.

**„აშშ მიესალმება შეხვედრას, რომელიც შვეიცარიის შუამავლობით გაიმართა. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მოვუწოდებთ რუსეთს, შეწყვიტოს ოკუპაცია და შეამციროს ადმინისტრაციულ საზღვარზე დაძაბულობა“, — დაწერა „ტვიტერში“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მორგან ორტაგუსმა. ანუ, ამერიკა შეხვედრას მხარს უჭერს, მაგრამ იქვე ამბობს, რა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ისაუბრეთო, თემაზე, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაიწელება.**

წელან შვეიცარია ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რატომ არ გვიკვირს ამ ქვეყნისგან ასეთი ნაბიჯი. კარგად თუ დავაკვირდებით, შვეიცარია ნეიტრალიტეტს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ინარჩუნებს. ეს არის დაბანილ-დავარცხნილი ქვეყანა, რომელსაც აქვს ძალიან კარგი ურთიერთობა ყველასთან და მაქსიმალურად ცდილობს, კონფლიქტები დაარეგულიროს და ითამაშოს შუამავლის როლი, რადგან მას არ აქვს არანაირი ინტერესი არც რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის, არც ომის, იარაღი რომ გაყიდოს, არც მსოფლიოზე ბატონობის ამბიცია და ამიტომ მისი შუამავლობა მოულოდნელი არ ყოფილა. მოულოდნელი, შესაძლოა, ეუთოს თავმჯდომარის განცხადება იყო, მაგრამ **ამ შეხვედრას ოფიციალურად, ალბათ, ყველა მოიწონებს, არაოფიციალურად კი ეს ერთი შეხედვით მარტივი შეხვედრა სერიოზული შეშფოთების საგანია მავანთათვის როგორც ამერიკასა და ევროპაში, ისე ჩვენთან. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ ლავროვმა ძალიან მშვიდად განაცხადა: ჩემი ნება რომ იყოს, საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას აღვადგენდიო. ქვეყნის პირველ პირთან შეთანხმების გარეშე ლავროვი ამას რომ არ იტყოდა, ადვილი მისახვედრია, ანუ დათბობის პირველი ნიშანი უკვე გაჩნდა, რაც აუცილებლად ააფორიაქებს ჩვენს დასავლელ „მოკეთეებს“ და ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან, ოდნავ დამთბარი სიტუაცია მალევე გააცივონ.**

არადა, ხელისუფლებამ მწარე რეალობა ბოლომდე გააცნობიერა და, სავარაუდოდ, ამიტომაც იყო, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **გია ვოლსკიმ** რომ თქვა: „არსებობს ორი გზა — იარაღისა და მოლაპარაკების. ჩვენ მოლაპარაკების გზას ვირჩევთ...“ ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებებზე მზადყოფნას გამოთქვამს და, თუ ისე მოხდება, რომ რუსეთის პირველი პირი საქართველოს პრემიერს (და არა პრეზიდენტს) შეხვდება, შეიძლება ძალიან ბევრი რამ ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდეს.

თუნდაც ის რად ღირს, რომ **საჰაერო მიმოსვლის აკრძალვის შემდეგ რუსეთიდან ხორბლის შემოტანა პრაქტიკულად შეწყდა და საქართველოში არსებული მარაგიც ამოიწურა. პურის გარდაუვალი გაძვირების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ სასწრაფოდ გააუქმა მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც ხორბლის სახმელეთო გზით შემოტანა აკრძალული იყო და ახლა, 1 ოქტომბრიდან, ტრაილერების უზარმაზარი ქარავანი დაიძვრება საქართველოსკენ.** ეს ნაბიჯი პურის სავარაუდო გაძვირებას გააჩერებს, მაგრამ ვერ გააჩერებს იმ პროდუქტებზე ფასის მომატებას, რომლებიც, ძირითადად, რუსეთიდან შემოდიოდა. რა თქმა უნდა, სახმელეთო გზით მათი შემოტანა შესაძლებელია, მაგრამ ძვირი ჯდება, რაც ფასებზე აუცილებლად იმოქმედებს. ეს კი ხელისუფლებას აიძულებს, ნაბიჯები გადადგას სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად და, ამ აფეთქებამდე მისულები რომ ვართ, ყველაზე კარგად სწორედ ხელისუფლებამ იცის.

სამწუხაროდ, **გვგონია, რომ ამ ურთიერთობის დათბობას არ გვაპატიებენ და ვინმე აუცილებლად მოიფიქრებს მორიგ პროვოკაციას, რომელზეც ხელისუფლება არ უნდა წამოეგოს. არ უნდა წამოეგოს თუნდაც იმიტომ, რომ მეორე შანსი, შესაძლოა, წლების განმავლობაში აღარ გვექნეს და აუცილებელია, ერთ შეხვედრას მოჰყვეს მეორე და, ქართული მხარის მოთხოვნით, შეხვედრა გაიმართოს უმაღლეს დონეზე პირველ პირებს შორის.** რუსეთის მხრიდან მზადყოფნა რომ არის, ცხადია. მთავარია, საქართველომ გადააბიჯოს „კეთილმოსურნეების“ მიერ დადგენილ დოგმებსა თუ აკრძალვებს, რომლებშიც, წლებია, მოქცეულები ვართ და რომლებსაც ვერ ვარღვევთ.

დღეს რუსეთთან დამაკავშირებელი ლარსის გამშვები პუნქტი, პრაქტიკულად, საგანგებო რეჟიმზეა გადასული, რადგან სამგზავრო თუ სატვირთო მანქანები ამ გზით დადიან. წარმოქმნილი საავტომობილო კოლაფსის გამო, რუსეთი თავისი პუნქტის მოდერნიზებას ცდილობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მზად არის სამომავლო თანამშრომლობისთვის, იმისთვის, რომ თუნდაც სახმელეთო მიმოსვლა მაქსიმალურად კომფორტული და დატვირთული იყოს, ხოლო ლავროვის განცხადება საჰაერო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე პირდაპირი მესიჯია დიალოგის გაგრძელებისკენ. მით უმეტეს, რომ ამას წინათ რუსეთის ოფიციოზმა თქვა: საქართველოსთან ტვირთებთან მიმართებით საჰაერო მიმოსვლის აღდგენა მარტივად არის შესაძლებელი, სამგზავრო მიმართულებით კი უნდა დავილაპარაკოთო. გამოდის, რუსეთი პირველ ნაწილს დათმობს, მეორე ნაწილში კი მოითხოვს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოების გარანტიებს, რაც ყველა ნორმალური ქვეყნის მოთხოვნა იქნებოდა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ რუსეთი ბოლო წლებში საქართველოსთვის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია. ისიც ცხადია, რომ ჩავარდნილი ტურისტული სეზონისა და აკრძალული მიმოსვლის შემდეგ ქართულმა ეკონომიკამ, სულ რაღაც, ერთ კვარტალში მილიარდი დოლარის ზარალი ნახა და, დღევანდელ კურსს თუ გავითვალისწინებთ, ეროვნულ ვალუტაში მილიარდი დოლარი საქართველოს ბიუჯეტის ლამის მეოთხედია. ტურისტების თემას (და არამხოლოდ) საქართველოს პრეზიდენტიც შეეხო. თუ გახსოვთ, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი, რაც ქალბატონმა სალომემ თქვა, იყო ის, რომ იგი რუსეთთან დიალოგს არ აპირებდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მწარე რეალობამ და უკიდურესად მძიმე სოციალურმა ფონმა, როგორც ჩანს, აზრი შეაცვლევინა.

„თუ ჩემი სიტყვა მოისმინეთ, იქ არის ძალიან ნათლად ნათქვამი, რომ ქვეყანას, რომელსაც აქვს ამ ტიპის კონფლიქტი და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი თავის ტერიტორიაზე, აქვს ორი გზა: ერთია ომის და სამხედრო გზა, რომელზეც ჩვენ უარი ვთქვით; მეორე არის დიალოგისა და დიპლომატიის გზა. არ შეიძლება, რომ საქართველომ არ სცადოს ეს გზა და იყოს ჩაკეტილი თავის თავში. ძალიან ნიშანდობლივია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ რეაქციები, ყველა გამოხმაურება, რაც მოვისმინეთ, იქნება ეს ამერიკიდან, სახელმწიფო დეპარტამენტისგან თუ ასევე ევროკავშირის, მოგერინის უწყებიდან ან კიდევ გენერალური მდივნისგან — ყველა გამოხმაურება იყო პოზიტიური, რომ თქვენ უნდა სცადოთ, ჩვენც თქვენთან ვართო. რუსოფობიური განწყობები არ არსებობს საქართველოში და არასდროს არ არსებობდა. ეს ჩემი ერთ-ერთი თემა იყო. ყველგან, სადაც გამოვდივარ, რომ მსოფლიოს ვუთხრათ, ეს ჩვენი შემწყნარებლობა და ტოლერანტობაა. სხვათა შორის, ამის მაგალითია, რომ მილიონ-ნახევარი რუსი ტურისტი შარშან ჩამოვიდა და არც ერთი ინციდენტი არ არსებობს. დანარჩენი არის პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც აშკარაა ორ ქვეყანას შორის და როგორ იქნება სხვანაირად, როცა შენი ტერიტორია ოკუპირებულია? ამაზე უნდა მუშაობა“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ჰოდა, შარშან 1,5 მილიონი რუსი ტურისტი რომ ჩამოვიდა და რატომ იყო, რომ წელს ეს ნაკადი ჩვენი დიდი მეცადინეობით და პირადად თქვენი დამსახურებით (რუსეთს მტერი რომ უძახეთ საერთაშორისო ტრიბუნიდან „გავრილოვის ღამის“ მეორე დილასვე) თავიდან „აგვირიდეთ“, მაგაზეც თუ იტყვით ერთ-ორ სიტყვას, უფრო სწორად, ბოდიშს თუ მოიხდით, ქალბატონო სალომე, არ იქნება ურიგო და, საზოგადოდ, მივიდეთ იქამდე, რომ ნუ ვუყურებთ, ვინ მოიწონებს და ვინ არა შეხვედრებს, მთავარია, ამ შეხვედრებმა ქვეყანას სიკეთე მოუტანოს, ხალხს მოეწონოს და საქართველოს წაადგეს სასიკეთოდ... საქართველოს!



**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ცნობა, რომ ზალკალიანი-ლავროვის შეხვედრა ქართული მხარის ინიციატივით გაიმართა. ეს ზუსტად ის არის, რაზეც ჩვენ გავაკეთეთ აქცენტი, ანუ პოზიტიური შეხვედრის შემდგომ უკვე დაიწყო გადაბრალება: ჩვენ კი არ შევხვდით, თვითონ გვთხოვესო. თავის მხრივ, რუსული მხარე ამბობს, რომ შეხვედრა საქართველოს ინიციატივით გაიმართა. რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ, რომელ მხარეს უფრო სჭირდებოდა ეს შეხვედრა? უფრო კონკრეტულად კი, რისთვის სჭირდებოდა რუსეთს შეხვედრა და რისთვის გვჭირდებოდა ჩვენ? ამიტომ ფრთხილად, ბატონებო, ფრთხილად, დაწყებული საქმე ჩანასახშივე არ მოკლათ!**

„20-30 წლის შემდეგ, ალბათ, რამე შეიცვლება, მაგრამ მაშინ, ალბათ, ქართველები უკვე უმცირესობაში იქნებიან და ნახევარ საუკუნეში დამთავრდება ეს პროცესი... ძველი ეგვიპტელები, ეტრუსკები და პელაზგები გაქრნენ და, ქართველები თუ გაქრებიან, თქვენ გგონიათ, იგრძნობს ვინმე?!“

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# მოლოდინი, თითქოს რაღაც გამონათებები დაიწყო რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, ნამდვილად გადაჭარბებულია. ეს იყო ისევ და ისევ დასავლეთის კარნახით განპირობებული

**26 სექტემბერს საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების უეცარ შეხვედრას, რომელიც ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში გაიმართა და რომლის შესახებაც საგარეო უწყებამ ცნობა რატომღაც პოსტფაქტუმ გაავრცელა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ბევრი ითქვა და დაიწერა იმის თაობაზე, რომ შეხვედრა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში, რაც მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს, რომ მან მომავალში, შესაძლოა, კიდევ უფრო გააღრმავოს დიალოგის პროცესი და მეტი შესაძლებლობები შექმნას მოლაპარაკებების თვალსაზრისით... თუმცა შეფასებების ამ კორიანტელში, იმავე პოლიტიკურ სპექტრში და არა მხოლოდ ოპოზიციურში, მათ შორის ხელისუფლებაშიც, ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლელ „პარტნიორებთან“ მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე ყოველგვარ პირდაპირ დიალოგზე ფიქრი ჩრდილოელ მეზობელთან შეუძლებელია. მეტიც, დაწყებული პრეზიდენტით, დამთავრებული პარლამენტის თავმჯდომარით — ყველამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველომ ჟენევის მოლაპარაკებები არანაირი ორმხრივი დიალოგის ფორმატით არ უნდა ჩაანაცვლოს.**

რაც შეეხება რუსეთის საგარეო უწყების პოზიციას, შეხვედრის შემდეგ მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** მედიასთან განაცხადა, რომ კრემლი მზადაა თბილისთან პირდაპირი დიალოგისთვის, თუ საქართველო არ იქნება ბოლო პერიოდში დასავლეთში მიმდინარე მკვეთრი რუსოფობიური პოლიტიკის ნაწილი: „ჩვენ საქართველოსთან ჩხუბისთვის ხელოვნურ საბაბს არასდროს ვეძებდით და, თუ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს, პასუხისმგებლობით მოეკიდოს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების განვითარებას და არ გაითვალისწინებს რუსოფობების აზრს... მე, პირადად, ავიამიმოსვლას განვაახლებდი...“ შეგახსენებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან პირდაპირი დიალოგისთვის მზადყოფნა ჯერ კიდევ 2014 წელს გამოთქვა, როცა **ვლადიმერ პუტინმა** ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ოფიციალური თბილისისგან შესაბამისი სურვილის შემთხვევაში პრეზიდენტ მარგველაშვილს შეხვდებოდა. თუმცა მარგველაშვილის პასუხი მაშინ ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც დღევანდელი ხელისუფლების პოზიციაა — მარგველაშვილმა დასავლელ „პარტნიორებთან“ კონსულტაციების გარეშე მოლაპარაკებები შეუძლებლად მიიჩნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა გამოირიცხა...

**რა პოლიტიკური დატვირთვა აქვს დღევანდელ ვითარებაში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას და რა პროცესები შეიძლება ამის კვალდაკვალ განვითარდეს? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, ლავროვისა და ზალკალიანის შეხვედრას, რომელიც საკმაოდ უცნაურად გაიმართა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ზოგი თვლის, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯია ორი ქვეყნის ურთიერთობაში, ზოგი პირიქით — საფრთხეებზე საუბრობს... თქვენ როგორ ფიქრობთ, რას მოიტანს ეს შეხვედრა? რა პერსპექტივები შეიძლება ამ ყველაფერმა შექმნას?**

— **არანაირ პერსპექტივას ეს შეხვედრა არ ქმნის და არ ქმნის, პირველ რიგში, იმიტომ, რომ თვითონ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გადაუსვა ყველაფერს, როცა შეხვედრის შემდეგ მედიასთან დადგა და აბსურდული განცხადებების კეთება დაიწყო,** რაც, ჩემი აზრით, ვერანაირ კონტექსტსა თუ ლოგიკაში ვერ ჯდებოდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ეს ადამიანი პრაქტიკულად აჰყვა ჟურნალისტებს და აბსოლუტურად გაუაზრებელი, გაუცნობიერებელი რიტორიკით დაიწყო პოპულისტურად ლაპარაკი. ჯერ ერთი, **რას ნიშნავს ეს დეოკუპაცია, ხომ უნდა იცოდე? ჟურნალისტს რომ არ აქვს წარმოდგენა, გასაგებია, მაგრამ კაცს, დიპლომატი რომ გქვია და ამდენი წელია, სამინისტროში მუშაობ, ელემენტარული რამ მაინც ხომ უნდა გესმოდეს, რომ არ შეიძლება, ასეთი დონის შეხვედრის შემდეგ რაღაც ჭორაობის რეჟიმში აკეთო განცხადებები.** კიდევ ვიმეორებ: **ზალკალიანმა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგ დიპლომატად ჩათვალა ვილაცამ თავის დროზე „ოცნებაში“, თავისი პოპულიზმითა და იაფფასიანი პოლიტიკური ჭორაობით ხაზი გადაუსვა ყველაფერს. მან, ფაქტობრივად, გააბათილა ყველაფერი კარგი, რაც ამ შეხვედრას შეიძლებოდა ჰქონოდა და, ბუნებრივია, ლავროვის მხრიდანაც ამას შესაბამისი პასუხი მოჰყვა. მოგეხსენებათ, ლავროვმა ჟურნალისტებთან ერთგვარი ირონიით განაცხადა, რომ ბატონმა ზალკალიანმა მედიასთან უფრო დიდხანს ილაპარაკა ამ შეხვედრაზე, ვიდრე თვითონ შეხვედრის ხანგრძლივობა იყო.** აი, ეს არის არაჯანსაღი, პოპულისტური განცხადების შედეგი. ასე რომ, მოლოდინი, თითქოს რაღაც გამონათებები დაიწყო რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, ნამდვილად გადაჭარბებულია. რაც შეეხება შეხვედრაზე რეალურად განხილულ თემებს, სავარაუდოდ, იქ უფრო ტექნიკური საკითხები განიხილებოდა, ანუ, მაგალითად, **კარასინის** პენსიაზე გასვლის შემდეგ რა იქნება და როგორ იმუშავებს ფორმატი, ვინაიდან, მოგეხსენებათ, კარასინი უკვე აღარ არის თავის თანამდებობაზე და არსებული მოლაპარაკებების ფორმატში აბაშიძე მარტო დარჩა.

**— წლების განმავლობაში რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან კეთდებოდა მინიშნებები და ღია განცხადებებიც, რომ ისინი მზად არიან საქართველოსთან პირდაპირი დიალოგისთვის, თუმცა ჩვენი ხელისუფლების პოზიცია უცვლელი იყო, — დიალოგი მხოლოდ დასავლელი პარტნიორების ჩართულობით შედგება. დღეს რა შეიცვალა, რატომ მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან შეხვედრა?**

— უწინარესად, შეიცვალა ის, რომ ძალიან განსხვავდება დღევანდელი ვითარება მსოფლიო გეოპლიტიკურ ასპარეზზე 2014 წელს არსებული ვითარებისგან, როდესაც აბსოლუტურად სხვა მიდგომები და პრინციპები განსაზღვრავდა დღის წესრიგს. **დღეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე აღარ ჰყავთ წამქეზებლები ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში და მითითებებსაც, ბუნებრივია, სხვანაირს იღებენ. იქიდან მითითება მოდის, რომ ვითარების გამწვავება უშუალოდ პუტინთან საჭირო არ არის და ცოტა უნდა შერბილდეს დამოკიდებულება.** ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ აქ თუნდაც ფორმალურად უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, თითქოს მხარეებს შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად ხელსაყრელი მდგომარეობა იქმნება. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად, როგორც ჩანს, დაუჯერა არა ვითარების გამწვავებაზე ორიენტირებულ გლობალისტების მძლავრ დაჯგუფებას, რომელიც **ტრამპის** მოსვლამდე სრულ პოლიტიკურ მონოპოლიას ფლობდა ამერიკაში და დიდწილად დღესაც ინარჩუნებს გავლენებს, არამედ უფრო დაუჯერა ტრამპის ადმინისტრაციის სულისკვეთებას. თუმცა ჩვენ, პირველ რიგში, უნდა გვესმოდეს, რომ **ზალკალიანისა და ლავროვის შეხვედრა არ იყო საქართველოს ინტერესებისთვის. ეს იყო ისევ და ისევ დასავლეთის კარნახით განპირობებული, რაც გვერდიდან, შესაძლოა, ტოვებდეს სწორედ საქართველოს ინტერესების შესაბამისი ნაბიჯის შთაბეჭდილებას.** საერთოდ, ის, რომ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ დასავლეთის პოლიტიკა საფუძვლიანად გადაიხედა, მათ შორის, რუსეთისა და ჩინეთის მიმართ, და ეს არ ეხება მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს, აქ გლობალური ეკონომიკის ფაქტორებზეცაა საუბარი, ცხადია, ნიშნავს, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკური კონიუქტურა არსებითად იცვლება. მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც თუნდაც 5-10 წლის წინათ იყო და ამაზე მეტყველებს განცხადება **ემანუელ მაკრონისა**, რომელმაც თქვა, რომ დასავლეთმა უნდა შექმნას უსაფრთხოების ახალი სისტემა.

«ზალკალიანმა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგ დიპლომატად ჩათვალა ვილაცამ თავის დროზე «ოცნებაში», თავისი პოპულიზმითა და იაფფასიანი პოლიტიკური ჭორაობით ხაზი გადაუსვა ყველაფერს. მან, ფაქტობრივად, გააბათილა ყველაფერი კარგი, რაც ამ შეხვედრას შეიძლებოდა ჰქონოდა და, ბუნებრივია, ლავროვის მხრიდანაც ამას შესაბამისი პასუხი მოჰყვა. მოგეხსენებათ, ლავროვმა ჟურნალისტებთან ერთგვარი ირონიით განაცხადა, რომ ბატონმა ზალკალიანმა მედიასთან უფრო დიდხანს ილაპარაკა ამ შეხვედრაზე, ვიდრე თვითონ შეხვედრის ხანგრძლივობა იყო»

**— საქართველოს ადგილი და როლი როგორ წარმოგიდგენიათ ამ ახალ მსოფლიო გეოპოლიტიკურ დღის წესრიგში?**

— სანამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, მინდა, მოკლედ შევეხო იმ ისტერიკას, რომელსაც ლიბერალური ისტებლიშმენტი ატეხავს ხოლმე რუსულ-ქართული ურთიერთობების ვითომ გაუმჯობესების ყველა მცდელობაზე, ისტერიკა და დუჟისნთხევა მაშინ აეტეხათ, როცა დასავლეთში ჩამოწერილი ყოფილი დიპლომატები, როგორებიც არიან, მაგალითად, **კრამერი და ბრაიზა**, თბილისში კონფერენციას მართავდნენ და არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს გახლეჩაზე მსჯელობდნენ. ახლა ჩემთვის სულ არ არის მნიშვნელოვანი ის, რომ კონფერენციაზე ვიცესპიკერი არ შეუშვეს, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რაზე ლაპარაკობდნენ. კიდევ ვიმეორებ: **ისინი ლაპარაკობდნენ საქართველოს გახლეჩასა და გაყოფაზე, ასე რომ, თუ ვინმეს აქვს პრეტენზია ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ რაინდობაზე, სწორედ ამ კონფერენციის გამართვის გამო უნდა აეტეხა წივილკივილი.**

რაც შეეხება შეკითხვას, ერთადერთი, რაც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ამ პოლიტიკური სპექტრის პირობებში, რომელშიც ხელისუფლებასთან ერთად, ცხადია, მისივე ფავორიტი ოპოზიციაც იგულისხმება, ნამდვილად არ მაქვს იმედი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესებს სწორად შეაფასებენ. ისე, რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე როცა ვსაუბრობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ შეცდომებს რუსეთის ხელმძღვანელობაც უშვებს. მე, მაგალითად, არ მესმის, რას ნიშნავს ის, რომ ჯერ თქვეს, ავიამიმოსვლას აღვადგენთო, მერე თქვეს, არაო... კი, სერიოზული დიპლომატია ლავროვი და შეიძლება ბევრ რამეს სწორად და ზუსტად აფასებს, მაგრამ გარკვეულ იმიჯზეც ხომ მოქმედებს, როცა ასეთი თამაში მიდის...

**— ეს ყველაფერი გასაგებია. თქვენი აზრით, რა შედეგებამდე მიგვიყვანს უახლოეს მომავალში ხელისუფლების პოლიტიკა? რა პერსპექტივა აქვს დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს?**

— მე ვიტყოდი, რომ **დღეს საქართველო სრულ ჭაობშია.** პერსპექტივას რაც შეეხება, რა გითხრათ, ალბათ, როგორც ვიყავით 7-10 წლის წინათ, ისევ ისე ვიქნებით. ცხოვრება გაგრძელდება, იქნება შიმშილი, სილატაკე, ნარკოტიკებით გამოთაყვანებული ახალგაზრდობა და მათხოვრებით გავსებული ქალაქები. სხვა ახლა, უფრო შორეულ პერსპექტივაზე თუ მეკითხებით, 20-30 წლის შემდეგ, ალბათ, რამე შეიცვლება, მაგრამ მაშინ, ალბათ, უკვე ქართველები იქნებიან უმცირესობაში და ნახევარ საუკუნეში დამთავრდება ეს პროცესი. ძველი ეგვიპტელები, ეტრუსკები და პელაზგები გაქრნენ და, ქართველები თუ გაქრებიან რა, თქვენ გგონიათ, იგრძნობს ვინმე?! არც არავინ იგრძნობს და არც არავინ იდარდებს. აი, ეს არის ჩვენი პერსპექტივა...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

პოზიცია

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არც ერთმა ღირსეულმა ადამიანმა, რაოდენ დამოკიდებულიც უნდა იყოს ამაზე მისი პოლიტიკური მომავალი, ლიბერალურ დიქტატს თავი არ უნდა დაუხაროს. არ შეიძლება, მოსამართლეობის კანდიდატმა თუ, უბრალოდ, პოლიტიკოსმა ორაზროვანი პასუხებით სცადოს თავის დაძვრენა შეკითხვისგან, რა არის მისთვის 17 მაისი. 17 მაისი საქართველოში არის ოჯახის სიწმინდის დღე, ხოლო ის, რასაც ვიღაცები ჰომოფობიასთან ბრძოლას ეძახიან, ადამიანის გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პროპაგანდაა“



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე ფუნდამენტური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ძვრებისა, საქართველო ჯერ კიდევ არის ქვეყანა, რომელსაც დღის წესრიგს უდგენენ თეთრი სახლის წინა ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები

**ბოლო პერიოდში დასავლეთში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნების მიუხედავად, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ისევ „ლიბერალური“ დიქტატურა რომ არის და როგორც მმართველ გუნდში, ისე მის მიერ ხელდასხმულ „პროდასავლურ ოპოზიციაში“ სწორედ ძველი, დრომოჭმული, მარგინალური სისტემის ჰეგემონია რომ გრძელდება, სულ უფრო აშკარაა.**

ყველა პარტიის, საზოგადოებრივი მოძრაობისა თუ ცალკეული სუბიექტების პერსპექტივას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისევ ერთი პრინციპი განსაზღვრავს — არის თუ არა მისი მოსაზრებები „ნეოლიბერალური“ დღის წესრიგის შესაბამისი. მაგალითად, წინა კვირას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოსმენაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **მირანდა ირემაძეს** „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა რამდენჯერმე კატეგორიულად დაუსვეს შეკითხვა, 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ მიაჩნია თუ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ. ორაზროვანი პასუხის მიუხედავად, რაც ზუსტად იმაზე მეტყველებდა, რომ ირემაძე ფსიქოლოგიურ წნეხში მოექცა, მათ მანამ არ მოისვენეს, სანამ მოსამართლეობის კანდიდატს ხაზგასმით არ ათქმევინეს, რომ 17 მაისი „მათ შორის ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღეც არის...“ (სხვა პასუხის შემთხვევაში, გასაგებია, მის კარიერას რაც ელოდა)... თუმცა შემდეგ ნაცებმა ესეც არ იკმარეს და ირემაძისგან იმაზეც მოითხოვეს პასუხი, თვითონ რომელ დღეს ანიჭებს უპირატესობას... დაახლოებით ასეთივე შინაარსისა და რიტორიკის შეკითხვები დააყარეს რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ გადაცემაში „ლელოს“ დამფუძნებელ **მამუკა ხაზარაძესაც,** რომელიც პოლიტიკაში ჯერ არ ჩართულა და მხოლოდ საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბების სტადიაშია. ორ ცეცხლს შუა მოქცეულმა ბიზნესმენმაც ერთმნიშვნელოვან პასუხს თავი ორაზროვანი განმარტებით აარიდა, თუმცა ხაზარაძის პოლიტიკური ხედვები, გამომდინარე იქიდან, რა სუბიექტებს აფინანსებს იგი თუნდაც ულტრალიბერალი „მწერლებისა“ და „პოეტების“ სახით, ბევრისთვის გასაგებია...

მარტივად რომ ვთქვათ, წლების განმავლობაში განუხრელად გრძელდება გარედან თავსმოხვეული მავნე პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, თუ „ლიბერალურ სტანდარტებში“ არ ან ვერ ჯდება ესა თუ ის სუბიექტი, მას პერსპექტივა არ აქვს. ნებისმიერ პარტიასა თუ სხვა საზოგადოებრივ მოძრაობას ან გაერთიანებას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთვება, ისევ ძველი, დრომოჭმული „ლიბერალური“ ელიტის მკაცრი „ტესტირების“ გავლა უწევს. არადა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა კვლევა ცხადყოფს, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სრულიად მსოფლიოში მოსახლეობის უმრავლესობაში სრულიად საპირისპირო განწყობებია. მეტიც, დასავლეთში, განსაკუთრებით ევროპაში, ანტილიბერალური მოძრაობა, დიდი ხანია, ძირითად პოლიტიკურ დისკურსად იქცა...

რატომ არ იცვლება საქართველოში პოლიტიკური რეალობა დასავლეთში მიმდინარე ძირეული ცვლილებების კვალდაკვალ და რა არის საჭირო იმისთვის, რომ მსგავსი პროცესი ახლო მომავალში აქაც აქტიურად დაიწყოს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, დასავლეთში ძირეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნები მიმდინარეობს, საქართველოში კი ისევ „ლიბერალური“ დიქტატურაა და ნებისმიერი პარტიისა თუ ცალკეული ფიგურის პოლიტიკურ მომავალს ისევ ამ დიქტატურის ერთგულება განსაზღვრავს. მაგალითად, გასულ კვირაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ მირანდა ირემაძეს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ნაციონალებმა ერთგვარი ფსიქოლოგიური ტერორი მოუწყვეს შეკითხვით — 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა თუ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე?.. რა არის მიზეზი იმის, რომ ეს მავნე პოლიტიკური დღის წესრიგი განუხრელად გრძელდება? რატომ არ იწყება აქაც ისეთი ცვლილებები, როგორიც უკვე მიმდინარეობს დასავლეთში?**

— ვინაიდან გლობალისტურ-ლიბერალური ძალების დომინაცია ქვეყანაში კვლავ საგრძნობია, გასაკვირი არ უნდა იყოს ამ ძალების მხრიდან ნებისმიერი სახის აგრესიული გამოვლინება კონსერვატული განწყობების ზრდაზე. ის საშინელი ისტერიკული რიტორიკა, რომელიც, ბოლო რამდენიმე წელია, გვესმის ამ ლიბერალური დღის წესრიგის დამქაშებისგან, მათი იდეოლოგიის აღსასრულის მომასწავებელი პოლიტიკური აგონიაა. ეს რაც შეეხება დასავლეთში მიმდინარე პროცესებს, ახლა — საქართველო: მე ვერ ვიტყოდი ერთმნიშვნელოვნად, რომ ევროპაში, ამერიკაში გლობალისტური დღის წესრიგი დასრულდა და საქართველოში ეს საერთოდ არ იგრძნობა. არა, იქაც არის ჯერჯერობით სერიოზული პრობლემები და იცით, რომ, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვების ძველი ინერცია, ძველი სისტემის გადმონაშთი. ლიბერალური იდეოლოგიის კრიზისი ვახსენე და ამ იდეოლოგიის მესვეურებმა გააფთრებული ბრძოლა კონსერვატიული ფლანგის წინააღმდეგ დაიწყეს 2007 წელს, როდესაც **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა ერთპოლუსიანი სამყაროს დასრულების აუცილებლობაზე. იმის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი აგრესია თანამედროვე დასავლური სამყაროსი, რომლის პოლიტიკური ველიც დიდწილად ისევ მონოპოლიზებულია გლობალისტური ისტებლიშმენტის მიერ, მიმართულია სწორედ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ქვეყნისა, რომელიც მსოფლიოში ერთგვარ ლოკომოტივად იქცა ანტიგლობალისტური მოძრაობის, ანტილიბერალური განწყობებისა და იდეების...

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მაინც გადაჭარბებულია ლიბერალური ისტებლიშმენტის ისტერიკა „რუსული პროპაგანდის“ მასშტაბებზე?**

— ცხადია, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ანტილიბერალური განწყობების გაძლიერება „რუსული პროპაგანდის“ შედეგი არ არის, ვთქვათ, უნგრეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთში... თუმცა ფაქტია: ბოლო ათი წლის განმავლობაში სწორედ რუსეთია ის ქვეყანა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოუნელებელ ლუკმად ექცა მსოფლიოს „ლიბერალურ“ დიქტატს — ამ ერთი ქვეყნის სახით, ფაქტობრივად, დედამიწის ერთ მეექვსედზე აიკრძალა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა სოროსის ფონდი, შეიზღუდა მისი პროექტები და, რაც მთავარია, უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული არაერთი ორგანიზაცია გამოცხადდა საფრთხედ, რის შემდეგაც, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში, მათ დაეკისრათ საქმიანობის დეკლარირების ვალდებულებები. აი, ამ ყველაფერმა, კიდევ ვიმეორებ, დაარტყა ათწლეულების განმავლობაში გაბატონებულ რეპრესიულ იდოლოგიას, რასაც მოჰყვა ჯაჭვური რეაქციები სხვა ქვეყნებში, თუმცა ის **ისტერიკა, რომ თურმე ყველგან და ყველაფერში რუსული პროპაგანდაა, რა თქმა უნდა, აბსურდულია. ანტილიბერალურ განწყობებს არ აძლიერებს არც რუსული და არც სხვა პროპაგანდა, ანტილიბერალური განწყობების მთავარი წყარო თვითონ არის ხრწნადი და აგრესიული ნეოლიბერალიზმი.** რაც შეეხება იმას, რომ მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე ფუნდამენტური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ძვრებისა, აქ ისევ „ლიბერალური სტანდარტებით“ ხდება ადამიანების შერჩევა ამა თუ იმ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, ეს მდგომარეობა ჩემთვის უცხო არ არის. წლების წინათ, როცა სახალხო დამცველობის კანდიდატი ვიყავი, ჩემ მიმართ ნდობის გამოცხადება-არგამოცხადების საკითხი პირდაპირ გადიოდა

> **«ანტილიბერალურ განწყობებს არ აძლიერებს არც რუსული და არც სხვა პროპაგანდა, ანტილიბერალური განწყობების მთავარი წყარო თვითონ არის ხრწნადი და აგრესიული ნეოლიბერალიზმი»**

სა, მიუხედავად საზოგადოებაში არსებული მზარდი კონსერვატიული განწყობებისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ სერიოზულად დგას **დონალდ ტრამპის** იმპიჩმენტის საკითხი. კი, ამერიკელ მოსახლეობაში დიდია მხარდაჭერა კონსერვატიული იდეებისადმი; კი, დომინანტი სწორედ ეს იდეოლოგიაა და ლიბერალიზმის დიქტატურა კრახს განიცდის, მაგრამ იდეოლოგია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში სრულ პოლიტიკურ მონოპოლიას ფლობდა, ცხადია, ასე იოლად ვერ ამოიძირკვება. გლობალისტური ძალები ჯერ კიდევ სერიოზულადაა წარმოდგენილი სენატში, სასამართლოებში, ფედერალურ სარეზერვო სისტემასა და სხვა მნიშვნელოვან სტრუქტურაში, რომელიც მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს.

თუმცა აქ მნიშვნელოვანია ერთი მომენტი, რომელსაც ჩვენი ბოლოდროინდელი პოლიტიკური პრაქტიკა ცხადყოფს: **საქართველო ჯერ კიდევ არის ქვეყანა, რომელსაც დღის წესრიგს უდგენენ თეთრი სახლის წინა ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები.** აქ საუბარია ისეთ პოლიტიკურ ფიგურებზე, როგორებიც არიან, მაგალითად, **კრამერი, ბრაიზა, ვერშბოუ** და სხვები. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სწორედ ჩემს თვალსაზრისზე ლგბტ-ების უფლებების მიმართ. თუმცა ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ **არც ერთმა ღირსეულმა ადამიანმა, რაოდენ დამოკიდებულიც უნდა იყოს ამაზე მისი პოლიტიკური მომავალი, ლიბერალურ დიქტატს თავი არ უნდა დაუხაროს. არ შეიძლება, მოსამართლეობის კანდიდატმა თუ, უბრალოდ, პოლიტიკოსმა ორაზროვანი პასუხებით სცადოს თავის დაძვრენა შეკითხვისგან, — რა არის მისთვის 17 მაისი. 17 მაისი საქართველოში არის ოჯახის სიწმინდის დღე, ხოლო ის, რასაც ვიღაცები ჰომოფობიასთან ბრძოლას ეძახიან, ადამიანის გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პროპაგანდაა.**

**— მოსამართლეობის კანდიდატ მირანდა ირემაძეს ან ბანკირ მამუკა ხაზარაძეს პირდაპირ რომ ეთქვათ, 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა და არავითარ ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს არ ვაღიარებთო, რა დაემუქრებოდა მათ პოლიტიკურ მომავალს?**

— საერთოდ, სასამართლო სისტემა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში აბსოლუტურად დამოუკიდებელი არ არის და ყველგან ექვემდებარება გაბატონებულ პოლიტიკურ კლასს. საქართველოს რაც შეეხება, ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არ ვართ და ნებისმიერი მოსამართლე, ირემაძე იქნება ის თუ გაბადაძე, სწორედ გაბატონებული სისტემის ნაწილია. ისე, **ის, რომ მოსამართლეობის კანდიდატები შიშით ცახცახებენ იურიდიულ კომიტეტში მოსმენაზე და ისინი კუთხეში ჰყავთ მიმწყვდეული „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს, გვაფიქრებინებს, რომ ეს ადამიანები ყურმოჭრილი მონები იქნებიან. ახლა წარმოიდგინეთ, ის ადამიანი, რომელსაც დააბნევს ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც ნაციონალი გოცირიძეა, და ვერ გაბედავს თავისი პოზიციის გამოხატვას გარყვნილების პროპაგანდაზე, სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას პრინციპული იქნება?**

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მავნე პოლიტიკური პრაქტიკა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს?**

— საღი ძალების გამარჯვება ხრწნად ლიბერალურ უმცირესობაზე დამოკიდებულია ამ ძალების ერთიანობისა და სოლიდარობის ხარისხზე. ამაში ყველა ვთანხმდებით და მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ შევუძახო ყველა კონსერვატულ ძალას: ჩვენ გვჭირდება ფართო კოორდინაცია; **გვჭირდება მრგვალი მაგიდა, რომ დავსხდეთ და შევაჯეროთ პოზიციები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამოვდივარ წინადადებით, რომ უახლოეს მომავალში ზეპარტიულ მისიად ვაქციოთ შეკრება და ჩამოყალიბება ეროვნული ინტერესების ყველა თეზის, რომლის აღსრულებაც იქნება პროგრამული მინიმუმი. სხვანაირად, იმ პირობებში, როცა ლიბერალური დიქტატურა გრძელდება და სულ უფრო აგრესიული ხდება, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება ვერ წარმომიდგენია.** ეს ერთი. მეორე — რაც არ უნდა კრახით დასრულდეს ამ სისტემის არსებობა, თუ ეროვნულ-კონერვატიული ძალები კოორდინირებულად არ იმოქმედებენ, ყოველთვის იქნება საფრთხე, რომ ძველი, მიხრწნილი და დრომოჭმული სისტემიდან გარკვეულმა სუბიექტებმა მოახერხონ ახალ რეალობაში ადაპტირება. ამის მცდელობის ნიშნებს უკვე ვხედავთ და ეს ადაპტაცია მნიშვნელოვნად გააფუჭებს პოლიტიკურ ატმოსფეროს...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

**წინა დღეს გაეროს გენანსამბლეის ტრიბუნიდან „რიხიანი“ გამოსვლის შემდეგ, როცა გაპრეზიდენტებულ კლოუნს ეგონა, რუსეთისგან ქვა-ქვაზე არ დავტოვეო, სრულიად მსოფლიოს გასაგონად „ძია სემი“ რომ გეტყვის — წადი, ბიძიკო, მისამართი შეგეშალა, „ძიაძია ვოვა“ ნახეო (ციტატა: „ვიმედოვნებ, შეხვედებით პუტინს და მოაგვარებთ პრობლემას“), საერთოდ, რაზეა საუბარი?! გაიგეთ, ხალხო? 40-წუთიან შეხვედრაზე არც ერთი მინიშნება არ ყოფილა იმაზე, რომ უკრაინა კვლავ მსოფლიოს საერთო თავის ტკივილია — ვიმედოვნებ, შეხვდებით და მოაგვარებთ პრობლემასო, და არც ერთი აუგი რუსეთის პრეზიდენტზე.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რა კაცს გადუწყდეს იმედი,
იქ სასწაულის ჯერია“

*თუშთაგან თქმული*

# საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველების, როგორც ერის, უპირველესი ამოცანაა, გეოპოლიტიკურ ნანგრევებში არ მოყვეს ისე, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა

**ყირიმის რუსეთთან მიერთება — ოკუპაცია-ანექსია თუ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა? რუსეთის მტრების გადმოსახედიდან ეს, რა თქმა უნდა, აგრესორი რუსეთის მიერ სუვენერული უკრაინის ტერიტორიის მიტაცებაა, ხოლო, რუსეთის მხარდამჭერთა აზრით, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რადგან ყირიმი არასოდეს ყოფილა უკრაინის. ყირიმის ნახევარკუნძული 1957 წელს, ე.წ. დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავზე სსრკ-ის გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ვოლუნტარისტული ბრძანებით „უფეშქაშა“ საბჭოთა უკრაინას. მიუხედავად რუსეთის მტერ-მოყვარეთა აზრებისა თუ თქვენი მონა-მორჩილის ლირიკულ-ისტორიული წიაღსვლებისა, რომ იტყვიან, ფაქტი ჯიუტია — ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის სუბიექტია და ეს საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება.**

ყირიმის თემა დახურულია და რუსეთი არავისთან აპირებს ამ თემაზე უბრალო საუბარსაც კი. ეს არაერთხელ განუცხადებია რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** და, მიუხედავად უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე „დემოკრატიული დასავლეთის“ (წაიკითხე, აშშ) ბაქიბუქისა, სინამდვილეში ნელ-ნელა და სულ უფრო ხშირად დასავლეთიც, ზემოხსენებული დე ფაქტო მოცემულობის გათვალისწინებით, პრაგმატულად თანამშრომლობს „ტოტალიტარულ რუსეთთან“ და ამის დასტურად, სხვა რომ არაფერი, ამას წინათ ევროსაბჭოში რუსეთის ზარ-ზეიმით დაბრუნების ფაქტიც კმარა... ყოველი ზემოთ თქმული სამწუხარო რეალობა რომ არის, კიდევ ერთი დასტური იყო რამდენიმე დღის წინათ გაეროში უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრის ამსახველი კადრები, რადგანაც... გასაგები და ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს სხვადასხვა პოლიტიკური ზომა-წონა აქვთ და, აქედან გამომდინარე, მათ შორის არააფიშირებული, პროტოკოლით შენიღბული, მაგრამ უფროს-უმცროსობა მაინც არსებობს — მაგალითად, რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას თანასწორთა რანდევუ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ერთმაც, მეორემაც და მესამემაც (მსოფლიოს პოლიტისტებლიშმენტი) მათი ადგილი დიდი პოლიტიკის კიბეზე სად, რომელ საფეხურზეცაა, კარგად იციან, მაგრამ ის, რაც იმ დღეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ხდებოდა, უკეთეს შემთხვევაში სკოლის დირექტორის კაბინეტში ცუღლუტი ბავშვის დაბარება-დამუნათებას ჰგავდა, ხოლო უარესში...

**წინა დღეს გაეროს გენანსამბლეის ტრიბუნიდან „რიხიანი“ გამოსვლის შემდეგ, როცა გაპრეზიდენტებულ კლოუნს ეგონა, რუსეთისგან ქვა-ქვაზე არ დავტოვეო, სრულიად მსოფლიოს გასაგონად „ძია სემი“ რომ გეტყვის — წადი, ბიძიკო, მისამართი შეგეშალა, „ძიაძია ვოვა“ ნახეო (ციტატა: „ვიმედოვნებ, შეხვედებით პუტინს და მოაგვარებთ პრობლემას“), საერთოდ, რაზეა საუბარი?!** გაიგეთ, ხალხო? 40-წუთიან შეხვედრაზე, არც ერთი მინიშნება არ ყოფილა იმაზე, რომ უკრაინა კვლავ მსოფლიოს საერთო თავის ტკივილია — ვიმედოვნებ, შეხვდებით და მოაგვარებთ პრობლემასო, და არც ერთი აუგი სიტყვა რუსეთის პრეზიდენტზე. რა ვიცი, აბა, რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ, რბილად რომ ვთქვათ, იმედგაცრუებას? ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქედან ჩვენ რა, **ზელენსკის** (უკრაინის) იმედგაცრუება საქართველოს დაიმედებას ნიშნავს და თუ არა, მაშ, რა საჭიროა უკრაინის პოლიტიკის ვრცელი მიმოხილვა და, წინამდებარე წერილის სათაურიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, არც ერთი სიტყვა საქართველოზე? — იკითხავს მკითხველი და ერთი შეხედვით, სამართლიანადაც, მაგრამ... **მსოფლიოს გეოპოლიტიკა, აშშ-რუსეთის მეცადინეობით, ჩვენ თვალწინ ნელა, მაგრამ განუხრელად იცვლება. ხატოვნად თუ ვიტყვით, მსოფლიოში პოლიტიკური ტექტონიკური ძვრები დაიწყო. პროცესი, რომელიც, გვინდა თუ არა, საქართველოსაც შეეხება ან უკვე გვეხება. ტექტონიკა მეტნაკლებად, მაგრამ მაინც ნგრევას ნიშნავს და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველების, როგორც ერის, უპირველსი ამოცანაა, გეოპოლიტიკურ ნანგრევებში არ მოყვეს ისე, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა (ლიბერასტებისგან მოსალოდნელი წყევლა-კრულვის მიუხედავად, გავბედავ და გავიმეორებ ვლადიმერ პუტინის შეფასებას), როდესაც მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედიის, სსრკ-ის დაშლისას ნანგრევებში მოვყევით.** თუმცა არა, თუ გასული საუკუნის 90-ან წლებში საბჭოთა კავშირის „ნანგრევებში“ მოყოლილი ქართველი ერის ენერგია ფენიქსივით ფერფლიდან „აღსადგომად“ საკმარისად გადაურჩა განადგურებას, მოსალოდნელი გლობალური მასშტაბის პოლიტიკურ-ზნეობრივი „მიწისძვრა“ ისეთი დამანგრეველი იქნება, რომ შესაძლოა, არათუ სახელმწიფომ, არამედ ქართველმა ერმა არსებობა შეწყვიტოს. საზოგადოებას შევახსენებ ჩემ მიერ ადრე გამოქვეყნებულ სტატიას „კოკავ, შენ გეუბნები, ლიტრავ, შენც გეყურებოდესო“, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ მოლდოვის მიმართ გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე შეიქმნა. რუსეთის პირველმა დიპლომატმა განაცხადა: რუსეთი თანახმაა, ე.წ. დნესტრისპირეთის ავტონომია სუვერენულ-ნეიტრალური მოლდოვის შემადგენლობაში დაბრუნდესო.



## საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას ევროკავშირ-ნატოს ქიმერის დევნაზე, რამაც ლამის 30 წლის განმავლობაში, ნგრევის, ტერიტორიების დაკარგვის, მორალურ-ზნეობრივი გათახსირების გარდა, სხვა არაფერი მოგვიტანა

**რუსეთი თანახმაა, მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მოლდოვასთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა გაცილებით რთულია (დნესტრისპირეთისგან განსხვავებით, რუსეთს სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს), კრემლის სიგნალი კიშინიოვის მიმართ, თბილისისთვისაც უნდა იყოს საყურადღებო... ყურადღება ყურადღებად, მაგრამ ქმედება?**

ისევე, როგორც ყირიმი აღარასოდეს დაუბრუნდება უკრაინას, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს პერსპექტივაში, ასევე იმ სტატუსით, როგორითაც საბჭოთა საქართველოში შედიოდა სოხუმი და ცხინვალი (ანუ, როგორც ავტონომიური რესპუბლიკები), აღარასოდეს დაბრუნდება ისინი თანამედროვე საქართველოს შემადგენლობაში. როგორც გინდათ და ვისაც გინდათ, ისე გაიგეთ, რა იარლიყიც გინდათ, ის მომაკერეთ, ეს სამწუხარო რეალობაა და ამ ახალი რეალიების გათვალისწინებით უნდა იყოს განპირობებული საქართველოს ქმედება თუ უმოქმედობანი და, ვინც საპირისპიროს ქადაგებს, ის ან შეუგნებელი ურა-პატრიოტია, ან უარესი — ქვეყნის შეგნებულ-განათლებული მტერი.

**დაკარგულის დაბრუნება კი არა, რაც ჯერ კიდევ ჩვენია, ისიც არ დავკარგოთ, ასეა საქმე!**

ქვეყნის გადარჩენის კონკრეტული რეცეპტები არ მაქვს, მაგრამ, საზოგადოდ, იმის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, რომ **საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას ევროკავშირ-ნატოს ქიმერის დევნაზე, რამაც ლამის 30 წლის განმავლობაში, ნგრევის, ტერიტორიების დაკარგვის, მორალურ-ზნეობრივი გათახსირების გარდა, სხვა არაფერი მოგვიტანა.** ქიმერის დევნაზე უარის თქმის მხრივ თითქოს ყინული დაიძრა — 15 სექტემბერს აშშ-ის საელჩოსთან გაიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებული, პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო მასშტაბის საპროტესტო აქცია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მგონია, ზემოხსენებულ გაეროს გენანსამბლეაზე კულუარებში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების, რომ იტყვიან, ტეტ-ა-ტეტ შეხვედრა (პრესისთვის დახურული). ამან ააფეთქა არასაპარლამენტო, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და ასევე ე.წ. ევროპული საქართველო — **გიორგი ბარამიძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა** და ა.შ. ის ადამიანები ითხოვენ პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანის** დაბარებას და მისგან „ატჩოტის“ ჩაბარებას, რომლებიც სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან და, პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა ისხდნენ და თვითონ უნდა აბარებდნენ „ატჩოტებს“ პროკურორებს.ოხ, **ბიძინა ივანიშვილო!..** ეს ახვრები თავის დროზე პოლიტიკურ სანაგვეზე რომ არ გაისტუმრე, მოუშორებელ ჭირად გვექცნენ. საქმეში საქართველოს დედაეკლესიის მიშნაცი მეუფე ყანდურებიც ჩაერთნენ — ე.წ. მეუფე **პეტრემ,** როგორც სამღვდელო პირმა კი არა, როგორც ნაცების პროკურორმა, ისე ისაუბრა „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში — ციანიდის მოყვარული მღვდელი რატომ არ შეიწყალა პრეზიდენტმაო და ბიძინა ივანიშვილი ხომ, საერთოდ, რომ იტყვიან, „კუბოში ჩადო“, რა თქმა უნდა, ვერც მართლმადიდებელი რუსეთი გადაურჩა მეუფე პეტრე-ყანდურის რისხვას...

**ვნახოთ, ეყოფა კი გამბედაობა „ქართული ოცნების“ იმ ნაწილს, რომელიც დავით ზალკალიანის უკან იგულისხმება — დაუპირისპირდება საქართველოს პარლამენტის ლიბერასტ დეპუტატებს და განაგრძობს რუსეთთან ე.წ. რეალპოლიტიკის კეთებას თუ კვლავ დაექვემდებარება ნაცების შანტაჟს და გაეროს ეპიზოდი ეპიზოდად დარჩება ნაცების ნარატივის შიშით — რუსეთთან დიალოგი გინდა? — ესე იგი, სამშობლოს მოღალატე ხარ...**

**დავით მხეიძე**

**P.S. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გაეროს ტრიბუნიდან მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „მომავალი არ ეკუთვნის გლობალისტებს, მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს!“ მხოლოდ ეს განცხადებაც კმარა საიმისოდ, რომ ვთქვათ: აშშ ახალი პოლიტიკის კეთებას იწყებს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი რომ აქვს დონალდ ტრამპს, აშკარაა. რაც შეეხება უბედურ საქართველოსა და ქართველებს, ჩემი აზრით, ახლა ე.წ. სამხედრო მიუმხრობლობისა და გნებავთ, ნეიტრალიტეტის დრო აღარ არის. დღეს სწორედ სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმხრობის დროა. ჩვენმა გმირმა წინაპრებმა მრავალი საუკუნის განმავლობაში უქარქაშო ხმლების უილაჯო ქნევის შემდეგ ქართველი ერის პოლიტიკურ-ეროვნულ-ეკონომიკური მომავალი ერთმორწმუნე დიდ რუსეთს დაუკავშირა და არც შემცდარან — ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი გადაგვარების აშკარა საფრთხის წინაშე მდგარი ქართველი ერის გადარჩენა მართლაც სასწაული იყო. დღესაც 200 წლისწინანდელი საფრთხეების წინაშე მდგარ, უიმედობით მოცულ საქართველოს ისევ სასწაული თუ იხსნის; სასწაული, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გავითავისებთ სენტენციადქცეულ ანდაზას: „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“.**

**„არ გიყვარდეს რუსეთი, — წერდა დიდი ილია 1899 წელს, — რომელმაც ჩვენ სიმშვიდე დაგვიმკვიდრა და წინსვლის პირობები შეგვიქმნა, ეს ნიშნავს გამოამჟღავნო არა მხოლოდ დასაძრახი უმადურობა და პოლიტიკური სიბეცე, არამედ შენი სამშობლოსადმი სიძულვილიც. ვისაც ნამდვილად უყვარს საქართველო, მის ბედზე გული შესტკივა და მისი კეთილდღეობა სურს, მას არ შეიძლება არ უყვარდეს რუსეთი“...**

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, ის კი არ უნდა ვასწავლოთ, როგორ დაიწყონ ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრება უსაფრთხოდ და როგორ აირიდონ არასასურველი აბორტი, არამედ ის, რომ არასრულწლოვნისთვის სექსუალური ცხოვრების დაწყება დაუშვებელია; უნდა ვასწავლოთ, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა და ფიქრიც და საფუძველიც სწორედ ოჯახის შექმნისკენ ჰქონდეთ მიმართული და არა სხვა რამისკენ.**

# გარყვნილების პროპაგანდა განათლების სახელით

## ვინ და რატომ აპირებს ქართულ სკოლებში სექსუალური განათლების შესახებ საგნის სწავლებას

**გახსოვთ, ალბათ, რა ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ საქართველოს სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნება, მაგრამ თურმე სადა ვართ, რა დაბრუნდა, რის დაბრუნდა... ჩვენც და თქვენც ისე მარტივად მოგვატყუეს, რომ ტაში უნდა დავუკრათ. ხელისუფლებას ტაში უნდა დავუკრათ იმის გამო, რომ ტყუილი ხელოვნების დონეზე აიყვანა და ისე ოსტატურად გაგვაცურა, თქვენი მოწონებული.**

თურმე გოგებაშვილის „დედა ენა“ სავალდებულო კი არ არის, ის, უბრალოდ, დაუშვეს და ახლა სკოლის დირექტორების გადასაწყვეტია, პირველკლასელები რომელი წიგნით ისწავლიან — გოგებაშვილის თუ სხვა ავტორების მიერ დაწერილი სახელმძღვანელოთი. ასობით სკოლის დირექტორმა თავი, უბრალოდ, არ შეიწუხა, არ მოითხოვა გოგებაშვილის „დედა ენა“ და ამიტომ ყველა სკოლაში ეს წიგნი არ არის. ვერ გეტყვით, მშობლებმა რატომ არ მოსთხოვეს დირექტორებს სკოლებში გოგებაშვილის „დედა ენის“ შეტანა, მაგრამ, საზოგადოდ, მშობლები თითქოს პასიურ როლში გადავიდნენ. ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობთ და იმის ახსნასაც შევეცდებით, რით არის მშობლების პასიურობა გამოწვეული...

**ბელგიის ერთ-ერთ თეატრში ბავშვებს „ხელოვნება“ წარუდგინეს, რომელიც მოიცავდა სექსუალური სახის სცენებს ქალსა და მამაკაცს შორის. თეატრში დადგეს წარმოდგენა, რომელზეც წაიყვანეს ბავშვები და შუა სცენაზე გაშიშვლდნენ უფროსები და კლასიკური (ან არაკლასიკური) სექსი გააჩაღეს. ამან ადგილობრივების უკმაყოფილება გამოიწვია. შოკისმომგვრელი და სკანდალური სცენები ქვეყნის ვიდეოპორტალებზე აიტვირთა, რომლებიც უმალვე დაიბლოკა. ყველა საინფორმაციო საშუალებას აეკრძალა მსგავსი სახის სცენების ტირაჟირება, რომელსაც ბავშვები ესწრებიან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ბელგიაში მოხდა.**

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე ამერიკის რამდენიმე შტატში მშობლები გაიფიცნენ და სასკოლო პროგრამიდან სექსუალური განათლების საგნის ამოღება მოითხოვეს. ამერიკელი მშობლების აზრით, ამ პროგრამამ ვერ გაამართლა, პირიქით — უარყოფითად იმუშავა. აღნიშნული პროგრამის შემდეგ, მოსწავლეებში შემცირდა სექსუალური ცხოვრების დაწყების წლოვანება, გახშირდა ძალადობის შემთხვევები. ერთადერთი, რაც გაუმჯობესდა, არასრულწლოვნებში აბორტის გაკეთების მაჩვენებელია, ანუ ბავშვებმა (ჰო, ბავშვებმა) თავის დაცვა ისწავლეს.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, გეტყვით, რომ **საქართველოში აბორტების რაოდენობის სტატისტიკა არსებობს და ის წელიწადში დაახლოებით 25 ათასია. ანუ, წლის განმავლობაში 25 ათას სიცოცხლეს ვიმეტებთ სასიკვდილოდ და, ვისაც ჰგონია, რომ თუნდაც ერთი კვირის ნაყოფი ადამიანის სიცოცხლე არ არის, სჯობს, კარგად გაერკვეს ადამიანის ანატომიაში და ჩანასახის გულისცემას ერთხელ მაინც მოუსმინოს. ცუდი კიდევ ის არის, რომ ამ 25 ათასში არცთუ მცირე წილი არასრულწლოვნებს უდევთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არასრულწლოვანთა გათხოვების რაოდენობაც არ არის მცირე.** მართალია, ამაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა საქართველოში, რის გამოც ასე თუ ისე არასრულწლოვნებზე ქორწინების სტატისტიკა შემცირდა, მაგრამ იქნებ ამ მიმართულებით კანონი უფრო გამკაცრდეს და როგორმე აბორტის გაკეთება მოექცეს რეგულაციებში. **ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, ის კი არ უნდა ვასწავლოთ, როგორ დაიწყონ ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრება უსაფრთხოდ და როგორ აირიდონ არასასურველი აბორტი, არამედ ის, რომ არასრულწლოვნისთვის სექსუალური ცხოვრების დაწყება დაუშვებელია; უნდა ვასწავლოთ, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა და ფიქრიც და საფუძველიც სწორედ ოჯახის შექმნისკენ ჰქონდეთ მიმართული და არა სხვა რამისკენ.**

ამ ყველაფერს კი იმიტომ ვამბობთ, რომ **ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან საქართველოს სკოლებში სექსუალური განათლების საგნის სწავლება. დღეს რასაც აპროტესტებენ იმავე ბელგიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, ჩვენ შემოგვაქვს, ჩვენ ვამკვიდრებთ. ამ ქვეყნებმა, რომლებმაც ეს გზა გაიარეს და თქვეს, რომ არ ვარგა, ქვეყნებმა, რომლებსაც ვბაძავთ და დემოკრატიაში ვეჯიბრებით, უარი თქვეს ამ ყველაფერზე და ქუჩის აქციებით ცდილობენ ამ სიბინძურის ალაგმვას.** სხვათა შორის, ამერიკის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმაც** განაცხადა, რომ ის მშობლების მხარესაა. შტატებში ოფიციოზიც და მოსახლეობაც მიხვდა, რომ ბავშვებზე ექსპერიმენტის ჩატარებამ არ გაამართლა; რომ არ შეიძლება, 10-12 წლის გოგო-ბიჭებს შიშველი სხეულები აჩვენო გაკვეთილზე და სასქესო ორგანოებზე ლექციების კურსი ჩაუტარო. ისინი მიხვდნენ, **ჩვენ კი არ გვჯერა და იმ დანაღმულ ველზე, რომელზეც ევროპა და ამერიკა უკვე აფეთქდა, ჩვენც გვინდა გავლა. რაც მთავარია, ბავშვებით, ანუ საკუთარი მომავლით ვრისკავთ და ვრისკავთ ისე, რომ შედეგებზე გათვლას არ ვაკეთებთ.**



> **არასამთავრობო სექტორი განათლების სამინისტროს ამ საგნის რამდენიმე სკოლაში საპილოტე პროგრამად შეტანას სთხოვს. შეიტანენ ათამდე სკოლაში, იტყვიან, — კატასტროფული არაფერი ხდებაო და შემდეგ ამ საგნის სწავლება მასობრივი და აუცილებელი იქნება. ჰო, აუცილებელი იქნება სექსუალური განათლება მაშინ, როცა აუცილებელი არ არის გოგებაშვილის «დედა ენა» და საგანი დირექტორთა კეთილ ნებაზე მიაგდეს**

თუ გახსოვთ, წლების წინათ საქართველოშიც დადგეს ანალოგიური წარმოდგენა, რომელშიც დედიშობილა ადამიანები სცენაზე დარბოდნენ. მართალია, მაშინ წარმოდგენაზე ბავშვების მიყვანა არ მოუთხოვიათ, მაგრამ, რომ არა საზოგადოების მძაფრი რეაქცია, ამასაც მოითხოვდნენ. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდებით, **რატომ აპირებენ საქართველოში მორიგი ექსპერიმენტის ჩატარებას, ექსპერიმენტისა, რომელმაც ევროპასა და ამერიკაში არ გაამართლა და შედეგებიც ნახეს?!** ალბათ, სხვა რამ უნდათ, გაიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კბილებით არ შეეცდებოდა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი ამ თემის გატანას და უცხოელი პარტნიორების დახმარებით ამის პროპაგანდას არ დაიწყებდა. რომ არა უცხოელი ლობისტები, განათლების სამინისტროში, მშობლების ზეწოლით არაერთხელ დაბლოკილი თემა აღარ უნდა წამოწეულიყო, მაგრამ ყოველ წელს მიდის ამის განხილვა და ჯერჯერობით განათლების სამინისტრო ვერ ბედავს საბოლოოდ ბეჭედი დასვას და სექსუალური განათლება სკოლებში დაუშვას.**

ჩვენი ინფორმაციით, **არასამთავრობო სექტორი განათლების სამინისტროს ამ საგნის რამდენიმე სკოლაში საპილოტე პროგრამად შეტანას სთხოვს. შეიტანენ ათამდე სკოლაში, შემდეგ იტყვიან, კატასტროფული არაფერი ხდებაო და შემდეგ ამ საგნის სწავლება მასობრივი და აუცილებელი იქნება.** ჰო, აუცილებელი იქნება სექსუალური განათლება მაშინ, როცა აუცილებელი არ არის გოგებაშვილის „დედა ენა“ და საგანი დირექტორთა კეთილ ნებაზე მიაგდეს.

ისე, ევროპის არაერთ ქვეყანაში არის ეროტიკული თეატრი, სადაც მსახიობები ლამის დედიშობილა დადიან და მაყურებელიც არ აკლიათ, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ჩვენებები დახურულია და იქ არასრულწლოვნებს არ უშვებენ; მეორეც, ბევრგან ამან არ გაამართლა და, სადაც ამართლებს, კი აკეთებენ ფულს. სავარაუდოდ, ეს იყო მიზანი საქართველოში ჩამოსული ეროტიკული თეატრისა, მაგრამ იდეამ ფიასკო განიცადა. ახლა კი...

ახლა საქმე ისეა, რომ კვლავ საომარი გვაქვს ჩვენი შვილების მომავალი. იქნებ, ამ ყველაფრის პარალელურად, **განათლების სამინისტრომ ისიც აგვიხსნას, რატომ მოატყუა სრულიად საქართველო და რატომ არ არის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებისთვის სავალდებულო?** თვითონაც ხომ ნახეს, როგორი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ამ ინიციატივას? მაგრამ ბოლომდე ვერ გარისკეს, ბოლომდე ვერ ქნეს, რომ წიგნი, რომელზეც ის თაობა გაიზარდა, რომელიც სწორედ ბევრ უმსგავსობას ებრძვის ხმალამოღებული, ყველა სკოლაში დაებრუნებინა. რაც ყველაზე საინტერესოა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შეძენა რეგიონებში პრობლემაა. **მშობელს თუ სურს, რომ სხვა წიგნის პარალელურად შვილი გოგებაშვილის „დედა ენასაც“ აზიაროს, არ გამოუვა, რადგან კიდევ ვიმეორებთ: რეგიონებში გოგებაშვილის წიგნს, პრაქტიკულად, ვერ იშოვით, არ იყიდება და იმიტომ. ესეც ერთგვარი ჩანაფიქრი გვგონია იმ ადამიანებისა, რომლებიც ყველაფერ ქართულს ებრძვიან.**

კიდევ გავიმეორებთ: **იმ ევროპამ და იმ ამერიკამ, რომლებსაც დემოკრატიით ვეტოლებით, რომლებსაც, პრაქტიკულად, ყველაფერში ვბაძავთ, უარი თქვეს ისეთ რამეზე, რომელმაც მათი შვილების მომავალზე უარყოფითი გავლენა იქონია; უარი თქვეს პროტესტით, უარი თქვეს სახელმწიფოს ჩარევითა და აკრძალვებით. ჩვენ კი მაინც ვცდილობთ, რომ ექსპერიმენტი ჩავატაროთ, მორიგი გრანტი მივიღოთ და ბავშვებს ვიმეტებთ პრინციპით „ხვალემ იფიქროს ხვალისა“.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** აბორტის სრულიად აკრძალვა, სავარაუდოდ, არ გამოვა და უდიდესი პრობლემა იქნება, მაგრამ ამის მოქცევა რეგულაციებში ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მერამდენედ უნდა გავიმეოროთ, რომ იმ დემოგრაფიული ტემპით, რომლითაც ახლა მივდივართ, საქართველოს გადაშენება ემუქრება და ეს დასკვნა, როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტატისტიკოსებს მაგიდაზე უდევთ.

> **განათლების სამინისტრომ ისიც აგვიხსნას, რატომ მოატყუა სრულიად საქართველო და რატომ არ არის იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა» სკოლებისთვის სავალდებულო**

**ნამდვილად არავის სჯერა ამ სისულელისა, რომ მან ტელევიზიის ჩამოშლის შიშით არ გაუშვა იქიდან ნაც-აქტივისტი თანამშრომლები. სამწუხაროდ, ამის მიზეზი ზოგადია და მხოლოდ ტელესფეროს არ მოიცავს. ასე რომ არა, აბა, მიპასუხეთ: კარგი, იქ ისედაც მყოფი ნაცთანამშრომლების სამსახურიდან გაყრის მოერიდა თუ შეეშინდა, ჯანდაბას, მაგრამ „სიცრუის მანქანის“ ყოფილი შეფის — ნინო შუბლაძისა და „ნაციონალური მოძრაობის“ თავგადაკლული მეხოტბე ხათუნა ბერძენიშვილის მიყვანა არხის წამყვან პოზიციაზე რა ძალამ აიძულა ქიბარს? მათი მიყვანის გარეშეც ჩამოიშლებოდა ტელევიზია?**



ბაქურ სვანიძის
საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუკი ნაცების გარეშე ქვეყანა იქცევა, მაშ, დაუბრუნეთ მათ ხელისუფლება!

## (ხათუნა ბერძენიშვილის გალუბაელიაშვილება)

**არ ვიცი,ზუსტად რამდენი ნაცი თანამშრომელი გყავთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სადაც უნდა მუშაობდეთ, ვინც ამ წერილს კითხულობთ, მით უფრო, თუ საჯარო სექტორში ხართ, თქვენს სამსახურში, სულ ცოტა, 70 პროცენტი მაინც იქნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, აქტივისტი ან თუნდაც ამ პარტიის წევრი და, შესაძლოა, რომელიმე რგოლის ხელმძღვანელიც კი.**



ნინო შუბლაძე და ხათუნა ბერძენიშვილი

**ქალბატონი, რომელიც ქიბარ ხალვაშმა ნაცების მიერ მიტაცებულ და უკან დაბრუნებულ «რუსთავი 2»-ში სამუშაოდ მიიწვია, «ნაციონალური მოძრაობის» წევრი, ნაციონალების მიერ ჯერ «პირველ არხზე» დასმული, შემდეგ კი კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშნული, მოგვიანებით «ნაციონალური მოძრაობის» ეგიდით კრწანისის რაიონში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ხათუნა ბერძენიშვილია... ხათუნა ბერძენიშვილი ჟურნალისტთა წრეში ცნობილია, როგორც უკმეხი, უკულტურო, «სწერვა» და გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას მონა**

საიდან ვიცი? რა დიდი ცოდნა უნდა ამას?! აკი ჩვენი „საოცნებო“ ხელისუფალნი ყოველ ფეხის ნაბიჯზე სწორედ მაგას გვიმტკიცებენ, — სადაც ნაცები არ იქნებიან, იქაურობა ჩამოიშლება და გაფარჩაკდებაო. ბოლო პერიოდის ყველაზე ნათელი მაგალითია ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და მისი ძველი ახალი მფლობელი **ქიბარ ხალვაში.** როდესაც საზოგადოების არაერთმა წარმომადგენელმა სოციალური ქსელების საშუალებით მას კითხვა დაუსვა, თუ რატომ დატოვა ტელევიზიაში სამუშაოდ ნაციონალების ცნობილი პროპაგანდისტები და მიშას ბრმად მოტრფიალე პერსონები, ქიბარ ხალვაშის პასუხი ასეთი იყო: **„აბა, რა მექნა, ყველანი რომ გამეშვა, ხომ ჩამომეშლებოდა ტელევიზია?!“** მოდი, პირდაპირ ვთქვათ: ეს არის პირწმინდად გოიმურ-ქაჯური მიდგომა და, ვინც ასე ფიქრობს, ტელევიზია კი არა, ორი ბატი არ უნდა ჩააბარო.

ჯერ ერთი, არაფრისმაქნისი **ალეკო მალხაზიშვილის**, სრულიად უწიგნური **ნიკა არაბიძისა** და ნულს ქვემოთ ინტელექტიანი **ვახო ბიჭიკაშვილის** გაშვების რომ გეშინია იმ ფიქრით, რომ „ტელევიზია ჩამოგეშლება“, ძალიან დიდი სისულელეა.

მეორე — **როდესაც იცი, რომ ეს ადამიანები ბაჩო ახალაიას ნაჩუქარი იარაღებით ყელყელაობდნენ და მოსახლეობასაც აშინებდნენ: ვინც მიშას ხმას არ მიცემს, კოჭებს დავუხვრეტთო, ტელევიზიის ჩამოშლის ფასადაც კი არ უნდა აზოგინო შენს ტელევიზიაში, თუკი თავმოყვარეობა გაქვს. ადამიანები, რომლებიც პირადად შენზე ღადაობდნენ და შაყიროზდნენ, როდესაც მიშამ ყველაფერი წაგართვა და შენს მილიონიან ქონებას ცეცხლი წაუკიდა.**

და მესამეც — მართლაც რომ წასულიყო მაგ ტელევიზიიდან ყველა, არ გაყიდულიყვნენ და გაყოლოდნენ **ნიკა გვარამიას** ისე, რომ შენთვის არც მოესმინათ, მაშინ რას აპირებდი? ჩამოგეშლებოდა ტელევიზია, ველარააწყობდი და დახურავდი? კითხვები, რა თქმა უნდა, რიტორიკულია და **ნამდვილად არავის არ სჯერა ამ სისულელისა, რომ მან ტელევიზიის ჩამოშლის შიშით არ გაუშვა იქიდან ნაც-აქტივისტი თანამშრომლები. სამწუხაროდ, ამის მიზეზი ზოგადია და მხოლოდ ტელესფეროს არ მოიცავს. ასე რომ არა, აბა, მიპასუხეთ —კარგი, იქ ისედაც მყოფი ნაცთანამშრომლების სამსახურიდან გაყრის მოერიდა თუ შეეშინდა, ჯანდაბას, მაგრამ „სიცრუის მანქანის“ ყოფილი შეფის — ნინო შუბლაძისა და „ნაციონალური მოძრაობის“ თავგადაკლული მეხოტბე ხათუნა ბერძენიშვილის მიყვანა არხის წამყვან პოზიციაზე რა ძალამ აიძულა ქიბარს? მათი მიყვანის გარეშეც ჩამოიშლებოდა ტელევიზია?**

ნინო შუბლაძე კიდევ ჯანდაბას, დიდი ხნის „გადაბირებული“ ჰყავს „ოცნებას“, მაგრამ ხათუნა ბერძენიშვილის ამოტივტივება რაღა იყო?

ვინც არ იცის, შევახსენებ: **ხათუნა ბერძენიშვილი** „პირველ არხზე“ სულით და ხორცით ნაცის, **გია ჭანტურიას,** დირექტორობის პერიოდში საინფორმაციო გამოშვების უფროსი იყო და უმაქნისი ჭანტურიას პირობებში მთელ ტელევიზიას, ფაქტობრივად, ის განაგებდა. **ხათუნა ბერძენიშვილი ჟურნალისტთა წრეში ცნობილია, როგორც უკმეხი, უკულტურო, „სწერვა“ და გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას მონა.**

სწორედ **გიგი უგულავამ** წარადგინა ხათუნა ბერძენიშვილი კრწანისის რაიონის გამგებლად 2013 წელს, როდესაც იგი „პირველი არხიდან“ ახალარჩეულმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა გაუშვა. მოგვიანებით ხათუნა ბერძენიშვილი „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამოყოფილი „ევროპული საქართველოს“ პრესსპიკერიც გახდა.

დიახ, არაფერი გეჩვენებათ **— ქალბატონი, რომელიც ქიბარ ხალვაშმა ნაცების მიერ მიტაცებულ და უკან დაბრუნებულ „რუსთავი 2“-ში სამუშაოდ მიიწვია, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, ნაციონალების მიერ ჯერ „პირველ არხზე“ დასმული, შემდეგ კი კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშნული, მოგვიანებით „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით კრწანისის რაიონში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ხათუნა ბერძენიშვილია.**

და ის ქიბარ ხალვაშის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირმა, „რუსთავი 2“-ის ახალმა გენერალურმა დირექტორმა **პაატა სალიამ** საზოგადოებას წარუდგინა, როგორც „დიდი პროფესიონალი და სატელევიზიო საქმის, განსაკუთრებით კი, საინფორმაციო პროგრამების უბადლო მცოდნე“. ფაქტობრივად, ნაცი ხათუნა ბერძენიშვილი წარმოგვიდგინეს იმ პერსონად, ურომლისოდაც „რუსთავი 2“-ს, უბრალოდ, არსებობა არ შეუძლია და მის გარეშე ტელევიზია დაიქცევა და დაიღუპება.

ზემოთ ვთქვი, რომ მხოლოდ ტელესფეროში არ ხატავენ ასეთ სურათს „ოცნების“ წარმომადგენლები და სწორედ ესაა ჩვენი ქვეყნის მთავარი უბედურება დღეს. 2012 წლიდან დღემდე მოვლენებს ყურადღებით თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც პირადად **ბიძინა ივანიშვილსაც** არწმუნებენ, რომ, თუკი ყოფილ ნაცებს არ გადაიბირებენ და მათ არ ჩააბარებენ ამა თუ იმ სფეროში წამყვან პოზიციებს, ეს სფერო ჩავარდება, ჩამოიშლება, დაინგრევა და დაიქცევა!

დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია ასეთია:

*** თუ პროკურატურაში არ დავტოვებთ ნაცების პროკურორებს, პროკურატურა ვერ იმუშავებს ეფექტიანად;**

* თუ შინაგან საქმეთა სამინისტროდან დავითხოვთ ნაციონალ ზონდერ-პოლიციელებს, პოლიცია ველარ შეძლებს დამნაშავეების დაჭერას;

*** თუ სასამართლოებში ნაცების მონა მოსამართლეებს არ მივანიჭებთ „უვადო მოსამართლეების“ სტატუსს, სასამართლო საერთოდ დაგვეშლება და ქართულ სამართალს დედა ეტირება;**

* თუ საგარეო საქმეთა სამინისტროდან დავითხოვთ ნაცდიპლომატებს, მსოფლიო საქართველოს წინააღმდეგ აღდგება;

*** თუ თავდაცვის სამინისტროდან გავყრით ნაცების ერთგულ სამხედროებს, საქართველო გახდება თავდაცვის უუნარო ქვეყანა;**

* თუ ეკონომიკის სფეროდან განვდევნით ნაცების წარმომადგენლებს, მთელი ეკონომიკა გაპარტახდება.

მოკლედ, ნაციონალები ყოფილან ყველაზე მაგრები, ყველაზე პროფესიონალები, ყველაზე ქმედითები და ყველაზე ეფექტიანები.

და ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეუბნებიან ან თავიანთი გადაწყვეტილებებით ამას ასე წარმოგვიჩენენ „ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები!

კითხვა მაქვს მათთან: **აბა, რას ერჩოდით ამ ნაციონალებს? რატომ ჩამოართვით ხელისუფლება? ან ახლა რა გინდათ? თუ მაინც ყველგან და ყველაფერში ნაცებს ეყრდნობით, ბარემ დაუბრუნეთ მათ ხელისუფლება და წადით, ბიძიკო, სახლში!**

რაც მთავარია — ასეთ პირობებში რატომ გიკვირთ და გაქვთ პრეტენზია, უნიათოებსა და უუნაროებს რად გვიწოდებს საზოგადოებაო?! აბა, თუ ნაცების გარეშე სასამართლოც თავზე გექცევათ, პროკურატურაც, შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებიც, ტელევიზიებიც და ყველაფერი, უნიათოები და უერთადგილოები გამოდიხართ, სხვა რა?! ან ნიკა გვარამიასგან რა გინდოდათ?! როგორც ქიბარ ხალვაშმა განაცხადა, ეგ ტელევიზია მომგებიანი არ არის, 70 მილიონი აქვს ვალი და მეპატრონეს ვერანაირ ფინანსურ სარგებელს ვერ მოუტანს. ესე იგი, ერთადერთი მიზანი, რომლის გამოც ხალვაში და კომპანია ამდენს იბრძოდა, ეს იყო სამართლიანობა და სიმართლე. ქიბარ ხალვაშს არა მატერიალური მიზნით, არამედ მხოლოდ იმიტომ სურდა ტელევიზიის დაბრუნება, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო და საზოგადოებაც ამიტომ უჭერდა მას მხარს. ჰოდა, თუკი მთელი ნაციონალური აქტივი მაინც დარჩა ამ ტელევიზიაში, ბარემ ემართა ის ნიკა გვარამიას თავის ჭკუაზე, განსხვავებას ხედავთ ვინმე რამეს?

ეგ კი არა, ერთი ნაცტელევიზიის ადგილზე სამი ნაცტელევიზია წარმოიქმნა: ერთი „ქიბარ-რუსთავი 2“, მეორე — ნიკა გვარამიასა და **ჟორიკა რურუას** „მთავარი არხი“ და მესამე — **დავით კეზერაშვილისა** და **მიშა მშვილდაძის** „ფორმულა ტვ“, რომელიც, როგორც ამბობენ, მალე დაიწყებს მაუწყებლობას. არ სჯობდა, ყოფილიყო ნაცების ერთი და მიჩვეული არხი?

სხვათა შორის, ჩემთვის საკვირველი მხოლოდ ქიბარ ხალვაშის საქციელი არ არის; კიდევ უფრო მეტად მიკვირს **ნათია ლაზაშვილისა**, რომელმაც თავის დროზე ჯერ „რუსთავი 2“ დატოვა პროტესტის ნიშნად, როდესაც იქ დირექტორობიდან **ნიკა ტაბატაძე** გადააყენეს და **კოზა დავარაშვილი** დანიშნეს, შემდეგ კი „მეცხრე არხიც“ ასევე პროტესტით დატოვა, როდესაც იქიდან **კობა ბექაური** გაუშვეს და **ლუბა ელიაშვილი** მიიყვანეს... ორივე შემთხვევაში ლაზაშვილი ტელევიზიიდან წასვლის მიზეზად თავისუფლების ხარისხის მოსალოდნელ შეზღუდვას და ახალ ხელმძღვანელებთან შეუთავსებლობას ასახელებდა.

ჰოდა, **როგორ დავიჯერო, რომ ნათიას ახლა კარგი და გადასარევი შეთავსება აქვს ნაცების ყოფილ ჩინოსან ხათუნა ბერძენიშვილთან?! რომ მასთან ძალიან „თავისუფალია“ და მხოლოდ ლუბა ელიაშვილი იყო მისთვის მიუღებელი მონსტრი?!**

ისე, კონკრეტულად ნათია ლაზაშვილს თავი რომ დავანებოთ, საკვირველია, საზოგადოდ, რატომ არ ფიქრობს არც ქიბარ ხალვაში ან ვინმე კეთილისმყოფელი „ოცნებიდან“ როგორ არ ურჩევს მას, რომ მსგავსი საქციელი და აშკარა ნაცების ასე „გაჯეჯილება“ მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ძალიან ცუდ შედეგებს იძლევა.

შვიდი წელიწადი იმის ძახილი, რომ ნაცების გარეშე თავზე გვემხობა ყველაფერი, აშკარად დიდი გოიმობისა და მძიმე ქაჯობის მაჩვენებელია. სავარაუდოდ და სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ვერც ქიბარი, ვერც ბიძინა და ვერც, საზოგადოდ, „ოცნება“ ამაზე მას შემდეგაც ვერ დაფიქრდებიან, როდესაც ხათუნა ბერძენიშვილი მორიგ ლუბა ელიაშვილად გადაექცევათ.

დღის თემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპერაცია „წარმოუდგენელი“ (ინგლისურად: OPERATION UNTHINKABLE) კოდური სახელწოდებაა თავდაცვით-შეტევითი გეგმის, რომელიც ინგლისისა და აშშ-ის მიერ შემუშავებული იყო თავიანთი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1945 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, ე.ი. იმ პერიოდში, როცა საბჭოთა არმია ტრიუმფალურად მიიწევდა ბერლინისკენ ფაშისტური ბუნაგის გასანადგურებლად.**

# შეიძლება ვენდოთ რუსეთს? ანუ კოაბიტირებული ბოკერიას საცოდავი ჯახირი

**ზუსტად ერთი კვირის წინათ, ანუ 2019 წლის 25 სექტემბერს, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის მეთერთმეტე წლისთავზე, გაეროს „მოლაპარაკების სივრცეში“ ერთმანეთს პირველად შეხვდნენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრები — ზალკალიანი და ლავროვი (თბილისელი კაცი, როგორებიც მის გამინისტრებამდე იყვნენ ივანოვი, პრიმაკოვი და, რა თქმა უნდა, შევარდნაძე).**

როგორც იქნა, გავბედეთ და დიპლომატიის ამ დანაღმულ ველზე შევაბიჯეთ რუსეთ-საქართველოს შორის დაპირისპირების უაღრესი დაძაბულობისა და „ოკუპირებულ ზონებში ბოლო თვეების განმავლობაში ვითარების უკიდურესად გართულების ფონზე“.

როგორც ჩანს, ჩვენი ელექტრონული მედიისთვის დიპლომატიური გარღვევის ეს ფაქტი მოულოდნელი იყო, რადგან იმ დღის საინფორმაციო ტელეეთერი თითქმის მთლიანად პარლამენტში მომხდარ მორიგ სკანდალს დაეთმო, რომელიც ძალიან ჰგავდა ნიკოლაი გოგოლის მოთხრობის „როგორ წაეკიდა ივან ივანოვიჩი ივან ნიკიფოროვიჩს“ მიხედვით დადგმულ სამოყვარულო სპექტაკლს **ეკა ბესელიათი** და **ვანო ზარდიაშვილით** მთავარ როლებში.

ძალიან ნატურალისტური იყო.

სამაგიეროდ, **„ორი ქვეყნის პირველი დიპლომატების შეხვედრას“ შაბლონური კრიტიკით აღჭურვილი დახვდა ნაცების ანასხლეტების ლიდერი გიგა ბოკერია: ამ შეხვედრიდან კარგს არაფერს ველოდები, რადგან რუსეთი ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების მუხანათური დარღვევით არის ცნობილი (დაახლოებით ასე თქვა), და ამას ისტორია ადასტურებსო (ზუსტად ასე).**

**ტელეაუდიტორიის მოტყუებას შეეცადა.**

ამაოდ.

რადგან ისტორიას ამ საკითხში აბსოლუტურად განსხვავებული ფაქტები აქვს აღნუსხული.

მაგალითისთვის განვიხილოთ „დიდი სამეულის“ იალტის ხელშეკრულების დაცვის თემა მეორე მსოფლიო ომის დასრულების პერიოდში. **ვნახოთ, სამთაგან რომელმა მხარემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამოკავშირეო ვალდებულებები — აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა (ერთი მხრივ) თუ საბჭოთა კავშირმა (მეორე მხრივ), რომლის მუხანათობის საყოველთაო ჭეშმარიტებად გასაღებას შეეცადა თვითკმაყოფილი მარიონეტი გიგა ბოკერია.**

ვინმეს მონაყოლი კი არ ვირწმუნოთ, დოკუმენტებს გავეცნოთ, ათეული წლების განმავლობაში გასაიდუმლოებული რომ იყო.

## ოპერაცია „წარმოუდგენელი“

ოპერაცია „წარმოუდგენელი“ (ინგლისურად: Operation Unthinkable) კოდური სახელწოდებაა თავდაცვით-შეტევითი გეგმის, რომელიც ინგლისისა და აშშ-ის მიერ შემუშავებული იყო თავიანთი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1945 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, ე.ი. იმ პერიოდში, როცა საბჭოთა არმია ტრიუმფალურად მიიწევდა ბერლინისკენ ფაშისტური ბუნაგის გასანადგურებლად.

საბჭოთა კავშირისთვის დასავლეთელ მოკავშირეთა მიერ ზურგში დანის ჩარტყმის კლასიკური მაგალითი იყო ეს ოპერაცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **უინსტონ ჩერჩილის** დავალებით შეადგინა დიდი ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის გაერთიანებულმა შტაბმა, ისე, რომ ამის შესახებ სხვა შტაბებმა არაფერი იცოდნენ.

ინგლისის მთავრობა 1998 წლამდე კატეგორიულად უარყოფდა ამგვარი გეგმის არსებობას. დღეს კი მასთან დაკავშირებული დოკუმენტები დიდი ბრიტანეთის ეროვნულ არქივში ინახება და ყველასთვის მისაწვდომია.

შეტევის გეგმის უშუალო ამოცანა პოლონეთიდან საბჭოთა ჯარების „ძალისმიერი“ განდევნა იყო და, ამასთან ერთად, დასავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების შეჭრის შემთხვევაში თავდაცვის ღონისძიებებს ითვალისწინებდა. **ზოგიერთ წყაროში შეტევის ოპერაცია განიხილებოდა, როგორც მესამე მსოფლიო ომის დაწყების გეგმა.** ამაზეც მიდიოდნენ დასავლეთელი მოკავშირეები.

## ომი მთავრდება, გეშინოდეთ ახალი მსოფლიო ომის

1945 წლის აპრილიში წითელი არმია სრულად აკონტროლებდა პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ნაწილობრივ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებს. 13 აპრილს საბჭოთა ჯარებმა აიღეს ავსტრიის დედაქალაქი ვენა, 16 აპრილს კი დაიწყეს ბერლინის შტურმის ოპერაცია. 25 აპრილს საბჭოთა და ამერიკის ჯარის ნაწილები მდინარე ელბასთან, ქალაქ ტორგაუში შეხვდნენ ერთმანეთს.

წყნარ ოკეანეში იაპონიის ჯარებს დაატოვებინეს, პრაქტიკულად, ყველა ოკუპირებული ტერიტორია, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გაანადგურეს. მაგრამ იაპონიის სახმელეთო ჯარები ჯერ კიდევ დიდი ძალა იყო, რომელთა დამარცხებას ჩინეთში და თვით იაპონიის კუნძულებზე, ამერიკის სარდლობის გათვლით, დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, ომი 1947 წლამდე გაგრძელდებოდა. იალტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმა ივალდებულა, გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ გაელაშქრა იაპონიის წინააღმდეგ აშშ-ის დასახმარებლად, რაც პირნათლად შეასრულა.

**ჩერჩილის შეფასებით, ფაშისტური გერმანიის დამარცხებით „კომუნისტურმა რუსეთმა და დასავლეთის დემოკრატიებმა დაკარგეს საერთო მტერი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მათი კავშირის გამაერთიანებელი თითქმის ერთადერთი რგოლი იყო“. მისივე დასკვნით, „რუსეთის იმპერიალიზმისა და კომუნიზმის დოქტრინას“ არაფერი დააბრკოლებდა საბოლოოდ გაბატონების გზაზე.**



შეხვედრა ელბაზე

**რუსეთის, როგორც მუხანათი მოკავშირის ცნება, ისტორიული აკვიატებულობიდან მოდის. ხოლო სანიმუშო და სამაგალითო მოკავშირე, რა თქმა უნდა, დასავლეთია. და ეს «სანიმუშო მოკავშირე» სამთა კავშირის წევრის სსრკ-ის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან ომსა და თავდასხმას ამზადებს**

ასეთი პერსპექტივის წინაშე მდგარი „დასავლეთის დემოკრატიების“ მთავარი ამოცანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრება იყო და უინსტონ ჩერჩილმა დაავალა სამხედრო კაბინეტის გაერთიანებულ შტაბს, შეემუშავებინა სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების გეგმა.

შტაბმა ჩერჩილის დავალება ოპერატიულად შეასრულა: 22 მაისისთვის დეტალური გეგმა ჩერჩილს წარუდგინეს. ეს იყო მაღალპროფესიულ დონეზე შედგენილი სრულყოფილი სამხედრო დოკუმენტი, რომელშიც **ამომწურავად იყო შეფასებული არსებული ვითარება, ჩამოყალიბებული იყო ოპერაციის მიზნები, გარკვეული იყო დასავლეთელ მოკავშირეთა ჯარების შემადგენლობა, დარტყმების მიმართულება, წითელი არმიისა და დასავლეთის მოკავშირეთა არმიების (ნაწილების) ადგილმდებარეობა, აგრეთვე, კარტოგრაფიული მასალები.**

ე.ი., ეს გეგმა იდეის დონეზე კი არ იყო შედგენილი, არამედ წარმოდგენილი იყო, როგორც მასშტაბური სამხედრო ოპერაციის პრაქტიკულად განსახორციელებელი პროგრამა.

## ისტორიული აკვიატებულობა

ინგლისურ დოკუმენტებში, როგორც წესი, საბჭოთა არმიის ნაცვლად გამოიყენებენ ტერმინს „რუსეთის არმია“: საბჭოთა კავშირი ასოცირდება საბჭოთა რუსეთთან. აშკარაა, რომ დასავლეთის პარტნიორების დამოკიდებულება ყოფილ საბჭოეთთან დღეს ექსტრაპოლირებულია რუსეთის ფედერაციაზე.

რუსეთის, როგორც მუხანათი მოკავშირის ცნება, ისტორიული აკვიატებულობიდან მოდის.

ხოლო სანიმუშო და სამაგალითო მოკავშირე, რა თქმა უნდა, დასავლეთია.

და **ეს „სანიმუშო მოკავშირე“ სამთა კავშირის წევრის — სსრკ-ის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან ომსა და თავდასხმას ამზადებს.**

დოკუმენტურად ირკვევა, რომ აღნიშნული ოპერაციის ძირითად საერთოპოლიტიკურ მიზნად პოლონეთის მიმართ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულების საბჭოთა კავშირისთვის თავსმოხვევა იყო. **თუმცა იმავე გეგმის შემდგენელის მტკიცებით: „შესაძლებელია, რომ ორი ქვეყნის „ნება“ განხილული იყოს უშუალოდ პოლონეთთან დაკავშირებულ საქმეედ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ (კონფლიქტში) ჩვენი ჩარევის ხარისხი უეჭველად შეზღუდული იქნება... მზად უნდა ვიყოთ ტოტალური ომისთვის: „თუ (რუსებს) სურთ ტოტალური ომი, ისინი მას მიიღებენ“.**

აი, ასეთი ერთგული მოკავშირე იყო დასავლეთი.

ასეთი პირისგამტეხი და ზურგში დანის ჩამცემი მოკავშირე იყო რუსეთი.

ეს — ბოკერიას განცხადების გამო, ისტორიის მოშველიებით რომ სურდა, დაემტკიცებინა თავისი „პრინციპული“ პოზიცია ზალკალიან-ლავროვის პირველი შეხვედრის მიმართ.

მაგრამ აქ წერტილის დასმა ნაადრევია.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების გეგმის და, რაც მთავარია, იდეის ავტორები რეალისტები არიან და იციან, რომ მოკავშირეთა (აშშ, დიდი ბრიტანეთი) ძალები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე სუსტია) და სსრ კავშირთან დაპირისპირების შემთხვევაში მათ წარმატებას უზრუნველყოფს მოულოდნელობის ეფექტი და ჯარებისა და ავიაციის მართვის უპირატესი ცოდნა. ამ შემთხვევაში ინგლისელები და ამერიკელები შეძლებენ, მიაღწიონ დანციგ-ბრესლაუს საერთო ხაზს. **თუ ამ ხაზის დასავლეთით წითელი არმია საბოლოოდ არ დამარცხდება, მაშინ ტოტალური ომი გარდუვალია.**

**ეს ვარიანტიც გათვალისწინებული აქვთ და შეგნებულად მიდიან მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაზე.**

მშვიდობისა და დემოკრატიის მტრედები!

მართალია, ამ ვარიანტს განიხილავდნენ, როგორც უკიდურესად არასასურველსა და სარისკოს, რომელსაც მოკავშირეთა ყველა ძალისა და რესურსის მობილიზაცია დასჭირდებოდა, აღიარებდნენ, რომ წარმატება მაინც ვერ იქნებოდა გარანტირებული. მაინც მიდიოდნენ ამ რისკზე, მიუხედავად იმისა, რომ წინ ედოთ 1942 წელს ფაშისტური „დრანგ ნეხტ ოსტენის“ კრახის მაგალითი.

„დიდი სამეულის“ დასავლეთელი მოკავშირეები თავიანთი სამხედრო ძალის შესავსებად დამარცხებული გერმანიის 10-12 დივიზიის სრულ აღჭურვასა და მობილიზებაზე იწყებენ ზრუნვას. იმედი აქვთ, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ აღდგება პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობა და ბერლინგის (ანუ პროსაბჭოთა მთავრობის) არმიაც.

შეცდნენ, რადგან არც საბჭოთა დაზვერვას ეძინა თვითკმაყოფილების ყურთბალიშზე, სტრუქტურას, რომელსაც მარშალი **ლავრენტი ბერია** ედგა სათავეში.

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორ **დ. ერიქსონის** აზრით, ჩერჩილის გეგმა გვეხმარება, გავარკვიოთ, რატომ გადაწყვიტა მარშალმა **ჟუკოვმა,** მოსკოვიდან მიღებული ბრძანების თანახმად, 1945 წლის ივნისში გადაეჯგუფებინა თავისი ძალები, გაემაგრებინა თავდაცვა და დეტალურად შეესწავლა მოკავშირეთა ჯარების დისლოკაცია. მიზეზები დღეს ცნობილია: აშკარაა, რომ ჩერჩილის გეგმის თაობაზე შეიტყო მოსკოვმა და საბჭოთა არმიის გენერალურმა შტაბმა შესაბამისი კონტრზომები დროულად განახორციელა. ოპერაცია „წარმოუდგენლის“ გეგმა საბჭოთა კავშირს გადმოსცა „კემბრიჯის ხუთეულმა“.

ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი, მგონი, ადასტურებს, რომ, მხოლოდ მეფე კი არა, ტყუილიც შეიძლება შიშველი იყოს, როცა გიგა ბოკერიას მეზღაპრე ანდერსენის ამპლუის პრეტენზია გაუჩნდება.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ახლა პრესაში იმაზე კამათობენ, ვისი ინიციატივით გაიმართა ზალკალიან-ლავროვის შეხვედრა.**

**ნახეს რა სალაპარაკო!**

**ა.ს.**

**ნახშირპლასტიკისგან დამზადებული თანამედროვე იახტის წარმოება, რომ არაფერი ვთქვათ კევლარის იალქანებზე, ტოვებს ნახშირწყალბადის საკმაოდ სერიოზულ კვალს, რომელსაც ეკოაქტივისტები რატომღაც „ვერ ამჩნევენ“. ისე, როგორც ვერ ამჩნევენ იმას, რომ მზის ბატარეების წარმოება და შემდგომი უტილიზაცია იმაზე ნაკლებად არ აბინძურებს გარემოს, ვიდრე ელექტროების მიღების ტრადიციული მეთოდები.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტუნბერგის განცხადებამ მოპარულ ბავშვობაზე ტრამპი ირონიულ განწყობაზე დააყენა



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოაქვეყნა 16 წლის შვედი მოსწავლის, გრეტა ტუნბერგის, გამოსვლის ვიდეო, რომელშიც გოგონა ამბობს, რომ „ადამიანები იტანჯებიან, კვდებიან, ნადგურდება ეკოსისტემა, ბევრი სახეობა კი გადაშენების პირასაა“ და დაწერა: „ის ჰგავს ძალიან ბედნიერ გოგონას, რომელიც წინასწარ ტკბება ნათელი და შესანიშნავი მომავლით. რა სასიამოვნოა ამის ნახვა!“**

ის, რომ გრეტას ეხმარებიან, გაემგზავროს საერთაშორისო ღონისძიებებზე და ილაპარაკოს კლიმატის ცვლილებების თემაზე, ძალიან ცუდი ძვირად ღირებული დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგალითად, შვედეთიდან ნიუ-იორკში გრეტა ჩავიდა იახტა „მალიცია II“-ით, რომელსაც ადრე „ედმონდ დე როტშილდი“ ერქვა. იახტა იმიტომ აურჩიეს, რომ ტუნბერგი თვითმფრინავებით არ მგზავრობს, რადგან მათგან ძალიან დიდი „ნახშირწყალბადის კვალი“ რჩება. ოკეანის გადაცურვისას „მალიცია II“-ზე, გრეტას მოთხოვნით, დალუქეს დიზელის ძრავა, რომელიც უსაფრთხოების მიზნით აუცილებლად უნდა იყოს თითოეულ მცურავ საშუალებაზე.

ყოჩაღ? მთლად ასეც არ შეიძლება ითქვას.

დიახ, იალქნებიანი საშუალებით მოგზაური არ ტოვებს ნახშირწყალბადის კვალს, მაგრამ **ნახშირპლასტიკისგან დამზადებული თანამედროვე იახტის წარმოება, რომ არაფერი ვთქვათ კევლარის იალქნებზე, ტოვებს ნახშირწყალბადის საკმაოდ სერიოზულ კვალს, რომელსაც ეკოაქტივისტები რატომღაც „ვერ ამჩნევენ“. ისე, როგორც ვერ ამჩნევენ იმას, რომ მზის ბატარეების წარმოება და შემდგომი უტილიზაცია იმაზე ნაკლებად არ აბინძურებს გარემოს, ვიდრე ელექტრობის მიღების ტრადიციული მეთოდები.**

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დონალდ ტრამპმა გრეტა ტუნბერგი სოციალურ ქსელში „ბედნიერ გოგონად“ მოიხსენია. მსოფლიოში ბავშვებისა და მოზარდების უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა, ოკეანე გადაცუროს როტშილდის შეკვეთილი იახტით და წარდგეს მსოფლიოს ლიდერების წინაშე. გრეტა ტუნბერგის ნათქვამი „მოპარულ ბავშვობაზე“ ცარიელი სიტყვებია. მას ჰქონდა შესანიშნავი ბავშვობა, თუ შეიძლება ასე ითქვას ასპერგერის სინდრომის (ფსიქიკური განვითარების დარღვევა) მქონე ადამიანზე. და მას მართლაც ელოდება ნათელი მომავალი, იახტით მოგზაურობის ბევრი დღე და თვე, შეხვედრები თანამზრახველებთან, გამოსვლა პარლამენტებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ., მაგრამ ამას არ უნდა დავარქვათ ბრძოლა გლობალური დათბობის წინააღმდეგ, მით უმეტეს — „ბავშვის გულწრფელი პროტესტი“. ეს არის პროექტი, თანაც ძალიან ძვირი და ცინიკური.

**ტუნბერგი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**არ არის გასაკვირი, რომ დონალდ ტრამპმა გრეტა ტუნბერგი სოციალურ ქსელში «ბედნიერ გოგონად» მოიხსენია. მსოფლიოში ბავშვებისა და მოზარდების უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა, ოკეანე გადაცუროს როტშილდის შეკვეთილი იახტით და მსოფლიო ლიდერებს ლამის თითის ქნევით ელაპარაკოს**











გრეტა ტუნბერგი

ამ ბავშვებიდან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ „ბავშვობა მოჰპარეს“



## პროექტი «გრეტა ტუნბერგი»

## შვედი გოგონა მსოფლიო ლიბერალური ელიტის ბატონობის შენარჩუნებას ემსახურება

**გაეროში 16 წლის გრეტა ტუნბერგის გამოსვლას უფროსი თაობის წარმომადგენლებში დანაშაულის, სირცხვილისა და შიშის განცდა უნდა გამოეწვია. მის სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული არა უბრალოდ უფროსი თაობის პასუხისმგებლობა ეკოლოგიური ვითარების გაუარესების გამო, არამედ მეორდებოდა მუქარა და ლამის წყევლაც კი:**

„ჩვენ დაგაკვირდებით თქვენ... თქვენ წამართვით ჩემი ოცნებები და ბავშვობა თქვენი ფუჭისიტყვაობით... ჩვენ ვდგავართ მასობრივი გადაშენების ზღურბლზე... თქვენ სინამდვილეში მართლაც რომ გესმოდეთ ვითარების სერიოზულობა და მაინც განაგრძობდეთ უმოქმედობას, არამზადები იქნებოდით. ამის დაჯერება არ მინდა. თქვენ ჩვენ გვაბრიყვებთ, მაგრამ ახალგაზრდობა იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ თქვენ მათ ღალატობთ. თქვენ გიყურებთ მომავალი თაობა და, თუ გაცნობიერებულად გვიღალატებთ, მაშინ აი რას გეტყვით: ჩვენ თქვენ არასოდეს გაპატიებთ. ჩვენ არ მოგცემთ უფლებას, ასე დაუსჯელად იმოქმედოთ. აქ და ახლა ჩვენ დავსვამთ წერტილს. მსოფლიო იღვიძებს. ცვლილებები დაიწყება, მოგწონთ თუ არა ეს თქვენ“.

საქმე ის კი არ არის, ვინ დაუწერა სიტყვა ტუნბერგს, არამედ ის, რომ ბავშვების სახელით სპეკულაციამ დასავლელი საზოგადოება თავის მართლების, დამნაშავისა და მომნანიებლის მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. ყველაფრის გამო — გლობალურ დათბობასთან არასაკმარისი ბრძოლის, უბედური ბავშვების, რომლებსაც ბავშვობა მოპარეს, და დასაღუპავად განწირული პლანეტის გამო. მაგრამ მონანიება საკმარისი არ არის. კიდევ საჭიროა, ყველას ეშინოდეს და შეჰფიცოს ახალ მესიას — ილაპარაკოს იმაზე, რა მართალი და შორსმჭვრეტელია ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

**საქმე ის კი არ არის, ვინ დაუწერა სიტყვა ტუნბერგს, არამედ ის, რომ ბავშვების სახელით სპეკულაციამ დასავლელი საზოგადოება თავის მართლების, დამნაშავისა და მომნანიებლის მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. ყველაფრის გამო — გლობალურ დათბობასთან არასაკმარისი ბრძოლის, უბედური ბავშვების, რომლებსაც ბავშვობა მოპარეს, და დასაღუპავად განწირული პლანეტის გამო. მაგრამ მონანიება საკმარისი არ არის. კიდევ საჭიროა, ყველას ეშინოდეს და შეჰფიცოს ახალ მესიას, — ილაპარაკოს იმაზე, რა მართალი და შორსმჭვრეტელია ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი**

გლობალიზმი და ნაციონალიზმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონალდ ტრამპმა საკუთარ თავს ნაციონალისტი უწოდა და ყველას მოუწოდა ამ სიტყვის გამოყენებისკენ იმ დატვირთვით, რომ ის ქვეყნის ინტერესებს პირველ ადგილზე აყენებს. „იცით, არის ერთი სიტყვა, რომელიც ძველმოდური გახდა. ეს სიტყვაა „ნაციონალისტი". მაგრამ, იცით, მე ვინ ვარ? მე ვარ ნაციონალისტი. OK? მე ვარ ნაციონალისტი. ნაციონალისტი. გამოიყენეთ ეს სიტყვა", — თქვა მან.**

# რა თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან: რატომ უნდათ გლობალისტებს ტრამპისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება

**„მომავალი არ ეკუთვნით გლობალისტებს. მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს. ამ დარბაზში წარმოდგენილ ყველა ერს, ისევე როგორც ჩემს საყვარელ ქვეყანას, გააჩნია ღირსეული ისტორია, კულტურა და მემკვიდრეობა, რომელიც მათ უნდა დაიცვან და იამაყონ, ვინაიდან ისინი გვაძლევენ ძალას და უნიკალურ პოტენციალს. თავისუფალი სამყარო პატივს უნდა სცემდეს საკუთარ ეროვნულ ფუძეს და არ უნდა ეცადოს მის განადგურებას ან შეცვლას". — ეს სიტყვები ეკუთვნის აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს და ნათქვამია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. აქ ასევე საინტერესოა არა მხოლოდ ის, რაც ტრამპმა თქვა, არამედ ისიც, როგორ უპასუხეს მას ოპონენტებმა.**



თავიდან შეეცადნენ, არ მიექციათ ამ გამოსვლისთვის ყურადღება. შემდეგ მიიღეს სახე, თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაზე საუბრობდა იგი: მთავარია, რომ ჩვენ, გლობალისტებმა, ბოლოს და ბოლოს დავიწყეთ მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა და ის გავარდება. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ტრამპის გამოსვლაზე მაინც გაისმა პასუხები (თუ რატომ არის პატრიოტიზმი არა მხოლოდ ძალიან ცუდი, არამედ - სამარცხვინო):

ტრამპის გამოსვლას უნდა „ებიძგა მსოფლიო ლიდერებისთვის ნაციონალისტური იდეოლოგიის მიღებისკენ და მიეგდო წითელი ხორცის ნაჭერი მისი ამომრჩევლებისთვის" — სწორედ ასე აუწყა თავის მკითხველებს Politico-მ ტრამპის გაეროში გამოსვლის შესახებ.

პატრიოტიზმის შედარება ხორცის ნაჭერთან, მით უმეტეს, წითელი ფერის ხორცთან (ყველაზე მავნესთან „ჯანმრთელობისთვის მებრძოლთა" აზრით), თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ე.ი., გამოდის, რომ საკუთარი ქვეყნის, კულტურისა და მემკვიდრეობის სიყვარული არის ნაციონალიზმი, რაც ძალიან მავნეა.

Politico-მ დასძინა, რომ ტრამპი იცავდა „თავის აკვიატებულ მოსაზრებას საზღვრების უსაფრთხოებაზე ", ამ შემთხვევაში კი — უსაფრთხოებას უკონტროლო მიგრაციაზე.

ლონდონის The Guardian-ის აზრით, **ტრამპმა წარმოადგინა „ნაციონალისტური მანიფესტი", რომელიც ასახავს „რიტორიკას უკიდურესი მემარჯვენე ნატივისტებისა, რომლებიც ამბობენ, რომ მოქალაქეებმა, რომლებსაც აქვთ რომელიმე ქვეყანაში საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრების ხანგრძლივი ისტორია, უკეთ იციან ნაციონალური ინტერესები, ვიდრე ახალჩამოსულებმა".** ე.ი., — დაცინვით განაგრძობს კომენტატორი, — პატრიოტები, უფრო ზუსტად კი, „პატრიოტები" — ეს არის რაღაც ჯგუფი მოქალაქეებისა, რომლებსაც აქვთ უნიკალური თვისება ნაციონალური ინტერესების სწორად ინტერპრეტაციისა.

რაზეა საუბარი, როცა ნამდვილი გლობალისტებისათვის (რომლებიც აშშ-ში ხმას აძლევენ დემოკრატიულ პარტიას) და მათი მიმდევრებისთვის ლეგალური თუ არალეგალური მიგრანტები — თუნდაც გუშინ შემოსულები ქვეყანაში — სინამდვილეში არაფრით გამოირჩევიან მათგან, ვინც უკვე რამდენიმე თაობაა ცხოვრობს ამ ქვეყანაში. და ეს იმიტომ, რომ მათი გაგებით, საზღვრები და მოქალაქეობა, საერთოდ, არ უნდა იყოს, ისევე როგორც არ უნდა არსებობდეს ნაციონალური ისტორია და კულტურა.

**მსოფლიოში ბევრს უკვირს, რატომ შეუშვა ევროპამ თავის ტერიტორიაზე მილიონობით ლტოლვილი და „ლტოლვილები" ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან და რატომ არ აძლევდა საკუთარ მოქალაქეებს ხმის ამოღების უფლებას ამ საკითხზე. არაფერი გასაკვირი ამაში არ არის — სწორედ ესაა გლობალისტების იდეოლოგია. ვინც ამას არ ეთანხმება, ის „უკიდურესად მემარჯვენე ნატივისტია", ანუ ის ადამიანია, ვინც თვლის, რომ თუ შენ დაიბადე ამ ქვეყანაში და მიეკუთვნები მის კულტურას, ეს გაძლევს რაღაც უფლებებს მაინც. შენ კი ეს უფლებები არ გაქვს. არც საზღვრები არ არის. თუ ვიღაცამ გუშინ გადაკვეთა ის, რასაც ადრე საზღვარი ერქვა, დღეს ამ ვილაცას შეუძლია გასწავლოს, აწი როგორ უნდა იცხოვრო.**

**მსოფლიოში ბევრს უკვირს, რატომ შეუშვა ევროპამ თავის ტერიტორიაზე მილიონობით ლტოლვილი და „ლტოლვილები" ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან და რატომ არ აძლევდა საკუთარ მოქალაქეებს ხმის ამოღების უფლებას ამ საკითხზე. არაფერი გასაკვირი ამაში არ არის — სწორედ ესაა გლობალისტების იდეოლოგია. ვინც ამას არ ეთანხმება, ის „უკიდურესად მემარჯვენე ნატივისტია", ანუ ის ადამიანია, ვინც თვლის, რომ თუ შენ დაიბადე ამ ქვეყანაში და მიეკუთვნები მის კულტურას, ეს გაძლევს რაღაც უფლებებს მაინც. შენ კი ეს უფლებები არ გაქვს. არც საზღვრები არ არის. თუ ვიღაცამ გუშინ გადაკვეთა ის, რასაც ადრე საზღვარი ერქვა, დღეს ამ ვიღაცას შეუძლია გასწავლოს, აწი როგორ უნდა იცხოვრო**

**ბენ როდსმა, ბარაქ ობამას** პრეზიდენტობისდროინდელმა მრჩეველმა და სპიჩრაიტერმა, პირდაპირ განაცხადა, რომ ტრამპის გამოსვლა გაეროში არის „ნაციონალისტური საკვების შემთბარი ნარჩენები".

ცნობილია, რატომ არ მოსწონთ დონალდ ტრამპი და მისი რესპუბლიკელები. მაგალითები ყოველდღე ახალ-ახალია. სანქციები ირანის წინააღმდეგ, თუმცა რაიმე აგრესიის შესახებ ფაქტები, უბრალოდ, არ არსებობს და არც არავინ ეძებს მათ. ანდა, ჩინეთის წინააღმდეგ სავაჭრო ომი, ან ვენესუელის კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდების მცდელობები... უსასრულოდ შეიძლება ამის გაგრძელება. ეს ყოველივე არის. თუმცა, ალვნიშნავთ, რომ ტრამპი ხშირად უფრო იმუქრება, ვიდრე მიმართავს სამხედრო ავანტიურებს. მასაც და მის საამომრჩევლო ბაზას — იგივე „პოპულისტებს" და „უკიდურეს მემარჯვენეებს" — ძალიან არ უყვართ უაზრო ომები და ჯერ საკუთარ ქვეყანაში წესრიგის დამყარება უნდათ. დიახ, ეს პუბლიკა ყოველთვის არაა სასიამოვნო, მაგრამ, საქმე ის არის, რომ საპირისპირო მხარე გაცილებით უარესია.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ერთი სახის პატრიოტები კამათობენ მეორესთან, ისინი ერთ ენაზე მაინც საუბრობენ. სულ სხვა საქმეა გლობალისტები, რომლებისთვისაც საკუთარი ქვეყნის სიყვარული აუტანელი საძაგლობა და „შემთბარი ნარჩენებია". ამ საზოგადოებისთვის არ არსებობს არანაირი ქვეყანა, ეროვნება და კულტურა. არსებობენ მხოლოდ თვითონ ისინი — რაღაც ბუნდოვანი, რომელიც ყველას აიძულებს მათ მიერ გამოგონილი ახალი ნორმების, წესებისა და აკრძალვების მიღებას, მათ შორის, კამათისა და აზრის გამოთქმის აკრძალვებს. რამდენიმე დღით ადრე, ტეხასში მიტინგზე გამოსვლისას, დონალდ ტრამპმა საკუთარ თავს ნაციონალისტი უწოდა და ყველას მოუწოდა ამ სიტყვის გამოყენებისკენ იმ დატვირთვით, რომ ის ქვეყნის ინტერესებს პირველ ადგილზე აყენებს. **„იცით, არის ერთი სიტყვა, რომელიც ძველმოდური გახდა. ეს სიტყვაა „ნაციონალისტი". მაგრამ, იცით, მე ვინ ვარ? მე ვარ ნაციონალისტი. OK? მე ვარ ნაციონალისტი. ნაციონალისტი. გამოიყენეთ ეს სიტყვა", — თქვა მან.** ტრამპმა ეს თქვა, როდესაც კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია ამერიკის ინტერესებს ანიჭებს პრიორიტეტს.

„რადიკალურ დემოკრატებს სურთ დროის უკუღმა დატრიალება, უნდათ, დააბრუნონ ხელისუფლებით გაუმაძღარი კორუმპირებული გლობალისტების ხელისუფლება. თქვენ იცით, ვინ არიან გლობალისტები? გლობალისტი არის ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ მხოლოდ თვითონ იყოს კარგად და, მართალი გითხრათ, საერთოდ, არ ადარდებს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ეს არ გვინდა", — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

**„რია ნოვოსტი"**

# ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და სინგაპური თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნაზე შეთანხმდნენ. რიგი ეგვიპტესა და ინდოეთზეა



**1 ოქტომბერს ერევანში გაიმართა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (ეაეკ) ლიდერების სამიტი, რომელზეც ხელი მოაწერეს ამ კავშირის ქვეყნებსა და სინგაპურს შორის ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის პაკეტის პირველ ნაწილს. ეაეკ-ის შემადგენლობაში შედიან სომხეთი, ბელარუსი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი. ღონისძიებაში მონაწილეობდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.**

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და სინგაპურს შორის მოლაპარაკება უნიკალური მოვლენაა, რომელშიც გაერთიანებულია შვიდი ხელშეკრულების პაკეტი. პირველი ხელშეკრულება სინგაპურთან გაფორმდება ეაეკ-ის სახელით და შეეხება მხოლოდ საქონლით ვაჭრობას. დამატებით ხელმოწერილია კიდევ ხუთი ორმხრივი ხელშეკრულება ეაეკ-ის თითოეული ქვეყნის მიერ მომსახურებისა და ინვესტიციებით ვაჭრობის შესახებ.

დასასრულ, მესამე ჩარჩო ხელშეკრულება აერთიანებს ყველა ამ ხელშეკრულებას ერთიან პაკეტში.

გარკვეული შედეგებია მიღწეული ეაეკ-სა და ეგვიპტეს შორის.

შეთანხმებას ხელი შეიძლება გაისად მოაწერონ. მომავალ წელსვე იგეგმება მოლაპარაკება ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ.

**P.S.1 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სამიტი, რომელშიც მოლდოვის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, სომხეთის, ბელარუსისა და რუსეთის პრეზიდენტებთან ერთად მონაწილეობდა ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი, რომელიც სპეციალურად იყო მიწვეული.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საეჭვოა, რომ წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის მქონე დემოკრატები, საერთო ჯამში, შეძლებენ საჭირო 217 ხმის მოგროვებას და, თუ მოაგროვებენ, იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად სენატში საჭიროა ხმების 2/3, მაგრამ სენატში უმრავლესობა ტრამპის თანაპარტიელ რესპუბლიკელებს აქვთ.**

# ტრამპის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყება მას თეთრ სახლში კიდევ ოთხი წლით ყოფნის გარანტიას აძლევს

**აშშ-ის კონგრესმა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტის შანტაჟში დაადანაშაულა და იმპიჩმენტის პროცედურა ოფიციალურად აამოქმედა. თვითონ ტრამპის აზრით, ეს არის მორიგი „კუდიანებზე ნადირობა", ამერიკაში კი ყველაფერი ისე კარგადაა, როგორც არასდროს. ასე რომ, ეს პროცედურა თვითონ ტრამპს აძლევს ხელს. როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტი მართალია: დემოკრატები ხაფანგში მოექცნენ, რაც მათ გამანადგურებელ მარცხს გამოიწვევს არჩევნებში.**



**ვაშინგტონელი მთავარი «ქორის», ჯონ ბოლტონის, გადადგომის შემდეგ ტრამპი, როგორც ჩანს, აღარ განიხილავს სამხედრო ოპერაციების სცენარებს. პირიქით — მას სურს, «შეწყდეს დაუსრულებელი ომების პოლიტიკა» და უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით არც ერთი ომი არ დაუწყია, მისი წინამორბედები კი, რეიგანით დაწყებული, ამ სტადიაზე ვილაცას ეომებოდნენ**

რამდენიმე დღის წინათ დონალდ ტრამპმა სიტყვა წარმოთქვა გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან. მან გაიმეორა ადრე რამდენჯერმე ნათქვამი, რომ **მომავალი ეკუთვნის არა გლობალისტებს, არამედ პატრიოტებს.** საქმე ის არის, რომ ეს იყო საყვედურები და არა მუქარები.

ვაშინგტონელი მთავარი „ქორის", ჯონ ბოლტონის, გადადგომის შემდეგ ტრამპი, როგორც ჩანს, აღარ განიხილავს სამხედრო ოპერაციების სცენარებს. პირიქით — მას სურს, „შეწყდეს დაუსრულებელი ომების პოლიტიკა" და უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით არც ერთი ომი არ დაუწყია, მისი წინამორბედები კი, რეიგანით დაწყებული, ამ სტადიაზე ვილაცას ეომებოდნენ.

„აშშ-ს არასდროს სჯეროდა მუდმივი მტრების. ამერიკის ზოგიერთი ახლო მეგობარი ოდესღაც მისი უბოროტესი მტერი იყო. ჩვენ გვინდა, გვყავდეს პარტნიორები და არა მოწინააღმდეგეები. ყველას შეუძლია ომის დაწყება, მაგრამ მხოლოდ ყველაზე გაბედულებს შეუძლიათ, აირჩიონ მშვიდობა". ეს ყველაფერი გამოიყურება, როგორც ერთმნიშვნელოვანი მიწვევა მოლაპარაკებებზე ტრამპისთვის ასე საყვარელი „გარიგებებისთვის", რომლის მაგალითადაც აშშ-ის პრეზიდენტმა მოიყვანა სიტუაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გარშემო. **არც რუსეთი, არც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, მათ შორის, საქართველო, ტრამპს ერთხელაც არ უხსენებია. სამაგიეროდ მან კულუარებში ილაპარაკა უკრაინაზე: „მე ვაჩერებ სახსრების გამოყოფას და მანამდე შევაჩერებ, სანამ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნები არ შეიტანენ თავიანთ წვლილს უკრაინის დახმარების საქმეში, იმიტომ, რომ ისინი არ აკეთებენ ამას, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენ ვაძლევთ უამრავი რაოდენობის ფულს და მე ვსვამ კითხვას: რისთვის?" — ბობოქრობდა აშშ-ის პრეზიდენტი.**

ტრამპის ეს ფრაზა საქმეში ჩახედულმა ხალხმა გაიგო ასე: მე უკრაინის საქმეებზე ხელიც დამიბანია, უკრაინის საქმეებში ამერიკა აღარ ჩაერევა. ვინც იქ ვითარება არია (ე.ი., საფრანგეთმა და გერმანიუმ), მანვე გამოასწოროს და უკრაინის შესანახი ფულიც გადაიხადოს.

შუა ზაფხულში ვაშინგტონმა შეაჩერა კიევისთვის მორიგი ტრანშის გამოყოფა — ტრამპს თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ, კორუფციის მაღალი დონის მიუხედავად, ფული საქმეში იდება", მაგრამ მოგვიანებით კონგრესის ზემოქმედებით დაფინანსება განახლდა. ახლა კი ამ ისტორიას პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები იყენებენ ირიბ მტკიცებულებად იმისა, რომ ტრამპი აშანტაჟებდა ზელენსკის არჩევნებში თავის მთავარ კონკურენტზე, ყოფილ ვიცეპრეზიდენტ **ჯო ბაიდენზე** კომპრომატის მიღების მიზნით.

სრულიად შესაძლებელია, რომ ბაიდენი, რომელიც ობამას ადმინისტრაციაში პასუხს აგებდა უკრაინის მიმართ პოლიტიკაზეც, ზემოქმედებდა კიევზე, რათა შეეწყვიტა თავისი შვილის წინააღმდეგ დაწყებული ანტიკორუფციული გამოძიება.

ახლა დემოკრატებმა განიზრახეს საპასუხო დარტყმის განხორციელება. გენერალურ ასამბლეაზე ტრამპის გამოსვლიდან ორიოდე საათის შემდეგ გავრცელდა ცნობა, რომ კონგრესი იწყებს იმპიჩმენტის ფორმალურ პროცედურას პრეზიდენტის მიმართ, მის მიერ ზელინსკისთან მოლაპარაკებების ჩარჩოებში „კონსტიტუციური მოვალეობების დარღვევის" გამო.

„ვაშინგტონ პოსტის" ინფორმაციით, წარმომადგენლობით პალატაში 253-დან 150-ზე მეტი დემოკრატი იმპიჩმენტს უჭერს მხარს. სხვა მედიასაშუალებების ინფორმაციით, უკვე საუბარია ორ ასეულ დეპუტატზე, მათ შორის ერთ დამოუკიდებელზე. როგორც ჩანს, ისინი შექმნიან სპეციალურ კომისიას, მსგავსს იმისა, რომელიც ამზადებდა ნიქსონის იმპიჩმენტს „უოტერგეიტის საქმეზე".

ეს, ჩანს, კარგი ამბავია ტრამპისთვის, ძალიან კარგიც კი. საკმაო ხნის წინათ „რუსეთთან შეთქმულების" ბრალდების ფონზე პრეზიდენტის იმპიჩმენტი დემოკრატების თავსმოხვეული იდეა იყო — ბევრი დემოკრატი გამოდიოდა ამ მოთხოვნით და ამასვე ეუბნებოდა თავის ამომრჩეველს.

მაგრამ ეს ტაქტიკა დემოკრატებისთვის ხაფანგად იქცა: **მას შემდეგ, რაც „რუსული საქმე" გასკდა, როგორც საპნის ბუშტი, გაირკვა, რომ, დემოკრატიული პარტიის ელექტორატში ტრამპის საწინააღმდეგოდ განწყობილი „ჰეიტერების" სიმრავლის მიუხედავად, ქვეყანაში იმპიჩმენტის იდეა უკიდურესად არაპოპულარულია — მას მხარს უჭერს მოსახლეობის მხოლოდ მესამედი, ორი მესამედი კი, მათ შორის დამოუკიდებელი ამომრჩეველი და ზოგიერთი დემოკრატი, კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. უფრო მეტიც, პრეზიდენტის წინააღმდეგ ახალი ბრალდებების ფონზე მისი მუშაობისადმი მხარდაჭერის დონემ მოიმატა და სარეკორდო ნიშას მიაღწია — 53%-ს.**

საეჭვოა, რომ წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის მქონე დემოკრატები, საერთო ჯამში, შეძლებენ საჭირო 217 ხმის მოგროვებას და, თუ მოაგროვებენ, იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად სენატში საჭიროა ხმების 2/3, მაგრამ სენატში უმრავლესობა ტრამპის თანაპარტიელ რესპუბლიკელებს აქვთ.

არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ დემოკრატები ტრამპის მიერ დაგებულ მახეში გაებმებიან. ის საეჭვოდ იოლად დათანხმდა ზელენსკისთან მისი საუბრის გასაჯაროებას. თუ ორი პრეზიდენტის საუბარში მაკომპრომეტებელს ვერაფერს ნახავენ, დემოკრატები ძალიან სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ბაიდენისთვის კი მომავალი პრაიმეროზი დეტალური აღმოჩნდება.

ეს ხელს აძლევს ტრამპს. მოვლენები, რომლებიც ფორმალურად ხელისუფლებიდან ტრამპის ჩამოშორების მცდელობას წარმოადგენს, მას, პრაქტიკულად, თეთრ სახლში კიდევ ოთხი წლით ყოფნის გარანტიას აძლევს.

VZ.RU-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**მას შემდეგ, რაც «რუსული საქმე» გასკდა, როგორც საპნის ბუშტი, გაირკვა, რომ, დემოკრატიული პარტიის ელექტორატში ტრამპის საწინააღმდეგოდ განწყობილი «ჰეიტერების» სიმრავლის მიუხედავად, ქვეყანაში იმპიჩმენტის იდეა უკიდურესად არაპოპულარულია — მას მხარს უჭერს მოსახლეობის მხოლოდ მესამედი, ორი მესამედი კი, მათ შორის დამოუკიდებელი ამომრჩეველი და ზოგიერთი დემოკრატი, კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. უფრო მეტიც, პრეზიდენტის წინააღმდეგ ახალი ბრალდებების ფონზე მისი მუშაობისადმი მხარდაჭერის დონემ მოიმატა და სარეკორდო ნიშას მიაღწია — 53%-ს**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა იყო ვასილ მჟავანაძის, როგორც კაცის, ნაკლი? — არაფერი! რა იყო მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ნაკლი? — არაფერი! მის ოჯახში ქვეყნის სიყვარულის, სიკეთისა და პატიოსნების კულტი იყო. როგორ მართავდა ის მისთვის მიბარებულ ქვეყანას — კომუნისტურად თუ მამაშვილურად? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — მამაშვილურად!**

# სტალინური წრთობის კადრები: ვასილ მჟავანაძე — შტრიხები პორტრეტისთვის

**„წიგნები აზრთა ხომალდებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ძვირფას ტვირთს“, — წავიკითხე ნინო მჟავანაძისა და მარიკა კახაძის არაჩვეულებრივ წიგნში „ასეთი იყო ჩემი საქართველო“. ამავე წიგნში უკვდავი ფოლკნერის აზრიცაა მოყვანილი: „სტრიქონი მაშინაა დაწერის ღირსი, თუ იგი წაკითხვის ღირსიცაა“. აი, ამ სიმართლის მკაცრი დაცვით იწყებს მამაზე, ვასილ მჟავანაძეზე, წიგნის წერას უმშვენიერესი ქალბატონი ნინო მჟავანაძე. პოეტური, შერლოკჰოლმსური, ნათელმხილველური ხერხებით ამოაქვს ადამიანთა გულებიდან ის პატარ-პატარა ბრილიანტები, რომელთა შეგროვებით იქმნება შინაარსობრივად, სანახაობრივად თუ ფასეულობებით უძვირფასესი განძი, ხელოვნების ნიმუში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვასილ მჟავანაძის ფენომენი ვუწოდოთ.**

ვასილ მჟავანაძე თავისი ცხოვრებით თითქოს პარტიასთან, მის იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული, ბევრისთვის უცნობია, რა დოზითა და პრინციპულობით ასრულებდა თავის პარტიულ და იდეოლოგიურ ვალდებულებებს, მაგრამ მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც მისი თანამებრძოლებისგან შეიქნა ცნობილი, მიგვანიშნებს, რომ, სადაც უნდა ყოფილიყო და რა მოვალეობაც უნდა ჰქონოდა შესასრულებელი, ვასილ მჟავანაძის ძირითადი საზრუნავი ადამიანი იყო.

ჰყვარებოდა სამშობლო თავზე მეტად, ყველა ქართველი ძმად და მეგობრად ჩაეთვალა — ეს შეეძლო ვასილ მჟავანაძეს. ქვეყნის ინტერესების დაცვა უყოყმანოდ, სამომავლო შედეგების გაუთვალისწინებლად ყველას არ შეუძლია, ვასილ მჟავანაძეს კი შეეძლო.

**რა იყო ვასილ მჟავანაძის, როგორც კაცის, ნაკლი? — არაფერი! რა იყო მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ნაკლი? — არაფერი! მის ოჯახში ქვეყნის სიყვარულის, სიკეთისა და პატიოსნების კულტი იყო. როგორ მართავდა ის მისთვის მიბარებულ ქვეყანას — კომუნისტურად თუ მამაშვილურად? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — მამაშვილურად!** მაშ, რატომ განერიდა საყვარელ ქვეყანას, თავისი ოფლით მორწყულ მიწას და სხვაგან ჰპოვა განსასვენებელი? თუმცა მისი შვილებისა და შვილიშვილების ძალისხმევით სამშობლოში იქნა გადმოსვენებული და რიგითი ადამიანების გვერდით მიწას მიბარებული...

ნუთუ ქართველმა კაცმა თავში არ უნდა შემოირტყას ხელი და ქვეყანა გააყრუოს ყვირილით: ეს როგორ?! **მაშ, რისთვის არის საქართველოში რჩეულთა სავანეები? რა უნდა საქართველოში რეიგანის ძეგლს, ბუშის ქუჩას, მაკეინის საზოგადოებას, სოროსის ასეულობით ორგანიზაციას, მაშინ, როდესაც ჩვენი დიდი წინაპრების წმინდა საფლავები და ძეგლები (დაწყებული არჩილისა და თეიმურაზის საფლავებით და დამთავრებული რუსთაველის უზარმაზარი ძეგლით მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიაზე) რუსეთის ქალაქებსა და მონასტრებშია? თბილისი გაივსო გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელთა სახელობის ქუჩებით, თითქოს ქვეყანაში არ არიან ადამიანები, რომელთა პატივსაცემადაც ქუჩებს სახელი უნდა დავარქვათ.** გაუგებარი პროფესიის ადამიანებს მილიონობით ღირებულების ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები ადგათ საფლავებზე. ცნობილი სკულპტორის მიერ თაბაშირში შესრულებული ვასილ მჟავანაძის ბიუსტი კი, წლებია, სპონსორს ელის, რომ ბრინჯაოში ჩამოისხას და საფლავზე დაიდგას. რა ისეთ თანხასთან არის დაკავშირებული ის, რომ თბილისში ერთ ქუჩას ვასილ მჟავანაძის სახელი ეწოდოს?!

**ვასილ მჟავანაძე კომუნისტური ხერხებით არ მართავდა ქვეყანას. ის საქართველოს მამა იყო და საქართველო და ქართველი ხალხი სწორედ კომუნისტურ ხროვას გამოსტაცა კლანჭებიდან — დღეს ჩვენ, ვასილ მჟავანაძის თანამედროვენი, რომლებიც ცოცხლები დავრჩით, ჩვენი შვილებითა და შვილიშვილებით შუა აზიის სტეპებში რომ არ დავეხეტებით და ერთმანეთს საქართველოზე ზღაპრებს არ ვუყვებით ზამთრის გრძელ ღამეებში, სწორედ ვასილ მჟავანაძის დამსახურებაა...**

დიდი ბრიტანეთის 64-ე პრემიერმინისტრმა **ენტონი იდენმა დაწერა:**

**„მე სტალინთან ბევრჯერ მისაუბრია და არასოდეს მიფიქრია, რომ ვესაუბრები კომუნისტების ლიდერს, საუბრისას არასოდეს ახსენებდა მარქსსა და ენგელსს და გამოირჩეოდა პრაგმატიზმით. მას ჰქონდა კარგი, ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმოშობის მანერები, ძალიან ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა. წინდახედულებითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა. ყოველივე ამის უკან ძალა იდგა“.**

**ჰენრი კისინჯერი,** აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წწ.:

**„სტალინი მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ (და არა ინტერნაციონალურ — გრ. ონიანი) ინტერესებს, ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადი ინტერესების ტვირთით“.**

კისინჯერის ამ ერთ წინადადებაში ყველაფერი დევს. საბჭოეთი თავისი წარმატებებითა და ნაკლით სტალინის შემოქმედებაა. კომუნისტები რომ არ ყოფილიყვნენ და ქვეყანა ერთპიროვნულად სტალინს ემართა, საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო განვითარდებოდა და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა. სწორედ ამაზე მიანიშნებს კისინჯერი სტალინის მოღვაწეობაში, როცა ფარისევლური მოვალეობისგან შორს დგომას და პრაგმატიზმზე ლაპარაკობს.

**როდესაც ვასილ მჟავანაძის ცხოვრების დეტალებს გაეცნობით (ეს მაგალითები სწორედ ამიტომ მოვიყვანე), შეამჩნევთ, რომ თავისი ქმედებებით ის სტალინური**



**როდესაც ვასილ მჟავანაძის ცხოვრების დეტალებს გაეცნობით, შეამჩნევთ, რომ თავისი ქმედებებით ის სტალინური წრთობის ადამიანია. მუშისა და გლეხის სიყვარული, გულუხვობა, უბრალოება, იუმორი, სიმდიდრისაგან შორს დგომა, მოყვასის დახმარება და ყველაფერი ის, რაც ადამიანს კეთილშობილ პიროვნებად წარმოაჩენს, ვასილ მჟავანაძის პიროვნებაში ზომაზე მეტად არის**

**წრთობის ადამიანია. მუშისა და გლეხის სიყვარული, გულუხვობა, უბრალოება, იუმორი, სიმდიდრისაგან შორს დგომა, მოყვასის დახმარება და ყველაფერი ის, რაც ადამიანს კეთილშობილ პიროვნებად წარმოაჩენს, ვასილ მჟავანაძის პიროვნებაში ზომაზე მეტად არის წარმოდგენილი.**

საქმემან შენმა წარმოგაჩინოსო და აი — **ვასილ მჟავანაძის სახელთანაა დაკავშირებული:**

**1. ქართული სოფლის აყვავება, სოფლის მეურნეობის განვითარება. როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობამ ერთ მილიარდ მანეთს გადააჭარბა (დღეს? — გრ. ონიანი);**

**2. საქართველოს სრული ელექტროფიკაცია. იგი ჩაერთო სსრკ-ის საერთო ენერგოსისტემაში;**

**3. სრულ ციკლზე მომუშავე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ციტადელად აღიმართა ქართული ენის, კულტურისა და დემოგრაფიის დასაცავად. შეიქმნა იმის საფუძველი, რომ გადამწვარ სამგორის ველზე აშენებულიყო სოფლები: გამარჯვება და ახალი სამგორი, აგრეთვე, სამგორის მეფრინველეობის მეურნეობა, რუსთავის გარშემო დაიწყო სასოფლო განაშენიანება, მზით დამწვარ სამგორის ველზე გაშენდა ლეგენდარული ბაღები, რომლებიც, საუბედუროდ, დღეს აღარ არსებობს;**



ვიქტორია და ვასილ მჟავანაძეები

**4. თბილისი მესამე ქალაქი იყო, რომელშიც აშენდა მეტროპოლიტენი — მოსკოვის მეტროპოლიტენის შემდეგ ერთ-ერთი დიდი პოსტსაბჭოთა სივრცეში;**

**5. იმხანად ოცნებაც არ შეიძლებოდა ისეთ სასპორტო ნაგებობაზე, როგორიც ვასილ მჟავანაძის თაოსნობით აშენდა — თბილისის სპორტის სასახლე;**

**6. ვაკის სტუდქალაქის სტუდენტებს ფეხით გვიხდებოდა რამდენიმე ქედის გადავლა, ჩვენი ახლობელი და თანასოფლელი სტუდენტი რომ გვენახა, რომელიც, მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა და მედქალაქში ცხოვრობდა. ჩემი სტუდენტობის პერიოდში დაიწყო და დასრულდა კიდეც კლდის გაჭრა და ვაკე და საბურთალო ერთმანეთს დაუკავშირდა;**

**7. ბედნიერმა, ლაღმა და გამარჯვებულმა ქვეყანამ თბილისის 1500 წლისთავი ისე იზეიმა, რომ მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა საქართველოში და არ მგონია, მომავალშიც ჩატარდეს, ხალხმა გრანდიოზული ღონისძიებებით იზეიმა რუსთაველის 800 წლისთავი.**

ისტორიული პიროვნებების შესახებ არსებობს ფაქტების მოძიების ორი საშუალება: პირველი — საარქივო მასალებში შემონახული დოკუმენტების ამოღება; და მეორე — თანამებრძოლთა გულწრფელი მონათხრობი.

ჩემი დაკვირვებითა და კომპეტენტური მკვლევარების მტკიცებით, XX საუკუნის ისტორიის უტყუარი დოკუმენტური მასალა არ არსებობს. ამ მოსაზრების მართებულობაში მარწმუნებს აღიარება (ყოველგვარი „დაკითხვისა“ და წამების გარეშე) იმ „დამნაშავეებისა“, რომლებსაც მზის სინათლეზე გამოაქვთ სიმართლე, როგორ აყალბებდნენ **ხრუშჩოვისა** და შემდგომ **გორბაჩოვის** პერიოდში „კაგე-ბეს“ თანამშრომლების მკაცრი მეთვალყურეობით სტალინის არქივში დაცულ თითქმის ყველა დოცუმენტს. „ამბობენ“, რომ მასალების იმ 30%-ს, რომელსაც ხელი არ შეხებია, გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ არასდროს მოეხსნება, რადგან ცნობები ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება და არა პიროვნებას. აქედან გამომდინარე, მასალა, რომელსაც ჩვენ დღეს გულში ვიხუტებთ, როგორც ახალ და ფასდაუდებელ დოკუმენტს, შეიძლება სულაც არ იყოს ორიგინალი.

**რაც შეეხება თანამებრძოლთა გულწრფელ მონათხრობს, სამწუხაროდ, სანდო წყაროდ რიგ შემთხვევაში არც ის ჩაითვლება. ომის შემდგომი პირველი მემუარი, რომელიც გიორგი ჟუკოვმა გამოაქვეყნა (პირველი გამოცემა), ფაბრიკაციაა, რომელიც ხრუშჩოვის კარნახით დაიწერა. ჟუკოვმა სინდისის ქენჯნას ველარ გაუძლო და მეორე გამოცემაში (ხრუშჩოვის შემდეგ) ოდნავ შეასწორა ზღვარგადასული სიცრუე, მაგრამ ცენზურას მაინც ვერ გაექცა.**

როცა ჟუკოვი, როგორი წნეხის ქვეშაც უნდა ყოფილიყო, დაწერს: სტალინმა სამხედრო რუკა არ იცოდაო, მისი მონათხრობი როგ-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა უნდა საქართველოში რეიგანის ძეგლს, ბუშის ქუჩას, მაკეინის საზოგადოებას, სოროსის ასეულობით ორგანიზაციას, მაშინ, როდესაც ჩვენი დიდი წინაპრების წმინდა საფლავები და ძეგლები (დაწყებული არჩილისა და თეიმურაზის საფლავებით და დამთავრებული რუსთაველის უზარმაზარი ძეგლით მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიაზე) რუსეთის ქალაქებსა და მონასტრებშია? თბილისი გაივსო გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელთა სახელობის ქუჩებით, თითქოს ქვეყანაში აღარ დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ, ვისი სახელობის ქუჩებში უნდა იაროს საქართველოს მომავალმა თაობამ.**

# ვასილ მჟავანაძემ მძიმე ვითარებაში ჩაიბარა რესპუბლიკა: აქეთ — მეგრელთა საქმე, იქით — ჯერ დაუსახლებელი ქლუხორი და ახალხევი, აწყვეტილი გიჟი ხრუშჩოვი, რომელმაც უკვე დაამარცხა მისთვის ყველაზე საძულველი ორი პიროვნება — სტალინი და ბერია, გასანადგურებელი ჰყავს ქართველი ხალხი და ტირანთა სამშობლო საქართველო. აი ამ ვითარებაში ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გულჩვილი, კაცთმოყვარე, ბეჯითი, უღალატო, მაგრამ მტკიცე, ვით ფოლადი, პრინციპული და «უშიში, ვითარცა უხორცო», ზნეკეთილი და ყველას დამხმარე ვასილ მჟავანაძე

◀ ორ შეიძლება წყაროდ ჩაითვალოს?!

მარშალი **როკოსოვსკი** ხუთი წლის განმავლობაში ელოდებოდა წიგნის გამოცემას, რადგან მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ წიგნში სტალინის სამხედრო სტრატეგიისა და პირადი დადებითი შტრიხების ამოღებას. მარშალმა ეს არ გააკეთა, მაგრამ წიგნის რამდენიმე თავი არ დაიბეჭდა.

**სვეტლანა ალილუევამ** გამოსცა „ოცი წერილი მეგობარს“, რომელშიც შეურაცხყოფილი იყო მამა. მან წიგნის მეორე გამოცემაში დაწერა, რომ, როდესაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმ ოთახში შევიდა, რომელშიც მისი წიგნი მუშავდებოდა, ორიგინალის ფურცლები თითქმის მთლიანად დაჭმუჭნილი და საქაღალდეში იყო გადაყრილი, წიგნი კი ხელახლა იწერებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთა მიერ.

საქართველოში, თუ ჩავთვლით, რომ სტალინზე საარქივო მასალები არ გვაქვს, გვრჩება მეორე გზა — თანამებრძოლთა და მეგობართა მოგონებები (მემუარები).

სტალინის პიროვნებაზე, მასთან 14-წლიან ურთიერთობაზე ძირითადი მასალა **კანდიდ ჩარკვიანის** მემუარებია, როhმელიც მან ორ ტომად გამოსცა ბრეჟნევის პერიოდში. ამ მემუარების პირველი გამოცემა სიმართლესთან ახლოს იყო, მაგრამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. შემდეგ კანდიდის შვილმა **გელა ჩარკვიანმა** გამოსცა მამის მოგონებები სტალინზე ერთ ტომად, რომელშიც შეინიშნება გელა ჩარკვიანის შესწორებები. მან, აგრეთვე, გადაიღო ფილმი და ცალკე წიგნად გამოსცა სტალინისა და კანდიდ ჩარკვიანის შეხვედრები. ვფიქრობ, რომ ყველა მასალაში ბატონ გელას ხელი „ურევია“.

არის მეორე მასალა, აკაკი მგელაძის, რომელმაც დაწერა წიგნი „ასე ვიცნობდი სტალინს“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ბატონი აკაკის ქალიშვილმა გამოსცა, აკაკის ერთი წინადადებაც კი არ არის შეცვლილი. თუ ამ ორ წყაროს ერთმანეთს შევადარებთ და კრიტიკული თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. რატომ?

კანდიდ ჩარკვიანი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ (მოვიყვან ერთს, თუმცა ფაქტი ბევრია. — გრ. ონიანი) აკაკი მგელაძე სტალინს მან გააცნო 1948 წელს და სულ ორჯერ მიიყვანა მასთან. აკაკი მგელაძე კი თავის წიგნში წერს, რომ კომკავშირის ყრილობაზე 1936 წელს ვოროშილოვმა ის სტალინს გააცნო, როგორც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მას შემდეგ მას სტალინთან ინტენსიური შეხვედრები და სატელეფონო საუბრები ჰქონდა.

გამოდის, რომ ის ორი წყარო, რომლებიც ჩვენ სანდოდ მიგვაჩნია, ნაკლებად სანდოა.

მე რომ მკითხოთ, რომელი უფრო სანდო წყაროა — კანდიდ ჩარკვიანის თუ აკაკი მგელაძის მემუარები, უნდა ვაღიარო, რომ უფრო სანდო წყაროდ აკაკი მგელაძის მოგონებები მიმაჩნია. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ **ლავრენტი ბერია** მგელაძეს ცუდად მოექცა, ის ბერიას ცუდად მაინც არ მოიხსენიებს.

სტალინი, ჩარკვიანი, მგელაძე იმიტომ ვახსენე ამ წერილში, რომ, როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, ომის შემდგომ წლებს საქართველოში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. სტალინს აწვდიდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციებს, რომელთა გამოც საქართველოს ხელმძღვანელობა არც ისე კმაყოფილი იყო.

1951 წელს ლიკანში მყოფმა სტალინმა თავისი სემინარიის მეგობარი — **კორნელი კეკელიძეც** კი არ მიიღო დასალაპარაკებლად და კეკელიძის ახლადგამოცემული წიგნი, რომელიც ავტორს საჩუქრად უნდა მიერთმია სტალინისთვის, დაცვას გადასცა. აკადემიკოსი ძალზე უკმაყოფილო გაბრუნდა თბილისში.

როგორც ჩანს, ომისშემდგომი პერიოდი საქართველო პირველკაცობისთვის გაჩაღებული ბრძოლის არენა იყო, რასაც კარგად ხედავდა სტალინი, ამიტომ ყველა მებრძოლ ავანტიურისტს გზა გადაუკეტა და საქართველოში აკაკი მგელაძე დასვა პირველ კაცად.

იყო თუ არა სწორი აკაკი მგელაძისგან კანდიდ ჩარკვიანის მიმართ შეურაცხმყოფელი კამპანიის გამართვა? — რა თქმა უნდა, არა! სწორედ მან შექმნა იმის წინაპირობა, რომ თავისი ხანმოკლე პირველკაცობის პერიოდში ბევრი შეცდომა მიაწერეს უპატიოსნეს აკაკი მგელაძეს, თუმცა არა ხალხმა, არამედ ზოგიერთმა ავანტიურისტმა.

დავუბრუნდეთ ვასილ მჟავანაძეს, **რომელმაც მძიმე ვითარებაში ჩაიბარა რესპუბლიკა: აქეთ — მეგრელთა საქმე, იქით — ჯერ დაუსახლებელი ქლუხორი და ახალხევი, აწყვეტილი გიჟი ხრუშჩოვი, რომელმაც უკვე დაამარცხა მისთვის ყველაზე საძულველი ორი პიროვნება — სტალინი და ბერია, გასანადგურებლი ჰყავს ქართველი ხალხი და ტირანთა სამშობლო — საქართველო. აი ამ ვითარებაში ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გულჩვილი, კაცთმოყვარე, ბეჯითი, უღალატო, მაგრამ მტკიცე, ვით ფოლადი, პრინციპული და „უშიში ვითარცა უხორცო“, ზნეკეთილი და ყველას დამხმარე ვასილ მჟავანაძე.**



ვასილ მჟავანაძე, ერთი მხრივ, ებრძოდა **სუსლოვს**, არ ცეკვავდა ხრუშჩოვის დაკრულზე; მეორე მხრივ, პოლიტბიუროს ყველა წევრს სთხოვდა, საქართველოსთვის დაებრუნებინათ ორი მოამაგე და ვალმოხდილი ადამიანი, თავისი წინამორბედები — კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე, რომლებსაც საქართველოში ჩამოსვლის უფლება არ ჰქონდათ.

**მჟავანაძის ავტორიტეტმა სიცხეში სინდიყის სვეტივით დაიწყო მაღლა აწევა, მას უამრავი მხარდამჭერი და დავალების პატიოსნად შემსრულებელი პარტიული თუ სამეურნეო მუშაკი ამოუდგა მხარში. რესპუბლიკაში შეიქმნა მეგობრობისა და აღმშენებლობის ატმოსფერო. ხელისუფლება მკაცრი ადმინისტრირებული მმართველობიდან ურთიერთგაგებისა და პატივისცემის რეჟიმში გადავიდა.** ვასილ მჟავანაძემ პირადად გაიცნო თითქმის ყველა პარტიული და სამეურნეო მუშაკი, იცოდა ყველას გვარი და სახელი. იცნობდა მეურნეობის დირექტორებსა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, მოწინავე მუშებსა და კოლმეურნეებს, მიდიოდა მათთან სახლში ლხინსა თუ ჭირში. მას აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა, რა უჭირდა და რა ულხინდა მისი ქვეყნის მოქალაქეს. მჟავანაძისთვის პატიოსანი ადამიანი იყო ყველაზე საყვარელი და ძვირფასი, მისთვის ემეტებოდა სახლი, ავეჯი, ავტომანქანა, თანამდებობა და ყველაფერი კარგი, რაც მისი კარგი კაცობიდან და მოვალეობიდან გამომდინარეობდა.

მჟავანაძის კეთილგანწობას ზოგიერთი ბოლმიანი კარიერისტი, ჩასაფრებული და ქვეშქვეშა ბოროტად იყენებდა და ჭორებს ავრცელებდა შესაბამისი ქვედანაყოფების მეშვეობით, რათა სახელი გაეტეხათ, როგორც რესპუბლიკისთვის, ისე მისი ღირსეული მეთაურისთვის. ერთგული ადამიანები შეფარვით თუ ღია ტექსტით ეუბნებოდნენ მოარულ ჭორებს, მაგრამ ვასილ მჟავანაძე თვლიდა და ასეც იყო, რომ ის მათზე მაღლა იდგა და ყურადღებასაც არ აქცევდა გავრცელებულ ჭორებს..

მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ვასილ მჟავანაძის ქალიშვილის ქმრის, აკადემიკოს **ხარატიშვილის** მონაყოლი:

„მე მას (ვ. მჟავანაძეს) სადილის შემდეგ განმარტოებულად ვუთხარი ზოგიერთი რამ, რაც საზოგადოებაში მესმოდა, და ვურჩიე, ზოგიერთის შესახებ გაემახვილებინა ყურადღება. მან ირონიულად შემომხედა და მითხრა:

— დროა, გამოხვიდე დიასახლისების სამზარეულოს პოლიტიკის სფეროდან. ქვეყანაში გაცილებით მეტია გასაკეთებელი, ვიდრე შენ გგონია. მეტი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გავიდა საუბრიდან, — მითხრა ერთხელ ხარატიშვილმა კერძო საუბრისას.

დაბადებიდან 70 წლისთავზე ვასილ მჟავანაძის მოულოდნელი ჩამოცილება რესპუბლიკის პირველკაცობიდან, იყო მრავალწლიანი ფარული შეთქმულების შედეგი, რომელსაც ზოგიერთი ქართველი ავანტიურისტი ედგა სათავეში (შევარდნაძე არ მყავს მხედველობაში. — გრ. ონიანი). სწორედ მათი მცდელობითა და მეცადინეობით, რასაც არ აკლდა ფინანსური უზრუნველყოფა, მოხდა მოსყიდვა „მეფის კარზე“ დაახლოებული პირებისა, რომლებმაც დაარწმუნეს გონება და მეტყველებადაკარგული „მეფე“ ვასილ მჟავანაძის პენსიაზე გასვლის აუცილებლობაში და იქვე დაუსახელეს საქართველოს მხსნელის კანდიდატურაც.

ჯერ კიდევ არ გასულა საკმარისი დრო, მაგრამ ისტორია თავის კონტურებს ხაზავს პიროვნებებზე, ვინ რა კვალი დატოვა ხალხის გულში და შემდგომ — ქვეყნის ისტორიაში.

**ცნობისათვის: ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე დაიბადა 1902 წლის 20 სექტემბერს ქუთაისში (გარდაიცვალა 1988 წლის 31 აგვისტოს მოსკოვში). ქართველი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1944), სოციალისტური შრომის გმირი (1962). 1924 წლიდან მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1937 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია. დიდი სამამულო ომის (1941-1945) წლებში იყო შენაერთების კომისარი, არმიების სამხედრო საბჭოს წევრი. 1945-1953 წლებში — ხარკოვის, კიევისა სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოს წევრი. 1953-1972 წლებში — საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მის დროს აშენდა სპორტის სასახლე, საფუძველი ჩაეყარა მეტროპოლიტენის მშენებლობას და დაარსდა სტალინის მუზეუმი.**





კარტელის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველად ისტორიაში ოქროს ბაზარი აღმოჩნდა „თავისუფალი ცურვის“ პირობებში. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ახლა ძვირფასი ლითონის ფასი სწრაფად მოიმატებს. CITIBANK-ის ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ უახლოეს 1-2 წელიწადში საბირჟო კოტირებები მიაღწევენ ნიშნულს — ორი ათას დოლარს უნციაზე — ერთი მესამედით მეტს, ვიდრე ახლაა. და ეს მხოლოდ დასაწყისია.**

# ოქროს მსოფლიო ბაზარზე რადიკალური ცვლილებებია

## რატომ ჩამოინგრა მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ოქროს კარტელი

**26 სექტემბერს ევროპის ცენტრალურმა ბანკებმა უარი განაცხადეს გაეგრძელებინათ ოქროს შეთანხმებული გაყიდვის თაობაზე დადებული გარიგება — Central Bank Gold Agreement. ძვირფასი ლითონების მსოფლიო ბაზარი, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდება ინგლისის ბანკისა და როტშილდის დინასტიის საუკუნოვანი კონტროლისა და მანიპულირებისგან. როგორ მოქმედებდა და რატომ ჩამოინგრა მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ოქროს კარტელი, მასალიდან შეიტყობთ.**

### ბაზრის მეფეები

ამა წლის ცხრამეტ სექტემბერს როტშილდების იმპერიის შტაბ-ბინაში, კომპანია N M Rothschild & Sons ofisSi, სენტ-სუიტინს-ლეინში ლონდონში, გაიმართა წვეულება. აღინიშნეს ე. წ. ლონდონის ოქროს ფიქსინგის ასი წლისთავი - ოქროს ფასის განსაზღვრისათვის წამყვანი ბანკირების ყოველდღიური შეხვედრების იუბილე.

იუბილე აღინიშნა ვიწრო წრეში: ბანკების Barclays, HSBC, Deustsche Bank, Scotiabank da Societe Generale-ს წარმომადგენლები, კომპანია The London Gold Market Fixing Limited-ის ტოპ-მენეჯერები (LGMFL, რომლის დამფუძნებლებიც აღნიშნული ხუთი ბანკია) და ინგლისის ბანკის ხელმძღვანელობა, რომელიც ასევე ყოველთვის მონაწილეობდა ოქროს „საბაზრო“ კოტირებების ფორმირებაში.

სტუმრებს მასპინძლობდა N M Rothschild & Sons-ის ხელმძღვანელი **დევიდ რენე დე როტშილდი.** ლონდონის ოქროს ფიქსინგის არსებობის პირველივე დღიდანვე, 1919 წლის 12 სექტემბრიდან, როტშილდები მასში წარმოადგენდნენ არა მხოლოდ საკუთარ ფინანსურ იმპერიას, არამედ ინგლისის ბანკსაც.

ამის შესახებ თვით დიდი ბრიტანეთის ცენტრალური ბანკის ჩინოსნებს წამოსცდათ შემთხვევით 1964 წელს ერთ-ერთ ბიულეტენში. **„ფიზიკურად ინგლისის ბანკი არ არის წარმოდგენილი ლონდონის ოქროს ფიქსინგში, მაგრამ მას შეუძლია ეფექტიანად იმონაწილეოს ოქროს ფასის განსაზღვრაში საკუთარი ბროკერის მეშვეობით, რისთვისაც ინგლისის ბანკი სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ ლონდონის ოქროს ფიქსინგის თავმჯდომარის, როტშილდის მომსახურებით“**, — ნათქვამია დოკუმენტში.

### გავლენის გაკვეთილი

ლონდონის ოქროს ფიქსინგის საბაზრო ძალაუფლების პიკი იყო გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. მას შემდეგ, რაც 1971 წელს შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა დოლარის ოქროთი უზრუნველყოფაზე, ძვირფასი ლითონების ფასებმა სწრაფად მოიმატა — ცხრა წელიწადში 25-ჯერ: 35 დოლარიდან უნციაზე 1971 წელს, 850 დოლარამდე 1980 წელს.

მაგრამ შემდეგ, როტშილდებისა და ინგლისის ბანკის ძალისხმევით, აშკარა მიზეზების გარეშე, კოტირებები ორი წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ შემცირდა: 1982 წელს უნცია ოქრო ღირდა 300 დოლარზე ოდნავ მეტი. ასე მონაწილეობდნენ ლონდონელი „ფიქსატორები“ სსრკ-ს წინააღმდეგ ეკონომიკურ ომში, რომელიც ვაშინგტონმა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ გააჩაღა. **მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა ექსპორტის ძირითად საქონელზე — ნავთობსა და ოქროზე — ფასების ჩამოშლა. ნავთობის მიმართულებით აშშ წარმატებით მუშაობდა საუდის არაბეთთან, როდესაც პრინცი ფადჰი დაარწმუნეს, მკვეთრად გაეზარდა მოპოვება და ექსპორტი.**

ოქროს მიმართ ვაშინგტონს თავდაპირველად პრობლემები შეექმნა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს **ხელმძღვანელის უილიამ კეისის** საიდუმლო ვიზიტი პრეტორიაში, რომელიც მიზნად ისახავდა გაეზარდათ ძვირფასი ლითონების ექსპორტი, ჩაიშალა. პრემიერმინისტრმა **პიტერ ბოტამ** დათმობის სანაცვლოდ მოითხოვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, როგორც რასისტული რეჟიმის, საერთაშორისო ბოიკოტის გაუქმება. აშშ-ის პრეზიდენტ **რონალდ რეიგანისათვის** ეს პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ვაშინგტონმა დახმარებისთვის ლონდონს მიმართა. „რკინის ლედიმ“ **მარგარეტ ტეტჩერმა** ინგლისის ბანკს შესაბამისი ინსტრუქციები მისცა. როტშილდები მომზადებულები ჩაერთვნენ კომუნიზმთან ბრძოლაში და ლონდონის ოქროს ფიქსინგმა მკვეთრად შეამცირა ძვირფასი ლითონის კოტირებები.

### სკანდალი მხილებით

თუმცა წარსული სიდიადე და საიუბილეო წვეულება N M Rothschild & Sons-ის შტაბ-ბინაში სულაც არ გახლდათ მხიარული. საქმე ის არის, რომ ბოლო წლების განმავლობაში საზედამხედველო ორგანოები სერიოზულად დაინტერესდნენ ლონდონის ოქროს ფიქსინგის საქმიანობით. 2013 წლის დეკემბერში გერმანიის ფინანსურმა მარეგულირებელმა BaFin-მა Deutsche Bank-ისგან მოითხოვა ოქროთი ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რის შემდეგაც სამეთვალყურეო ორგანოს თანამშრომლებმა ჩაატარეს რამდენიმე ინსპექტირება ბანკის განყოფილებებში, რომლებიც ძვირფასი ლითონების ოპერაციებით იყვნენ დაკავებულნი. შედეგად, 2014 წლის იანვარში, Deutsche Bank-მა განაცხადა „ფიქსატორების“ სიიდან გასვლის შესახებ.

2014 წლის მაისში, ბრიტანეთის ფინანსური კონტროლისა და რეგულირების სამმართველომ (FCA) Barclays ბანკის ძვირფასი ლითონების განყოფილების დირექტორი **დანიელ პლანკეტი** ოქროს ფასებით მანიპულირებაში დაადანაშაულა. ის მსხვილი თანხით დააჯარიმეს და ჩამოართვეს საბროკერო ლიცენზია. თვითონ Barclays-ს დააკისრეს 26 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა „საკუთარი და მომხმარებლების ინტერესთა კონფლიქტის სწორი გზით მოგვარების შეუძლებლობის, აგრეთვე, ოქროს ფიქსინგთან დაკავშირებულ კონტროლის სისტემებში ჩავარდნების“ გამო.

2015 წლის დეკემბერში კანადელ ინვესტორთა ჯგუფმა კოლექტიური სარჩელი შეიტანა ონტარიოს უმაღლეს სასამართლოში ლონდონის ოქროს ფიქსინგის ყველა წევრის, მათ Soris The London Gold Market Fixing Limited-ის წინააღმდეგ, და ისინი დაადანაშაულეს "შეთქმულებაში ეკონტროლებინათ ან დაუსაბუთებლად გაეზარდათ ფასები ოქროსა და ოქროსთან დაკავშირებულ საინვესტიციო ინსტრუმენტებზე“.

ამ ყველაფრის ფონზე, Barclays-მა და Societe Generale-მა დატოვეს სინდიკატი, ხოლო Scotiabank-მა ბიზნესის რეორგანიზაცია მოახდინა და შეაჩერა ოპერაციები ძვირფას ლითონებზე. **„ჯერ კიდევ მოქმედი LONDON GOLD MARKET FIXING LIMITED-ის პრობლემები ახლა უკვე ისეთი სერიოზული ჩანს, რომ „ლონდონის ოქროს ფიქსინგად“ წოდებული ყოფილი ბინძური ორმო დაწყევლილივით გამოიყურება. ასე რომ, როდის შეექმნება უსიამოვნებები არასახარბიელო რეპუტაციის მქონე სინდიკატის მეხუთე წევრ HSBC-ს, ეს მხოლოდ დროის საკითხია“, — აღნიშნავს ოქროს ბაზრის ანალიტიკოსი რონან მენლი.**

როტშილდის იმპერიამ კიდევ ერთხელ შეძლო პრობლემების თავიდან აცილება, თუმცა უკვე აშკარაა, რომ გლობალური ოქროს ბაზრით მანიპულაციის მათი პროექტის ასი წლის იუბილე უკანასკნელი იქნება.

### თავისუფალი ცურვა

როტშილდისა და თანამებრძოლების საიუბილეო წვეულებიდან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ოქროს გლობალურმა ბაზარმა ახალი ძვრა განიცადა: 26 სექტემბერს ევროპის ცენტრალურმა ბანკებმა არ განაახლეს Central Bank Gold Agreemen (CBGA) — შეთანხმება ოქროზე ფასების რეგულირების შესახებ, რომელიც 1999 წელს დაიდო.

შემთხვევითი არ არის, რომ CBGA გაჩნდა იმ წელს, როდესაც ევრო შემოვიდა ბრუნვაში. ევროპული ვალუტის შემქმნელები სერიოზულად შიშობდნენ, რომ ძველი მსოფლიოს მკვიდრნი, მათი ტრადიციული ნდობით ოქროს მიმართ, დაიწყებდნენ ახალი ფულის ძვირფას ლითონებზე მასობრივად გადაცვლას, რაც ძირს გამოუთხრიდა ევროს საბაზრო ღირებულებას.

ეს შიშები მკვეთრად გამყარდა მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა განაცხადა, რომ აპირებდა გაეყიდა ოქროს მარაგის ნახევარზე მეტი. კოტირებები მყისვე ჩამოიშალა და გაიაფებულ ძვირფას ლითონს ახალი ევროპული ფულის მფლობელები თავს დაატყდნენ ფასთა შემდგომ ზრდაზე გათვლით.

სინამდვილეში ბრიტანელები, რომლებსაც ევროკავშირის შექმნის შემდეგ ევროპაში გავლენის დაკარგვის ეშინოდათ, უბრალოდ, აშანტაჟებდნენ კონტინენტურ პარტნიორებს ახალი ვალუტის განადგურებით. ამიტომ, ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB) ინიციატივით გამოვიდა, დადებულიყო შეთანხმება Central Bank Gold Agreement, რითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკები ვალდებულნი ხდებოდნენ, შეეზღუდათ ოქროს გაყიდვა საკუთარი რეზერვებიდან.




> **«ჯერ კიდევ მოქმედი LONDON GOLD MARKET FIXING LIMITED-ის პრობლემები ახლა უკვე ისეთი სერიოზული ჩანს, რომ «ლონდონის ოქროს ფიქსინგად» წოდებული ყოფილი ბინძური ორმო დაწყევლილივით გამოიყურება. ასე რომ, როდის შეექმნება უსიამოვნებები არასახარბიელო რეპუტაციის მქონე სინდიკატის მეხუთე წევრ HSBC-ს, ეს მხოლოდ დროის საკითხია», — აღნიშნავს ოქროს ბაზრის ანალიტიკოსი რონან მენლი**

შედეგად, ევროს კურსი ძირითად მსოფლიო ვალუტების მიმართ და ოქროს კოტირებები დაცული გახდა. თავის მხრივ, ინგლისის ბანკმა გავლენის ძლიერი ბერკეტი მოიპოვა ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე, რადგან გადამწყვეტ როლს თამაშობდა ოქროს ფასის დადგენაში ლონდონის ოქროს ფიქსინგის მეშვეობით.

Central Bank Gold Agreement ხელმოწერილი იქნა 4 წლის ვადით, შემდგომ კი სამჯერ სამჯერ გაუგრძელდა ვადა (2004, 2009 და 2014 წელს), მაგრამ შემდგომი გაგრძელება აღარ მომხდარა. „შეთანხმების მოქმედების განმავლობაში ოქროს ბაზარი რადიკალურად შეიცვალა, — განმარტავს ევროპის ცენტრალური ბანკი, — მოიმატა ლიკვიდურობამ, გაფართოვდა ინვესტორთა ბაზა, ხოლო ფასებმა ხუთჯერ მოიმატა — 260 დოლარიდან 1999 წლის შემოდგომისთვის, 1420 დოლარამდე დღეს“.

მართლაც, უკვე აღარ არსებობს ოქროს სპონტანური გაყიდვების რისკი. პირიქით, ცენტრალური ბანკების ოქროს რეზერვები რეკორდული ტემპით ივსება. მსოფლიო ოქროს საბჭოს მონაცემებით, გასულ წელს ეს მარაგი გაიზარდა 651 ტონით — ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1971 წლის შემდეგ. ასე რომ, CBGA-ს გაუქმება არ ჩამოშლის კოტირებებს.

მაგრამ ექსპერტები სხვა რამეს აღნიშნავენ: **პირველად ისტორიაში ოქროს ბაზარი აღმოჩნდა „თავისუფალი ცურვის“ პირობებში. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ახლა ძვირფასი ლითონის ფასი სწრაფად მოიმატებს.**

Citibank-ის ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ უახლოეს 1-2 წელიწადში საბირჟო კოტირებები მიაღწევენ ნიშნულს — ორი ათას დოლარს უნციაზე — ერთი მესამედით მეტს, ვიდრე ახლაა. და ეს მხოლოდ დასაწყისია.

„მე არ გამიკვირდება თუკი ოქრო 3000 დოლარი გახდება“, — ამბობს უოლ-სტრიტის პატივსაცემი ანალიტიკოსი და საინვესტიციო კომპანია GluskinSheffandAssociates-ის მთავარი ეკონომისტი **დევიდ როზენბერგი.**

**„რია ნოვოსტი“**

**სამგზავრო მოდული ალჭურვილია სინქრონული ელექტროძრავით, რომელსაც მაღალი გრეხვითი მომენტი აქვს და შეუძლია, კაფსულს 500 კმ/სთ სიჩქარე განავითარებინოს. იუნიბუსის მართვა ხდება ინტელექტუალური სისტემის საშუალებით, რომელიც განუწყვეტლივ აანალიზებს ვითარებას მოდულის შიგნით და გარეთ. ეს ტოქნოლოგია საშუალებას იძლევა, სრულიად გამოირიცხოს ადამიანური ფაქტორი და კაფსულებს შორის მოძრაობის ინტერვალი 20-25 წმ-მდე შემცირდეს.**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბელარუსში მომავლის სატრანსპორტო სისტემა შექმნეს

**ზაფხულის მიწურულს, ეკოფესტივალის ჩარჩოებში წარმოდგენილი იქნა ბელარუსელი ინჟინრის, ანატოლი იუნიცკის, მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი სატრანსპორტო სისტემა SkyWay. კონსტრუქტორის თქმით, ახალი სატრანსპორტო ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევა, ავტომობილთან შედარებით 5-7-ჯერ შემცირდეს ენერგოდანახარჯები. ამასთანავე, ის გაცილებით გამძლეა და არ აბინძურებს ატმოსფეროს.**

სატრანსპორტო სისტემა SkyWay-ს არსი არის ის, რომ მცირე ზომის სამგზავრო მოდელები რელსურ-სიმური კონსტრუქციების წყალობით მიწის ზედაპირის ზემოთ გადაადგილდება. კონსტრუქციებში გამოყენებულია წინასწარ გაჭიმული სიმებით არმირებული (არმირება — კონსტრუქციის გაძლიერაბა სხვა მასალით) ფოლადის ან რკინა-ბეტონის გაუჭრელი კოჭი. საყრდენების სიმაღლე რამდენიმე მეტრიდან შეიძლება აღწევდეს რამდენიმე ათეულ მეტრს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს კაფსულის აეროდინამიკურ წინააღმდეგობას და შედეგად მცირდება ენერგოდანახარჯები გადაადგილებაზე. თანაც, მსგავსი კონსტრუქციები რამდენჯერმე მტკიცეა ტრადიციულ ხიდებსა და ესტაკადებზე.

ამას გარდა, ასეთი „საჰაერო გზების“ მშენებლობა გაცილებით იაფი ჯდება სიმური რელსის გაუჭრელი სტრუქტურის გამო, რომელსაც გაცილებით ნაკლები სამაგრი დეტალი და სამშენებლო მასალა სჭირდება. შესადარებლად: **1 კმ-ის სიგრძის ჩვეულებრივი ესტაკადის ასაგებად 100 მლნ დოლარია საჭირო, ხოლო SKY-WAY-ს ანალოგიური სიგრძის მონაკვეთისთვის — 3 მლნ.**



რაც შეეხება სამგზავრო მოდულს, ის აღჭურვილია სინქრონული გამწევი ელექტროძრავით, რომელსაც მაღალი გრეხვითი მომენტი აქვს და შეუძლია, კაფსულს 500 კმ/სთ სიჩქარე განავითარებინოს. იუნიბუსის მართვა ხდება ინტელექტუალური სისტემის საშუალებით, რომელიც განუწყვეტლივ აანალიზებს ვითარებას მოდულის შიგნით და გარეთ. ეს ტოქნოლოგია საშუალებას იძლევა, სრულიად გამოირიცხოს ადამიანური ფაქტორი და კაფსულებს შორის მოძრაობის ინტერვალი შემცირდეს 20-25 წმ-მდე.

SkyWay-ს ერთი სამგზავრნო „კაბინა“ 10 ადამიანს იტევს. ინჟინრების თქმით, ორმიმართულებიანი სისტემისთვის პიკური გამტარობა 20-საათიანი მუშაობისას დღეში 720 ათასი ადამიანი იქნება. ამასთანავე, რელსურ-სიმური კონსტრუქცია აბსოლუტურად არ ვნებს გარემოს და არ ანგრევს ლანდშაფტს, რადგან არ სჭირდება გრუნტის ამოღება-დამუშავება.

აღსანიშნავია, რომ 11 მოდელიდან 4-მა უკვე გაიარა სერტიფიკაცია. ამ ინოვაციურ სატრანსპორტო სისტემაზე 86 საკონსტრუქტორო ბიურო მუშაობს. უამრავმა ინვესტორმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მხარი დაუჭირა პროექტს, ხოლო დუბაიში ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმაში შეიტანეს.



სატრანსპორტო სისტემა SKYWAY-ს არსი არის ის, რომ მცირე ზომის სამგზავრო მოდელები რელსურ-სიმური კონსტრუქციების წყალობით მიწის ზედაპირის ზემოთ გადაადგილდება. კონსტრუქციებში გამოყენებულია წინასწარ გაჭიმული სიმებით არმირებული (არმირება — კონსტრუქციის გაძლიერება სხვა მასალით) ფოლადის ან რკინა-ბეტონის გაუჭრელი კოჭი. საყრდენების სიმაღლე რამდენიმე მეტრიდან შეიძლება რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევდეს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს კაფსულის აეროდინამიკურ წინააღმდეგობას და შედეგად მცირდება ენერგოდანახარჯები გადაადგილებაზე. თანაც, მსგავსი კონსტრუქციები რამდენჯერმე მტკიცეა ტრადიციულ ხიდებსა და ესტაკადებზე



# რუსეთი და უკრაინა განაგრძობენ პოზიტიურ დიალოგს, მიუხედავად მისი ჩაშლის სურვილისა ორივეს მიმართ მტრულად განწყობილი ძალების მხრიდან. მათ ამჯერად ამერიკელები დაეხმარნენ

**მიღებაზე, რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკის სახელმწიფო მეთაურის — დონალდ ტრამპის მიერ, გაიმართა შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ სერგეი ლავროვსა და უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის შორის. ეს ინფორმაცია გავრცელდა დიპლომატიური წყაროების მეშვეობით.**

ტრამპმა მოაწყო მიღება იმ სახელმწიფო მეთაურებისთვის, რომლებიც გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე ნიუ-იორკში ჩავიდნენ.

სახელმწიფო მეთაურებთან ერთად მიღებაზე მიწვეული იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** (ამერიკული მხარის აზრით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რანგით სხვა ბევრი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურის ტოლია).

მიღებაზე „მოკლე კონტაქტისას“ ლავროვმა და ზელენსკიმ რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობაზე იმსჯელეს. საუბარი საქმიანი გამოვიდა.

# მოვიდა დრო, გაერო გავიდეს აშშ-ის ტერიტორიიდან

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგე ლავროვის განცხადებით, რუსეთის დელეგაციის წევრებისთვის გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობისთვის ამერიკის ვიზების გაცემაზე უარის თქმა მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია ზოგიერთი საერთაშორისო ღონისძიების გადატანა ნიუ-იორკიდან.**

ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციის პრაქტიკულად ყველა წევრმა, რომლებიც შეყვანილი იყვნენ განაცხადში გაეროს ასამბლეის სესიაზე მონაწილეობისთვის, ვიზა ვერ მიიღო.

რუსეთის დელეგაციის წევრებისთვის ვიზების გაუცემლობის გამო საპასუხო ღონისძიებად მოსკოვმა დაასახელა ის, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტის სხდომა აშშ-ის ნაცვლად სხვა ქვეყანაში ჩატარდეს.

**„საპასუხო ზომად ჩვენ პრაქტიკულ სიბრტყეში უკვე დავაყენეთ საკითხი იმის შესახებ, რომ სხდომა, მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტისა, განიარაღების კომიტეტის (არის ასეთი ორგანო) აშშ-ის ტერიტორიაზე არ ჩატარდეს. ჩვენ ახლა ვნახავთ, როგორი რეაქცია ექნებათ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა.**

ჩვენი მხრიდან დავძენთ: მრავალპოლუსიან მსოფლიოს სჭირდება, რომ გაერო ან გაეროს მსგავსი ახალი ორგანიზაცია არც ერთი პოლუსის ტერიტორიაზე არ მდებარეობდეს, ნეიტრალურის გარდა. ალბათ, ამისკენ გადადგმული პირველი საჯარო ნაბიჯია ამერიკელების საქციელი და რუსების პასუხიც...

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით
მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

მივიწყებული ისტორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1918 წლის 12 დეკემბერს სომხები ლორესა და ახალციხეში შეიჭრნენ და უიარაღო ქართველი მესაზღვრეები დახოცეს. 20 დეკემბერს ქართული ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა და ტერიტორიების დიდი ნაწილი გაათავისუფლა. განწირულ სომხეთს მშველელად ინგლისი გამოუჩნდა. არბიტრის როლი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიამ იკისრა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ომში გაიმარჯვა, პოლიტიკური შედეგებით იგი დამარცხებული აღმოჩნდა. ინგლისის ჩარევით საქართველოს ლორე დაათმობინეს და ნეიტრალურ ზონად გამოაცხადეს.**

# ბრიტანელების მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს

**XX საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში საქართველოში უამრავი სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტი მოხდა. დღეს გვინდა, გიამბოთ ერთ-ერთ საინტერესო ფაქტზე, რომელიც უკვე დავიწყებას მიეცა, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის მიერ აჭარის ოკუპაციაზე — 1918 წელს დიდმა ბრიტანეთმა მოახდინა აჭარის ოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის ეს უმშვენიერესი კუთხე 1920 წლამდე ჰქონდა ოკუპირებული.**

1918 წლის დეკემბერში ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 5 ინგლისური გემი 15-20-ათასკაციანი ჯარით. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი.

**1918 წლის 12 დეკემბერს სომხები ლორესა და ახალციხეში შეიჭრნენ და უიარაღო ქართველი მესაზღვრეები დახოცეს. 20 დეკემბერს ქართული ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა და ტერიტორიების დიდი ნაწილი გაათავისუფლა. განწირულ სომხეთს მშველელად ინგლისი გამოუჩნდა. არბიტრის როლი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიამ იკისრა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ომში გაიმარჯვა, პოლიტიკური შედეგებით იგი დამარცხებული აღმოჩნდა. ინგლისის ჩარევით საქართველოს ლორე დაათმობინეს და ნეიტრალურ ზონად გამოაცხადეს.**

ბრიტანული მმართველობის პერიოდში ბათუმში ისეთი სიტუაცია იყო, როგორიც დიდი ბრიტანეთის სხვა კოლონიებში. ინგლისელებმა აჭარიდან დიდი რაოდენობის ოქრო და ძვირფასეულობა გაიტანეს. ისინი არც სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და ხელოვნების ნიმუშების გატანას არ ერიდებოდნენ. 1919 წელს ინგლისურმა ფირმებმა აჭარიდან გაზიდეს 337,5 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი, რომელიც სიმბოლურ ფასად ჰქონდათ შეძენილი ან, საერთოდ, თვითონ კარნახობდნენ გასაყიდ ფასს.

**ინგლისელი სამხედროები ბათუმში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც კურორტზე. სწორედ მათი აქტიური თაოსნობით იხსნებოდა ქალაქში უამრავი კაბარე, კაზინო და რესტორანი, რომლებშიც ისინი დროს ატარებდნენ. როგორც ყოველთვის, ბევრ ალკოჰოლურ სასმელს მიირთმევდნენ და მთელი ქალაქი მოსამსახურე პერსონალად ჰყავდათ გადაქცეული.**

ბათუმის ოკუპაციის გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ იყო მიღებული 1918 წლის 13 ნოემბერს. ბათუმი ბრიტანული ფლოტის ბაზირების სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა სხვა ფრონტებზე საომარი მოქმედებების უზრუნველსაყოფად.

**1920 წლის 10 ივნისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სხდომაზე დაადგინეს, გაეუქმებინათ ბათუმის ოკუპაცია და ოლქი გადაეცათ საქართველოსთვის. 1920 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი საქართველო-დიდი ბრიტანეთის შეთანხმებით, ინგლისის მთავრობის მიერ ოლქის, პორტისა და ქალაქ ბათუმის საქართველოს მთავრობისათვის გადაცემის შემდეგ**


ბრიტანული გემები ბათუმის პორტში

**ინგლისელი სამხედროები ბათუმში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც კურორტზე. სწორედ მათი აქტიური თაოსნობით იხსნებოდა ქალაქში უამრავი კაბარე, კაზინო და რესტორანი, რომლებშიც ისინი დროს ატარებდნენ. ისინი, როგორც ყოველთვის, ბევრ ალკოჰოლურ სასმელს მიირთმევდნენ და მთელი ქალაქი მოსამსახურე პერსონალად ჰყავდათ გადაქცეული**

**საქართველოს მთავრობა გარანტიას იძლეოდა, რომ უზრუნველყოფდა დამოუკიდებელი რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის ტვირთების თავისუფალ ტრანზიტს ბათუმის პორტში და პორტიდან საქართველოს რკინიგზებით და ვალდებულებას იღებდა, რომ აღნიშნულ რესპუბლიკებს ბათუმის პორტით თავისუფალი სარგებლობის უფლებას მისცემდა.** შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრებმა: **ევგენი გეგეჭკორმა და ნოე რამიშვილმა**, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხრიდან — საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელმა, პოდპოლკოვნიკმა **უილიან სტოქსმა.**

1920 წლის ივლისის დასაწყისიდან აჭარას დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მართავდა, რომელმაც მალე დაკარგა ხელისუფლება საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის ჯარების ერთობლივი შეტევის შედეგად. ბათუმში პირველები თურქეთის ჯარები შევიდნენ, მაგრამ მათი ოკუპაცია ხანმოკლე აღმოჩნდა:

1921 წლის 16 მარტს თურქეთმა აჭარის მიერთება გამოაცხადა, მაგრამ იმავე დღეს მოსკოვში უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესახებაც **სტალინმა** კავკასიაში მყოფ **სერგო ორჯონიკიძეს** აცნობა: **„თურქებთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, ბათუმი საქართველოს რჩება. შეეცადე, რომ ძლიერი დარტყმით თურქები ბათუმიდან გაყარო, შემდეგ კი გამოაცხადე, — ეს გაუგებრობით მოხდაო“.**

მაგრამ თურქები დანებებას არ აპირებდნენ: 1922 წლის 9 ნოემბერს სტალინი ასეთ დეპეშას უგზავნის რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხრეო კომიტეტის მდივან სერგო ორჯონიკიძეს:

**„როგორც ანკარიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, თურქები აჭარაში პლებისციტის ჩატარების მოსათხოვად ემზადებიან და ქართულ და თურქულ აჭარას ერთ ავტონომიად აერთიანებენ. თურქებს, ალბათ, საფრანგეთი და ინგლისი დაუჭერენ მხარს. თუ თურქები საიდუმლოდ ხმებს მოაგროვებენ და ეფექტს მიაღწევენ, დიდი სკანდალი მოხდება. ისე ჩანს, რომ აჭარის საბჭოთა ორგანოები და მოსახლეობის ნაწილი მხარს თურქებს უჭერენ. აუცილებელია, დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები და აჭარა პროთურქული პროვოკატორებისაგან გაიწმინდოს, ხოლო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები – პანისლამისტებისაგან“.**

როგორც მოგეხსენებათ, საბოლოოდ, აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

politicano01.wordpress.com


ბრიტანელი ოკუპანტები ბათუმის ბულვარში


ბრიტანელი სამხედროები ბათუმში

**სტალინი ორჯონიკიძეს: «როგორც ანკარიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, თურქები აჭარაში პლებისციტის ჩატარების მოსათხოვად ემზადებიან და ქართულ და თურქულ აჭარას ერთ ავტონომიად აერთიანებენ. თურქებს, ალბათ, საფრანგეთი და ინგლისი დაუჭერენ მხარს. თუ თურქები საიდუმლოდ ხმებს მოაგროვებენ და ეფექტს მიაღწევენ, დიდი სკანდალი მოხდება. ისე ჩანს, რომ აჭარის საბჭოთა ორგანოები და მოსახლეობის ნაწილი მხარს თურქებს უჭერენ. აუცილებელია დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები და აჭარა პროთურქული პროვოკატორებისაგან გაიწმინდოს, ხოლო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები — პანისლამისტებისაგან»**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲚᲒᲑᲢ-ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲨᲔᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ

**ტალინის ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის (რომელიც ამჟამად უნივერსიტეტად მოიხსენიება) რექტორატი მიიჩნევს, რომ ლგბტ-ის ისტორიის შესწავლა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სოციალურ შეკავშირებას. მიმდინარე სასწავლო წელს ტალინის უნივერსიტეტმა თავის სტუდენტებს შესთავაზა ახალი დისციპლინა, რომელიც ეძღვნება ადგილობრივი მამათმავლების, ტრანსგენდერებისა და ა.შ. საზოგადოებების ისტორიას, — იუწყება Sputnik-news-ი.**

ისტორიაც ჰქონიათ ესტონელ პედერასტებს. ჩვენ კი თბილისში სამად-სამი გვყავდა მხოლოდ — ტუზიკა, ქიშვარდა და მესამეს არ დავასახელებ. სამაგიეროდ დღეს იმდენი იჩემებს ორიენტაციაალრეულობას, რომ აქციების გასამართი რაოდენობაც უგროვდებათ.

„პრაიდები" — ლომის ოჯახები.

ამაზე დიდი კურიოზი თუ გსმენიათ სადმე?!

ტალინში მიაჩნიათ, რომ ამ გადედლებული მამლების ისტორიის შესწავლა ახალგაზრდობის საერთო განათლებას შეუწყობს ხელს. ორიგინალობს ტალინის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. ჩვენ აქ ვცინიკოსობთ, ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა კი მხარი დაუჭირა კოლეგების ინიციატივას და სტუდენტებს ნება დართო, დაესწრონ პედერასტების ისტორიის ლექციებს, როგორც მიწვეული მსმენელები.

საინტერესოა, სემინარები გაერთიანებული ექნებათ თუ ცალ-ცალკე ჩაატარებენ?

პრაქტიკას სად გაივლიან?

„საგანი განიხილავს ახალი სექსუალური მიმართულების წარმოშობას 1990-იანი წლების დამოუკიდებელ ესტონეთში. პროექტი, რომლის განხორციელებასაც უკვე შეუდგნენ, ესტონელ სტუდენტებს გაარკვევს „პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემებში, მათი გამოკვლევისა და აღმოჩენის შესაძლებლობას მისცემს," — წერს გამოცემა.

ცნობილი ესტონელი ჟურნალისტი **ჰარი კონგო** უკიდურესად აღაშფოთა ასეთი სასწავლო დისციპლინის შემოღებამ. იგი არ ეთანხმება იმ პრაქტიკას, რომელსაც განახორციელებს ტალინის უნივერსიტეტი ხალხისგან, მათ შორის, მისგანაც აკრეფილი გადასახადების ხარჯზე. მიიჩნევს, რომ ახალი საგანი არის „იდეოლოგიის, პოლიტიკის, ფსიქიკური გადახრების ასპროცენტიანი პროპაგანდა, რომელსაც მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს".

მისი აზრით, ფული, რომელსაც ასეთ „მეცნიერებს" უხდიან, ამოღებულია იმათი ჯიბეებიდან, ვინც მეცნიერებისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს.

„მიმაჩნია, რომ მანდ სხედხართ მავნებლები და არა მეცნიერები. თქვენ ხართ კიბო ჩვენი მშობლიური მეცნიერების. რატომ უნდა დავაფინანსო ეს სისულელე?! მზად ვარ, ფული გადავიხადო ახალგაზრდების განათლებისთვის და მეცნიერებისთვის და არა ამ პოლიტიკური მატრაბაზობისთვის!" — მიმართა ჟურნალისტმა ტალინის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

**ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ფსიქიატრიული კვლევების ცენტრის მეცნიერებმა წერტილი დაუსვეს „ჰომოსექსუალური გენის" ისტორიას ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოკვლევით და დაადასტურეს ის, რაც ისედაც ცნობილი იყო მსოფლიოს ყველა პატიოსანი ფსიქიატრისთვის: სექსუალური გაუკუღმართების არავითარი გენი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.**



ყველა სექსუალური გაუკუღმართება პედერასტიით დაწყებული, პედოფილიითა და სხვა კოპროფაგიით დამთავრებული, ან ფსიქიკური აშლილობის, ან პროპაგანდისა და გარყვნილების შედეგი და ნაყოფია. ჰომოსექსუალური ქცევის 99 პროცენტი გამოწვეულია სოციალური ან ეკოლოგიური ფაქტორებით.

**ჰომოსექსუალების გაცვეთილმა მანტრამ იმის თაობაზე, რომ ისინი „ასეთებად დაიბადნენ" და რომელიც ლგბტ-მოძრაობის პოლიტიკური რიტორიკის მთავარი ღერძი იყო, გაუკუღმართებულებს ნორმალური ორიენტაციის ადამიანების მხრიდან მათდამი ტოლერანტული დამოკიდებულების იმედს უტოვებდა, თქვენი ჭირი წაიღო.**

ბოლო 30 წლის განმავლობაში სოდომიტები უზარმაზარ თანხებს ხარჯავდნენ სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად, ჰომოსექსუალიზმის ბიოლოგიური საფუძველი რომ დაემტკიცებინათ, მაგრამ ვერც ერთი, ასე თუ ისე, სანდო მტკიცებულება ვერ მოიპოვეს. მაგალითად, 1993 წელს ვინმე **ᲓᲘᲜ ᲰᲔᲘᲛᲔᲠᲛᲐ** რომ აღმოაჩინა გარკვეული ქრომოსომების კავშირი მამაკაცების ჰომოსექსუალიზმთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ დააყოვნეს და სასწრაფოდ გამოაცხვეს წერილები, რომ ნაპოვნია „გეი-გენი", თუმცა თვითონ მეცნიერს მსგავსი არაფერი უთქვამს.

მომდევნო კვლევებმა დაგვანახვა, რომ გენეტიკას ძალუძს, აგვიხსნას ქალებში ჰომოსექსუალური მიდრეკილების მხოლოდ 18 პროცენტი, მამაკაცებში — 37 პროცენტი. დანარჩენზე პასუხისმგებელია საერთო გარემო (მაგალითად, ოჯახი, სკოლა) და კერძო, ცალკეული ფაქტორები (მაგალითად, კანონები ან ნორმები, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქცევას უკავშირდება. აქამდე ამტკიცებდნენ, რომ ჰომოსექსუალური მიდრეკილების გენეტიკური საფუძვლის დადგენა ვერ ხერხდებოდა ამ მიმართულებით კვლევების უმნიშვნელო მასშტაბებისა და შეზღუდული არეალის გამო, მაგრამ დღეისთვის განხორციელებულმა უდიდესმა კვლევამ, რომელიც ჰომოსექსუალურ მიდრეკილებაში გენების როლის დადგენას ისახავდა მიზნად, ამ უსაფუძვლო ჰიპოთეზას საბოლოოდ ხაზი გადაუსვა.



ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ზემოთ დასახელებული ცენტრის მეცნიერმა-ფსიქიატრებმა შეისწავლეს 480 ათასი ადამიანის მონაცემები აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. კაცების 4-მა პროცენტმა და ქალების 3-მა პროცენტმა, რომლებიც აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდნენ, აღიარეს, რომ მინიმუმ ერთხელ ჰქონდათ თავისივე სქესის წარმომადგენელთან სექსუალური კონტაქტი.

მეცნიერებმა გამოამჟღავნეს 5 სპეციფიკური გენეტიკური ვარიანტი — ერთი ციცქნა განსხვავებანი გენეტიკურ დონეზე, რომლითაც შეიძლება აიხსნას ჰომოსექსუალური ქცევის თავისებურება 8-დან 25 პროცენტამდე, მაგრამ ერთად აღებული ეს ვარიანტები ჰომოსექსუალური ქცევის ერთ პროცენტზე ნაკლებია. ეს კი ნიშნავს, რომ ჰომოსექსუალიზმის 99 პროცენტი დამოკიდებულია სოციალურ, ოჯახის, ნორმატიულ-სამართლებრივ და ა.შ. ფაქტორებზე, ანუ გარემოზე.

„მხოლოდ გენეტიკის დონეზე ვინმეს სექსუალური აქტივობის ან ორიენტაციის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია", — ასკვნის კვლევის ავტორი, ჰარვარდის სამედიცინო კლინიკის მეცნიერი-თანამშრომელი **ანდრეა ჰანა.**

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ **დევიდ ქერტისის** თქმით, „ეს გამოკვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიც „გეი-გენია". კაცობრიობის პოპულაციაში არ არსებობს გენების ისეთი შეხამება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სექსუალურ ორიენტაციაზე. ფაქტობრივად, შეუძლებელია, ვიწინასწარმეტყველოთ ადამიანის სექსუალური ქცევა მისი გენომის მიხედვით".

**მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ყველაფრის თავიდათავია აგრესიული პროპაგანდა, რომლის შედეგად გაჩნდა მოდა პედერასტიაზე, ხოლო აშშ-ში ობამას პრეზიდენტობისას ეს თემა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა.**

საინტერესოა, რომ სოდომიტები შეეცადნენ, ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. მაგალითად, მსოფლიოში უდიდესმა ლგბტ-ორგანიზაცია GLAAD-მა განაცხადა, რომ, ამ კვლევის შედეგების მიხედვით, სექსუალური ორიენტაცია „საკაცობრიო გამოცდილების ნორმალური ნაწილია... რომ გეობა და ლესბოსელობა ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელია". ამას ამბობს GLAAD-ის პროგრამის დირექტორი **ᲖᲘᲙ ᲡᲢᲝᲣᲙᲡᲘ.**

ე.ი. მან აღიარა, რომ **ლგბტ-ადამიანები დასავლეთში საზოგადოებრივი ნორმაა, ანუ ამიერიდან დასავლეთში მცხოვრებმა სხვა ადამიანებმა უნდა დაამტკიცონ, რომ გაუკუღმართებულთა ფონზე ისინი ნორმალური ორიენტაციისანი არიან.**



# ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ

**კანონპროექტი ითვალისწინებს ბავშვების გამრყვნელთა ქიმიურ კასტრაციასა და პედოფილების რეესტრის შედგენას. „კორესპონდენტის" ცნობით, უკრაინის ლიდერმა იგი უმაღლეს რადაში დააბრუნა.**

შეგახსენებთ, რომ პედოფილებს უკრაინაში ემუქრება ქიმიური კასტრაცია 14 წლამდე ბავშვების გაუპატიურების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სექსუალური ურთიერთობა ორივე მხარის თანხმობით მოხდა თუ დაძალებით.

პედოფილები ძალდატანებით შინაგანად მიიღებენ ანტიანდროგენულ პრეპარატებს, რომლებიც ამცირებს ლიბიდოს. ასეთი სანქციები გათვალისწინებულია 18-დან 65 წლამდე პირებისთვის, დამნაშავე ციხეში ხუთი წლით ჩაჯდება.

ამას გარდა, გათვალისწინებულია იმ პირების საჯარო რეესტრის შექმნა, რომლებსაც დაუმტკიცდებათ აღნიშნული დანაშაული.

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ძიძგილაობა მმართველი პარტიის გამარჯვებით დასრულდება, რაც იცის ივანიშვილმა და ამიტომ იტანს ყოველდღიურ ტალახს, რომელსაც ოპოზიცია ესვრის. რა გაეწყობა — დემოკრატია ითხოვს ამას. ასე რომ, ჩვენ, საზოგადოება, უნიჭოდ დადგმული სპექტაკლის გულუბრყვილო მაყურებელი, რაღაც იმედით აღვსილი, უკეთესი ცხოვრების მომლოდინე, ნერვებს ვასკდებით, — ღმერთმა არ ქნას, კრიმინალმა ნაცებმა არჩევნებში გაიმარჯვონო.**

# გვქონდეს განახლებული მთავრობის იმედი?

**განახლებული მთავრობა მუშაობას შეუდგა. მას მოუწევს 2020 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. მოარული ხმების მიხედვით, ივანიშვილმა მისთვის სანდო ადამიანებით გააძლიერა ძალოვანთა რგოლი, რომელიც პრემიერმინისტრთან ერთად შეეცდება არჩევნების ისე ჩატარებას, რომ მმართველი პარტია კვლავ დარჩეს ხელისუფლების სათავეში. სწორედ ეს ამოცანა დაუსახა „ოცნების“ ლიდერმა ივანიშვილმა თავის პარტიას. ვერ ვიტყვი, რომ ამოცანა ძნელი და შეუსრულებელია, მით უმეტეს არცთუ დემოკრატიულ საქართველოში, სადაც მმართველი პარტიის ადმინისტრაციული რესურსი უკიდეგანოა.**



**რუსეთთან დიალოგი, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გაგებით, ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული გავლენის აღდგენას, რომელიც მიუღებელია დასავლეთისთვის. ხელისუფლება კი, ნაცვლად იმისა, იფიქროს, ჩვენთვის რა არის მისაღები, იმაზე ფიქრობს, როგორ არ აწყენინოს აშშ-სა და ევროპას. ხალხის სურვილი — რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება — მთავრობას არ ანაღვლებს**

პოლიტიკურ ველზე კოაბიტაციის შედეგად დატოვებულმა „ნაცმოძრაობამ“ — კრიმინალურმა, დამნაშავე ორგანიზაციამ, ყველაფერი იღონა, პოლიტიკურ სივრცეში რომ ეტივტივა და ოპოზიციისთვის განკუთვნილი მეორე ადგილი მყარად დაემკვიდრებინა.

ამ პარტიის დამნაშავე წევრებსა და ლიდერებს (აქ მხედველობაში მყავს „ნაცმოძრაობის“ თანამგზავრი „ევროპული საქართველოც“) ჩადენილი ურიცხვი დანაშაულისთვის არათუ ციხეში ისტუმრებენ, არამედ გამუდმებით უთმობენ ტელეეთერს „ოცნებისა“ და ივანიშვილის სალანძღავად, ხალხისთვის ნერვების მოსაშლელად, მათ მიერ დაჩაგრულ-გაუბედურებული ადამიანებისა და მათი ოჯახების წევრების გულის გასახეთქად.

**„ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ძიძგილაობა მმართველი პარტიის გამარჯვებით დასრულდება, რაც იცის ივანიშვილმა და ამიტომ იტანს ყოველდღიურ ტალახს, რომელსაც ოპოზიცია ესვრის. რა გაეწყობა — დემოკრატია ითხოვს ამას. ასე რომ, ჩვენ, საზოგადოება, უნიჭოდ დადგმული სპექტაკლის გულუბრყვილო მაყურებელი, რაღაც იმედით აღვსილი, უკეთესი ცხოვრების მომლოდინე, ნერვებს ვასკდებით, — ღმერთმა არ ქნას, კრიმინალმა ნაცებმა არჩევნებში გაიმარჯვონო.**

არა, ბატონებო! ეს კოაბიტაციური სპექტაკლი ნიჭიერი რეჟისორის, ივანიშვილის, მიერ არის დადგმული, თანაც „სტრატეგიული პარტნიორის“ ავტორიტეტულ კომისიასთან შეთანხმებული. ის, რაც აქ ხდება, სცენარის მიხედვით ვითარდება. ასე რომ არ იყოს, ვინ აყვირებდა ტელეეკრანებიდან ვინმე **გვარამიას** ან **გაბუნიას,** თანაც დედ-მამის გინებით?! გვარამიასა და გაბუნიას აღვირახსნილი და ამაზრზენი საქციელი სისხლის სამართლის საქმეა, მაგრამ არავინ იყენებს ამ თავხედების წინააღმდეგ.

ვინც უნდა გამოიყენოს, ანუ ხელისუფლებამ, დუმს. მეტიც, სხვა დანაშაულების შეფარდების საქმეშიც ფეხს ითრევს, ზოზინებს. ამასობაში გვარამიამ სხვა ტელევიზია გახსნა და ახლა იქიდან (ტელევიზიიდან) მოედინება ლანძღვის ნიაღვარი. რა აზრი ჰქონდა „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას, თუ იქ მომუშავე ჟურნალისტების ნაკრები, გვარამიას თამადობით, მეორე „რუსთავი 2“-ს გახსნიდა?!

გადახვეწილი კეზერაშვილიც ხსნის ახალ ტელევიზიას და მერე ნახავთ, რა შეხმატკბილებულ დუეტს მოუსმენს საქართველოს მოსახლეობა ამ ორ ტელევიზიაში შეფარებული „რუსთავი 2“-ელი ავი ჟურნალისტების შესრულებით.

**კრიმინალი, ინტერპოლით ძებნილი ტელევიზიას რომ გაგიხსნის და აქ ამუშავებული ბიზნესით ჯიბეს გაისქელებს, ასეთ სახელმწიფოს, უფრო მართებული იქნება, ვთქვათ, ხელისუფლებას, რა ჰქვია? იქნებ თქვენ, პატივცემულო მკითხველო, მოუძებნოთ სახელი?**

მე კი ასეთ სახელმწიფოს უნიათოს, უუნაროს, უხერხემლოს, უპრინციპოს, არაკომპეტენტურს დავარქმევდი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, პარტიის წევრები პირდაბჩენილი, უსუსური შოშიებივით შეჰყურებენ ივანიშვილს, ნაცვლად იმისა, რომ მკაცრად იმოქმედონ. იმედი მაქვს თანამოაზრეთა გუნდის წევრების — **გახარიას, გომელაურისა და ღარიბაშვილის.** განა როდის, თუ არა დღეს, უნდა შეძლონ ისეთი საქმის კეთება, ქვეყანას რომ წაადგება.

გახარიას პირს შაქარი პარლამენტში ნაცებისთვის ნათქვამი სიტყვების გამო: „მე თქვენ დაგასრულებთ!“. 8 წელიწადია, ხალხი ელოდება ნაცების დასრულებას და, თუ გახარია ამას მოახერხებს, გმირად აღიარებენ. მაგრამ შეძლებს? ამ შემთხვევაში ხალხი ისე ფიქრობს, როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი **ირმა ინაშვილი,** ტელეეკრანიდან რომ ბრძანა: არ მჯერა გახარიას ნათქვამისო.

ხალხს, არა მხოლოდ გახარიას დაქადნებისა არ სჯერა, არამედ „ოცნების“ მიერ გაცემული მთელი რიგი დაპირებების. თითქმის 8 წელიწადი გავიდა იმ საარაკო დაპირებებიდან, მაგრამ ბევრი არაფერი გაკეთებულა. ვერ გავიზიარებ ხელისუფლების მეხოტბე ჟურნალისტებისა და ექსპერტების განცხადებებს, რომ ხელისუფლებას პიარი არ უვარგა, თორემ ბევრს აკეთებსო.

ჩემი აზრი თქვენსას ემთხვევა, პატივცემულო მკითხველო — გაკეთებულ საქმეს პიარი არ სჭირდება, მას ისედაც დაინახავს ხალხი. აი, გაუკეთებელზე რომ გაჰყვირიან **თალაკვაძე, მდინარაძე** და სხვები, გავაკეთეთ, მაგრამ თქვენ დაუნახავები ხართ და ვერ ამჩნევთო, ეს აგიჟებს ხალხს. ამას წინათ საეთერო გამოსვლისას ისიც კი იკადრეს — ხომ გამოგიგზავნეთ სტუდიაში საქართველოში გახსნილი საწარმოების სიაო?! როგორც ჩანს, წვრილი ბიზნესმენის მიერ გახსნილ ერთი კაცის საწარმოსაც თავიანთ აქტივში ითვლიან. ვურჩევ, თავის ქებას შეეშვან, ვინაიდან ეს იწვევს ხალხის გაბოროტებას. ადამიანები პირდაპირ ამბობენ — ჯერ ხომ გადაგვრიეს, ახლა გვაბრმავებენო.

„ოცნების“ მიერ 2012 წელს გაცემული დაპირებებიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე. ეს დაპირება ჰაერიდან არ მოსულა — ხალხის სურვილი იყო, ვინაიდან მეზობელთან შექმნილმა მძიმე ურთიერთობამ, უპირველესად, მის ჯიბეზე იქონია ნეგატიური გავლენა.

განვლილი 8 წლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მიმართულებით კარგი იყო ე.წ. აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რომელიც უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ სრულფასოვანი კავშირისთვის ცოტაა. აბაშიძე-კარასინის ფორმატი არ ითვალისწინებს პოლიტიკური ურთიერთობების აღორძინებას. არადა, მათ მიერ გაკეთებული საქმის წარმატებით გაგრძელებასა და უფრო მაღალ დონეზე აყვანას, პოლიტიკური ნება სჭირდება. არის კი ამისთვის მზად ჩვენი ხელისუფლება? ჩემი აზრით, არა.

**გახარიამ პარლამენტში გამოსვლისას თქვა: აბაშიძე-კარასინის ფორმატი ჯერ არ ამოწურულაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ აპირებს 2012 წელს გაცემული მთავარი დაპირების შესრულებას და გააგრძელებს იმ გზას, რომელსაც 8 წლის განმავლობაში მიჰყვებოდა.**

რუსეთთან ურთიერთობის „დალაგება“ (ივანიშვილის ტერმინი) მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენა-განვითარება კი არ არის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უმთავრესი საკითხიცაა და მისი მოგვარება შეუძლებელია მოსკოვთან პოლიტიკური დიალოგის დაწყების გარეშე.

როგორც ჩანს, **საქართველოს ხელისუფლებას დასავლელი პარტნიორების ეშინია. ისინი ხომ პირდაპირი დიალოგის წინააღმდეგნი არიან, რის შესახებაც გვითხრეს კიდეც მაკეინის ინსტიტუტის მიერ ახლახან გამართულ კონფერენციაზე სასტუმრო „რუმსში“.**

ამერიკელმა ექსპერტმა **დევიდ კრამერმა** პირდაპირ თქვა: რუსეთთან მოლაპარაკებას არ გვირჩევთ, ვინაიდან უშედეგო იქნებაო. დაახლოებით იგივე ბრძანა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფოგ რასმუსენმა,** მაგრამ, ამასთანავე, ნატოში ჩვენი გაწევრების ახალი ვარიანტი შემოგვთავაზა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე. მკითხველს შევახსენებ, რომ, ნატოს წესდებიდან გამომდინარე, ამ ალიანსის წევრი ვერ გახდება ქვეყანა, რომელსაც მეზობელთან დაუდგენილი საზღვრები და კონფლიქტური დამოკიდებულება აქვს.

**საქართველოს მიღება ნატოში დღევანდელ პირობებში ნიშნავს საქართველოს პრობლემების ნატოს პრობლემებად გადაქცევას, რაც ნატოსთვის მიუღებელია, მით უმეტეს, თუ მას შეიძლება მოჰყვეს სამხედრო კონფლიქტი ისეთ ბირთვულ სახელმწიფოსთან, როგორიც რუსეთია.** რასმუსენმა შემოგვთავაზა ასეთი ვარიანტი — ნატოს წესდების მე-5 პუნქტი იმოქმედებს ნატოში შესული საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ოფიციალური თბილისის იურისდიქცია ვრცელდება, და არ იმოქმედებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რაც უბრალო ენაზე ნიშნავს შემდეგს: ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიგიღებთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე. ამ წინადადებას უმალ დათანხმდებოდა საქართველოს მოღალატე „ნაცური“ ხელისუფლება, მაგრამ „ოცნებური“ ვერ გადადგამს ამ ნაბიჯს ხალხის შიშით. ეს იცის რასმუსენმა და ამიტომაც ბურთი ჩვენს მოედანზე ჩამოაწოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შემოგთავაზეთ და ჯერი თქვენზეაო... რა არის ეს, თუ არა აბუჩად აგდება?

დასავლეთს სურს, ნატოსა და ევროკავშირის კართან დაგვაბას, შიგნით არ შეგვიშვას, დაპირებებით გამოგვკვებოს, — ოდესმე შეგიშვებთო და არც რუსეთისკენ გაგვახედოს.

**რუსეთთან დიალოგი, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გაგებით, ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული გავლენის აღდგენას, რაც მიუღებელია დასავლეთისთვის. ხელისუფლება კი, ნაცვლად იმისა, იფიქროს, ჩვენთვის რა არის მისაღები, იმაზე ფიქრობს, როგორ არ აწყენინოს აშშ-სა და ევროპას. ხალხის სურვილი — რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება — მთავრობას არ ანაღვლებს.**

საპარლამენტო არჩევნებამდე 1 წელი დარჩა. ამ მოკლე პერიოდში შეუძლებელია საქვეყნო საქმის კეთებაც და უხვად გაცემული დაპირების შესრულებაც, თანაც არჩევნების წინ „ოცნებისთვის“ სასურველი ნიადაგის მომზადებაც.

პირველი ორის შესრულების იმედი არ მაქვს, მაგრამ მესამეს „ოცნება“ უდავოდ შეასრულებს, ვინაიდან თავის გადარჩენის ინსტინქტი ამუშავდება მტკიცედ, თანამიმდევრულად, მიზანმიმართულად.

**ომარ მარგველაშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი,"ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი

**P.S. ნუთუ მერიაში ერთი გამოცდილი, პროფესიონალი მშენებელი არ ჰყავთ? ეს ხომ ტრაგედიაა?! ნუთუ არც სამუშაოების წარმოების გრაფიკი აქვთ და არც მშენებლობის ორგანიზების პროექტები? განა შეიძლება მთელი ქალაქის ასე უთავბოლოდ გადათხრა და სატრანსპორტო მოძრაობის პარალიზება? იტანჯებიან მოქალაქეები, მძღოლები, ორჯერ და სამჯერ მეტი დრო სჭირდებათ დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად. ვერ უზრუნველყვეს სადღეღამისო მუშაობა. მექანიზმები და მუშახელი სანახევროდ ცდება არაორგანიზებულობის გამო. სამუშაოების წარმოების თანმიმდევრობასაც არ იცავენ, ვერც დისტრიბუციას და ნაგვის გატანას (არასამუშაო საათებში) ვერ უზრუნველყოფენ.**

**„სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი ისტორიული კანონია“.**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

კაცის უქმობა, ულონობა, უშრომელობა, უუნარობა, სხვისი მოიმედება სხვისით ცხოვრებაა და საშინელი სენიაო, — ამას უკიჟინებდა სულმნათი ილია თანამედროვეებს, ეს პრობლემა გვიდევს დღესაც ხელის გულზე. ჩვენც ზუსტად ისე „დაგვიკრეფია გულხელი და არაფერში ვერევით“, როგორც ილიას ეპოქაში ყოფილა საზოგადოება, მაგრამ ისიც არის: „ერთი ჰკითხე იმ საზოგადოობის გულცივობაზედ განათლებულს მოჩივარს, თავის სიცოცხლეში უთქომ რამე იმისთანა და იმ რიგად, რომ გაგება შეიძლებოდეს?“
აი ეს არის სწორედ საკითხავი.
და სანამ საზოგადოების თვითშეგნების დონე არ ამაღლდება, სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ თითოეული პრობლემა არა კონკრეტული ადამიანების, არამედ მთლიანად საზოგადოებისა და ქვეყნის პრობლემაა, კვლავ განუვითარებელი დარჩება ქვეყანაცა და საზოგადოებაც.
მოვუსმინოთ ერის მამას:

# «გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ»



**„იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა“**

## ულონო ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა

* **„იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა.** ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმანის საგანთა მისახწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება. სხვისით ცხოვრებენო, მართალია. ეგ არის ცხადი საბუთი იმათის ულონობისა, შეუძლებლობისა. ჩემი კანონია: ულონო შეიბრალე და ნუ განკიცხავ“ *(„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. 1861-1863 წ.).*

* „ჩვენში მეტად გაძლიერდა ის აზრი, რომ ცალკე მეცადინეობით, თვითოეულად, ცალკე ულლის წევით კაცი ვერაფერს გახდება. საქმე თავს ვერ მოდის და დაწყებისავე უმალ ულონობა მარტოობისა, ცალკე გამრჯელობისა, პირველ შემთხვევაშივე აუწყებს ხოლმე საქმის დამწყებსა, რომ მის განზრახულს საგანს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს“ *(„ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

* „დიდი საქმეა, რომ ამ მართალმა აზრმა ფეხი აიდგა ჩვენში, და თუმცა ჯერ-აქამომდე ამ ფეხად ადგომილს აზრს ბევრი არ უმოქმედნია, მაგრამ სადაც-კი საქმეს ბურჯად მისცემია, საფუძვლად დასდებია, ყველგან გამარჯვებულა და იმედი გაუმართლებია. აიღეთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი ბანკები, საცა მარტო შეერთებულმა ღონემ გაატანინა ქართველობას მოედნიდამ მძიმე ბურთი საქმისა და დღეს უფულო ქართველობა ამოქმედებს ჩვენში მათის მეოხებით ცამეტს-თოთხმეტს მილიონს ფულსა“ *(„ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

## სხვისი მოიმედება სათაკილოა, სხვაზე მინდობა – ქვიშაზე აშენებული შენობა

* „სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი ისტორიული კანონია. იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არმოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვიტიროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს “ჟამთა სვლა” ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება“ *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

* „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“ *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

* „გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დანდობა, სხვის მაყურებლობა. ჩვენ თითონ მივეშველოთ ჩვენს თავს: რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია; მივცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავაწყოთ და რიგიანად წარვმართოთ“ *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

* **„სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მათხოვარაა, და გლახა-მათხოვარობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე — არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს“** *(„თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

„გლახა, მათხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულ-შემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული ულონდება, უკვდება და ბოლოს ისე გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავისთავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ ულონო, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს, და ეს ულონობა, დაუძლურება — კდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

„არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარეთ, ხელფეხ-გაუნძრევლად, გაურჯელად — სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო”. *(“თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1886 წ. 8 აპრილი).*

“ამისთანა საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირიქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. წუთი-სოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი“. *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

„კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მათხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი“. *(„ქალთა სასწავლებელი“. 1889 წ. 6 მარტი).*

„აქ ნაგრძნობია და ჰო-უარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი — გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვიღუპებითო, — ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 3 დეკემბერი).*

„ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ“ *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

„ეს ფილოქსერა სახუმარი საქმე არ არის და არც ხანდასაყოვნებელია. ვენახის პატრონებმაც ხელი უნდა გამოიღონ ამ საქმისათვის, და რაც შეიძლება მალე, თორემ მერე გვიანღა იქნება, მერე ვეღარას ვუშველით, და ის საქმე დაგვემართება, რაც საფრანგეთს მოუვიდა, საცა ასი-ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გადაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა. თუ მდაბიო ხალხი ვერ მიმხვდარა, — რა უბედურება უდგა კარწინ ფილოქსერის სახით, ჩვენი თავად-აზნაურობა მაინც რატომ თავს არ იჩენს, რატომ არ მოქმედობს? განა მეტი იქნება, რომ ჩვენმა მარშლებმა ამისათვის თავი გამოიდონ, შეჰყარონ თავ-თავისი თავად-აზნაურობა, მოიწვიონ მცოდნე კაცები და რაიმე წამალი დასდოს ამ ჭირსა, რომელიც გვიქადის ვენახებისაგან ხელცარიელი დაგვსვას?“ *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

„თუ ადგილის კაცნი ამ გზით მხარდამხარ არ მიჰყვებიან მთავრობას, მარტო მთავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს-რა“ *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

„დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის“ *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

„სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა, და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით“ *(„საახალწლოდ“, 1898 წ. 31 დეკემბერი).*

**„ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთს ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც;** იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო, რომ **ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში.** იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე — ქონებითი და გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის“ („ვისს ნათესსა ვმკით?“ 1879 წ. 31 დეკემბერი).

მწარე რეალობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედებს მკერდიდან საბრალო შვილებს, ჰკრავდნენ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“

„ცოდვამ მოგვიცვა,
ნათელსა გარს მოეხვია ბნელია“.
*დავით გურამიშვილი*

# ტყვეთა სყიდვა — ერის ტოტალური დაცემა

**ქართველი ხალხის ისტორიაში ყველაზე დიდი სირცხვილი და ღვთისრისხვა, ბედისწერის დაცინვა — ეს იყო ტყვეთა სყიდვა. იტაცებდნენ ქალსაც და კაცსაც, ყრმასაც და ხნიერსაც, აზნაურსაც და უაზნოსაც... ყველაზე ძვირად ფასობდნენ ახალგაზრდები — ლამაზი, მშვენიერი, გონიერი და ღონიერი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ასული უმშვენიერეს სამკაულად უნდა მოვლენოდა სულთანთა და ხონთქართა სერალებსა თუ ჰარამხანებს. იგი უნდა ყოფილიყო მუსლიმანი მბრძანებლის ხასა, გამართლების შემთხვევაში — თანამეცხედრე. ოჯახზე გადამკვდარ ქართველ ქალს თურქი შვილები უნდა გაეჩინა და საქართველოს სამტროდ აღეზარდა ისინი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ბიჭები, შემდგომ უბადლო ვაჟკაცები ისლამის უმამაცესი და უერთგულესი მეომრები ხდებოდნენ: თურქეთში — იანიჩარები, ეგვიპტეში — მამელუქები.**



იტაცებდნენ ყველგან — გზაში, ყანაში, სამწყემსურში, წყაროზე, წისქვილში, სამლოცველოში, სახლში მიხდომით; იტაცებდნენ ოსმალონი, ლეკნი და თვითონ ქართველნიც.

ამ მეორედ მოსვლაში მეფეებისა და დიდებულების ერთადერთი საზრუნავი, გარკვეული გამონაკლისის გარდა, იყო ტახტის, გავლენისა თუ ქონების შენარჩუნება. ამ მიზნით ისინი ჯერ მოყვრდებოდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ ერთმანეთს — მამა-შვილი, სიძე-სიმამრი, ბიძა-ძმისშვილი... მათ შორის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა შური, ეჭვი, ქიშპი, უნდობლობა, მტრობა და სისხლისღვრა.

არც გალატაკებული მოსახლეობა არ აკლებდა ხელს და ადვილად იშორებდა თავიდან ოჯახის წევრს — ხელის აუკანკალებლად ჰყიდდა შვილს, დედას, დას, რათა აღებული გასამრჯელოთი თავისი სიღატაკისთვის კბილი მოეტეხა, მაგრამ ეს თავის მოტყუება იყო მხოლოდ.

ეს გახლდათ ტოტალური, საუკუნოვანი დაცემა. ეს იყო სამარცხვინო პერიოდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომლებსაც დღეს იგნორირებას ვუკეთებთ და მტერსა თუ მოყვარეს მხოლოდ თავმოსაწონებელ ამბებს შევახსენებთ; ამაყად გავყვირით, რომ ჩვენ იმ ერის შთამომავალნი ვართ, რომელმაც მოახდინა დიდგორის ველზე „ძლევაი საკვირველი“, გადაიხადა კრწანისის თუ სხვა არაერთი გმირული ბრძოლა... ჰყავდა დიმიტრი თავდადებული, ბერი თევდორე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი... მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის „იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასა ურთიერთას...“ („ქართლის ცხოვრების გაგრძელება“).

ისევე, როგორც დღეს ხელისუფალნი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ურთიერთქიშპობით ღუპავენ საქართველოს.

რა არის ეს — ბედისწერის დაცინვა თუ ისევ და ისევ ქართული ხასიათი?

**რუბრიკის სტუმარია ისტორიკოსი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი ავთანდილ დიასამიძე.**

**— ბატონო ავთანდილ, დავიწყოთ ტყვეთა სყიდვით. რამდენ ხანს მძვინვარებდა საქართველოში ეს ბოროტება და რა საფრთხე შეუქმნა მან ქართველებს?**

— ტყვეთა და ყმათა სყიდვა ფეოდალური საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგი იყო. **ადამიანებით ვაჭრობა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას დიდ საფრთხეს უქმნიდა, უდიდესი ზიანი ადგებოდა საქართველოს მოსახლეობას და ქვეყნის ძლიერებას, რადგან ქართველთა საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ მიედინებოდა უცხოეთში და სამშობლოს სამუდამოდ ეკარგებოდა.**

**„არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვიდობიანმა“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას“,** — სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი **ნიკო ბერძენიშვილი.**

ეს მძიმე სენი — ადამიანებით ვაჭრობა მოიცავდა ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებს. საქართველოში ტყვეთა სყიდვა XVI-XIX საუკუნეებში მძვინვარებდა ოსმალეთ-ირანის მოძალეობითა და ქართველ ფეოდალთა ხელშეწყობით.

საქართველო მთელი სამი საუკუნის (XVI-XIX) განმავლობაში ორი დიდი დამპყრობელი სახელმწიფოს — ოსმალეთისა და ირანის საცილო ობიექტი იყო და ისინი მის დასაპყრობ-დასამორჩილებლად ფართოდ იყენებდნენ ძალადობის ყველა ფორმას: ბრძოლას, ადგილობრივი მოსახლეობის წარტყვევნასა და გადასახლებას, ტყვეთა სყიდვას, „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებას. ადამიანებით ვაჭრობისათვის სტამბოლში, ახალციხეში, ტრაპიზონსა და სხვაგან სპეციალური ბაზრობები ჰქონდათ მოწყობილი.

XVII-XIX საუკუნეებში უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს ლეკიანობამ. დაღესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები მოსვენებას არ აძლევდნენ განსაკუთრებით კახელებს. ტყვეები მიჰყავდათ იმ მიზნით, რომ ან პატრონს, ოჯახის წევრებს გამოესყიდათ, ან ბაზარზე გაეყიდათ. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს ისინი ყირიმის, ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზრებზე ჰყიდდნენ. ლეკიანობის მსხვერპლი არაერთი ქართველი გამხდარა, მათ შორის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილიც 1729 წლის ზაფხულში.

**ეს გახლდათ ტოტალური, საუკუნოვანი დაცემა. ეს იყო სამარცხვინო პერიოდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომლებსაც დღეს იგნორირებას ვუკეთებთ და მტერსა თუ მოყვარეს მხოლოდ თავმოსაწონებელ ამბებს შევახსენებთ; ამაყად გავყვირით, რომ ჩვენ იმ ერის შთამომავალნი ვართ, რომელმაც მოახდინა დიდგორის ველზე «ძლევაი საკვირველი», გადაიხადა კრწანისის თუ სხვა არაერთი გმირული ბრძოლა... ჰყავდა დიმიტრი თავდადებული, ბერი თევდორე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი... მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის «იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასა ურთიერთას...» («ქართლის ცხოვრების გაგრძელება»). ისევე, როგორც დღეს ხელისუფალნი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ურთიერთქიშპობით ღუპავენ საქართველოს**

**— როგორც ცნობილია, სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ქართველი ტყვეები ძვირად ფასობდნენ... რატომ?**

— ქართველი ქალის სილამაზე და მომხიბვლელობა იმ პერიოდში კარგად იყო ცნობილი, ამიტომ ისინი ჰარამხანების საუკეთესო „სამკაულებს“ წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, იგი არამხოლოდ მუსლიმანი მბრძანებლის ხასა უნდა ყოფილიყო, არამედ, გამართლების შემთხვევაში, მისი თანამეცხედრე-მეუღლე. ოჯახზე გადამკვდარ ქართველ ქალს თურქი შვილები უნდა გაეჩინა და საქართველოს სამტროდ აღეზარდა ისინი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ბიჭები კი, შემდგომ უბადლო ვაჟკაცები, ისლამის უმამაცესი და უერთგულესი მეომრები ხდებოდნენ. თურქეთში ესენი იყვნენ იანიჩარები, ეგვიპტეში — მამელუქები.

**— ნათქვამია, ხემ თქვა: ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდა, ხის ტარი რომ არ ჰქონოდაო. თანამემამულეთა მოტაცებასა და გაყიდვაში არანაკლებ დაუნდობლები ყოფილან თვითონ ქართველები, რას ამბობს ამაზე ისტორიული წყაროები?**

— **ჟან შარდენს** აღწერილი აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: 1672 წლის სექტემბერში მისი ყოფნა სამეგრელოში დამთხვევია ოსმალთა ერთ-ერთ შემოჭრასა და თარეშს. მას თავი შეუფარებია ერთი აზნაურის ციხესიმაგრისთვის. „ეს აზნაური არ ჩანდა ისეთი გაიძვერა აზნაური, როგორც სხვები“, — წერს შარდენი. 30 სექტემბერს ამ აზნაურთან თურქი სამხედრო მოხელე გამოცხადებულა და მოუთხოვია, მორჩილების ნიშნად ფაშას ხლებოდა. ეს აზნაური, სახელად **საბახტარი**, ეახლა თურმე ფაშას და თან 4 ტყვე მიართვა საჩუქრად. ფაშამ მას მოსთხოვა ერთგულების ფიცი, დამატებით ერთი შვილის მძევლად მიცემა და ქალ-ვაჟი ძღვნად. საბახტარი დათანხმებულა, ფაშასთვის ძღვნად ორივე სქესის 10 ახალგაზრდა, 300 ეკიუს ვერცხლი ან აბრეშუმი მიერთმია... ეს ხარკი მან შეკრიბა ყველასგან, ვინც მასთან იყო თავშეფარებული. ყველა ოჯახიდან, რომლებსაც 4 ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას მიჰყავდა. „ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედებს მკერდიდან საბრალო შვილებს, ჰკრავდნენ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“, — აღნიშნავს შარდენი. ასეთი ფაქტი უამრავი იყო.

სამეგრელოს მთავარი დადიანი ხონთქარს ხარკს, გარდა ტილოს გარკვეული რაოდენობისა, ადამიანებითაც უხდიდა: 30-100 კაცამდე ყოველწლიურად.

**— უცხოელი მოგზაურები სამარცხვინო ფაქტებს აღწერენ თავიანთ ჩანაწერებში, თუ როგორ იმეტებდნენ გასაყიდად ულარიბესი ადამიანები ოჯახის წევრებსაც კი...**

— როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება-გადმოცემით და ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებით დგინდება, ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში თავადაზნაურებისათვის. მათ განუზომელი უფლებები ჰქონდათ — თავიანთ ქვეშევრდომებს, განსაკუთრებით ყმებს, როგორც უნდოდათ, ისე ეპყრობოდნენ — ჰყიდდნენ, როგორც უბრალო ნივთს. თითოეულის ფასი იყო 25 ან 30 რომაული სკუდი. ვინც მეტს გადაიხდიდა, იმას მიჰყიდდნენ — ოსმალოს, ბერძენს, ევროპელს თუ სხვას. 1640 წლის 20 სექტემბერს რომში გაგზავნილ წერილში **იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე წერდა: „ამ თვეში სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში გადის თურქთა გემები, დატვირთული აქაური საქონლით და განსაკუთრებით, სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში თურქებზე გაყიდული ქრისტიანი ყმაწვილებით, ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არანაკლებ ორი ათასს აღწევს“.**

სამწუხაროდ, 1810-12 წლებში ადამიანებით ვაჭრობის ეს მძიმე სენი ცალკეულ ოჯახებშიც შეჭრილა. **მამები პურის ნატეხისთვის მონად ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათ გამოცლილ ძუძუმწოვარ ბავშვებს. იყო შემთხვევები, როცა მშობლები შვილებს ჰყიდდნენ, შვილები კი — მშობლებს,** ამის თაობაზე გერმანელი განმანათლებელი და მოაზროვნე **ი. ჰერდერი** სამართლიანად წერდა: „მძიმე იყო ქრისტიანული საქართველოს ბედი და ისტორიული ყოფა. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები — ლამაზები, მამაკაცები — გულადნი და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები — ცოლებს, თავადები — ყმებს, მორწმუნენი — მღვდლებს“.

**— თქვენი აზრით, რამდენად სარწმუნოა ეს წყაროები?**

— შეიძლება ერთ ან ორ წყაროს არ ენდოს კაცი, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში ბევრი მოიპოვება. ასე რომ, მათ სანდოობაში ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ფაქტია, რომ ადამიანებით ვაჭრობა, ტყვის სყიდვა ფეოდალური საქართველოს საშინელი დაცემის ნიშანი იყო და ხელს უწყობდა ქვეყნის დაუძლურება-დასუსტებას.

**— თუ იყო მცდელობები ამ ყველაფრის აღსაკვეთად და ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც ადამიანთა ვაჭრობას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ?**

**რამდენად შედეგიანი იყო ეს ბრძოლა?**

— ადამიანებით ვაჭრობით, მოსახლეობის საუკეთესო ნაწილის ქვეყნიდან გაყვანით ზიანდებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მომავალი, ქვეყანას ხელიდან ეცლებოდა მწარმოებელი და მებრძოლი ძალა. ამიტომ ამ მძიმე სენის აღსაკვეთად, უპირველესად, საჭირო იყო სამეფო კარის პრინციპული მოქმედება.

**— ყველაზე დიდი ძალისხმევა ვინ გამოიჩინა?**

— ამ მხრივ აღსანიშნავია სოლომონ I-ის, ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ღვაწლი. როგორც ისტორიული წყაროები, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერება ცხადყოფს, რომ ტყვეთა სყიდვის დაუნდობელ მებრძოლად მოგვევლინა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი (1752-1784). მან თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. სოლომონ მეფემ, როგორც კი გარდაიცვალა მამამისი,

მწვანე ჩვალობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „სამეგრელოს მთავარი დადიანი ხონთქარს ხარკს, გარდა ტილოს გარკვეული რაოდენობისა, ადამიანებითაც უხდიდა: 30-100 კაცამდე ყოველწლიურად“.


ერეკლე II


სოლომონ I


სოლომონ II

## ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძოდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798). იმერეთის მეფეები სოლომონ I და სოლომონ II (1789-1810), მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი და სარფიანი ყოფილა მოღალატე თავადაზნაურებისათვის, რომ მეფეთა მუქარამ მათ ამ ჩვევაზე ხელი ვერ აალებინა

ქართველი ტყვეების თურქებისათვის მიყიდვა ყველა თავის ქვეშევრდომს მკაცრი ჯარიმითა და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა, — აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ ჩანაწერში (1761 წ.).

ვახტანგ ერეკლე მეორეს ძე ბატონიშვილი წერდა: **„სოლომონმა სძლია სერასკერსა ხონთქრისასა, აგრეთვე, ლეკთა დიდთა მხედრობათა შთასრულსა იმერეთად... განყარნა მუნ მყოფნი თურქნი, აღმოკვეთა კნინღა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ე.ი. კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბორეტესი ე.ი. ტყვის სყიდვა დროსა თავისსა სრულიად უჩინო ჰყო“.**

თვით სოლომონ მეფეც მიუთითებდა, რომ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლამ მართლაც გამოიღო გარკვეული შედეგი. 1769 წლის 23 ივნისის თარიღით რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი აღნიშნავდა: „ხვანთქრის სერასკირებსა და ფაშებს ჩემგან მრავალგზის ტყვის ხარჯვა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვქონებია ძლიერიო. თექვსმეტი წელი სრულ იქნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში ჩემი ხალხის გაუსყიდველობისათვის ვიჭირვი და ვეშურებიო“. ხალხიც დიდი მეფის ამ ღვაწლს ხედავდა და თვით მეფეს ათქმევინებდა:

**„ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო,**
**გლეხი ვასუქე, ვადიდე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო“.**

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძოდა ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II** (1762-1798). სწორედ ერეკლეს მიერ მოსახლეობის მატებისათვის გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა დასახელდეს ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს განახლებული ყმათა უმამულოდ გაყიდვისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა (1772 წ.). მეფემ პირდაპირ მოუწოდა თანამემამულეებს, რომ ადგილზე გაენადგურებინათ ყველა, ვინც მათი ცოლისა და შვილის დატყვევებას განიზრახავდა. მანვე მიღო ქმედითი ზომები ომებში ტყვედ ჩავარდნილთა თუ უცხოეთში ღალატით გაყიდულთა დასაბრუნებლად. თვითონ ათი ათასამდე ტყვე დაიხსნა, რაც 400 000 მანეთი დაუჯდა. ერეკლე მეფე პირადად ხელმძღვანელობდა არაერთ ბრძოლას ლეკების განუწყვეტელი თავდასხმების აღსაკვეთად... ტყვეებით ვაჭრობის აღსაკვეთად მედგრად იღვწოდა იმერეთის მეფე **სოლომონ II**-ც (1789-1810), მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი და სარფიანი ყოფილა მოღალატე თავადაზნაურებისათვის, რომ მეფის მუქარამ მათ ამ ჩვევაზე ხელი ვერ აალებინა.

**— ადამიანებით ვაჭრობა ეს დიდი ცოდვა იყო. თქვენ ბრძანეთ, რომ მორწმუნენი მღვდლებსაც კი ჰყიდდნენო. რა ღონისძიებებს მიმართავდა საქართველოს ეკლესია ამ სამარცხვინო ქმედების აღსაკვეთად?**

— ამ საშინელი ცოდვისა და ბოროტების შემყურე, ცხადია, ეკლესია ვერ იქნებოდა გულხელდაკრეფილი. მითუმეტეს, რომ ეს პროცესი ქრისტიანობის დასუსტებისკენ იყო მიმართული და მართული ოსმალეთისა და სპარსეთისაგან. „წარმოდგენაც კი ძნელია, — წერს **დონ ჯუსტი პრატო**, — რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინეპოლელი თურქების სიხარბე ყმაწვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეში ვერავინ ბედავს, გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც მას მიჰყვება საკუთარი მამა, მცირე მოწყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით,



## «მამები პურის ნატეხისთვის მონად ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათ-გამოცლილ თავიანთ ძუძუმწოვარ ბავშვებს. იყო შემთხვევები, როცა მშობლები შვილებს ჰყიდდნენ, შვილები კი — მშობლებს»

რომ აიძულონ ისინი, უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მეტად სძულთ.“

ოსმალებსა და სპარსელებს საქართველოდან ტყვეთა და ყმათა გაყიდვა, უპირველესად, ქრისტიანობისა და ქართველობის გასანადგურებლად უნდოდათ.

ამიტომაც იყო, რომ წმინდა ეკლესიას ამ უსაშინლესი ცოდვის აღმოსაფხვრელად თავიდანვე განგაში აუტეხავს. XVI საუკუნის შუა წლებში (1543-1549) შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც საგანგებოდ უმსჯელია კაცის სყიდვის თაობაზე და, სჯულის კანონის შესაბამისად, შემდეგი განჩინება გამოუტანია:

„1. ქ. რამან კაცმან გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმინდათა კრებულითაგან შეჩვენებული იყოს და განხდილი“ *(ქართული სამართლის ძეგლები, I ,1963 წ. გვ.393).*

დასავლეთ საქართველოში დამღუპველი სენის — ტყვეთა სყიდვის გახშირების გამო 1759 წლის 4-5 დეკემბერს მეფე სოლომონ I-ის ინიციატივით გაიმართა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც ტყვის გამყიდველნი შეაჩვენა. ტყვეთა გამოსასყიდად სოლიდური თანხა საქართველოს ეკლესიამაც გაიღო. რა თქმა უნდა, ეკლესიის ძალისხმევით ტყვეთა და ყმებით ვაჭრობა რამდენადმე შემცირდა, თუმცა მძლავრად მოდებული ეს მძიმე სენი სრულად ვერ აღიკვეთა.

**— საბოლოოდ რამ იხსნა საქართველო ამ ე.წ. ჭირისგან?**

— ისტორიულ წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ **ამ სამარცხვინო და ქართველი ერის გამანადგურებელ სენს, თავადაზნაურთა თავნებობას, ოსმალთა და ირანელთა პარპაშს საბოლოოდ წერტილი დაუსვა რუსეთის ხელისუფლებამ. ამ მრავალსაუკუნოვანი პრობლემის მოსაგვარებლად რუსეთს საკმაოდ მასშტაბური და პრინციპული ღონისძიებების გატარება დასჭირდა.**

რუსეთის საიმპერატორო კარის, კერძოდ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ძალისხმევით, 1801 წელს თურქეთისაგან გამოხსნილი და დაბრუნებული იქნენ თურქეთში წარტყვევნილი ქართველები. 1804 წლის 16 ივნისს რუსეთის წარმომადგენელმა სამეგრელოში — ლიტვინოვმა გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ ბრძანებით ლიტვინოვი აცხადებდა, რომ ტყვეთა გამყიდველები დაისჯებიან რუსეთის კანონთა მიხედვით, ე.ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად სიკვდილით დასჯითო.

1809 წელს გენერალმა **ორბელიანმა** სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრების დახმარებით ფოთი აიღო. საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი პეტერბურგში გრაფ რუმიანცევს სწერდა: „ფოთის აღებით აღიკვეთა ყოველგვარი ბოროტებანი, რომლებიც აქამდე არსებობდნენ ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით, რომელთა წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან და რომელნიც მიჰყავდათ ირანს, თურქეთსა და ეგვიპტეშიო“. პოლკოვნიკი ბებუთოვი 1819 წელს მოითხოვდა, რომ „სამურზაყანოში სწრაფად იქნას შეყვანილი რუსთა ჯარი, რასაც შეუძლია დაბადოს შიში და შექმნას მყუდროება, რის შედეგადაც დასჯის მოშიშარნი ხელს აიღებდნენ ტყვეებით ვაჭრობაზე და ყაჩაღობა-მტაცებლობაზე“. 1846 წელს გურიაში გამოავლინეს დამნაშავეთა ორგანიზებული ბანდა, რომელიც სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან ერთად საქართველოდან გოგო-ბიჭებს იტაცებდა და თურქეთში ჰყიდდა. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის 18 კაცი დაუსჯიათ.

1847 წელს გატარდა ღონისძიებანი სამურზაყანოში ტყვეებით მოვაჭრეთა ლიკვიდაციისათვის. ანალოგიური ღონისძიებანი გაატარეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც. 1850-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში ლეკიანობას ბოლო მოეღო. ბატონყმობის გადავარდნის (1864 წ.) შემდგომ, განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1870-იანი წლების ბოლოსთვის, ფაქტობრივად, დასრულდა საქართველოში ტყვეთა და ყმათა სყიდვა, რაშიც განუზომელი იყო რუსეთის როლი.

**— ბატონო ავთანდილ, სამწუხაროდ, დღესაც ბეწვის ხიდზე გვიწევს გავლა ქართველებს — აშკარა საფრთხე ექმნება ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ზემონათქვამიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, ყველა ის უბედურება, რომლებიც თავს ატყდება ხოლმე ჩვენს ერს, შეიძლება ქართულ ხასიათს დავაბრალოთ?**

— დღევანდელობასთან პარალელს თუ გავავლებთ, იქნება ეს ლგბტ-თა პროპაგანდა, მარიხუანის ლეგალიზება და სხვა მანკიერებანი, ეს ყველაფერი აშკარა საფრთხეს უქმნის ქართველ ერს, ქართულ გენს. ამას ემატება სიდუხჭირის გამო ქართველთა მიგრაცია, რასაც ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, თორემ დარჩება საქართველო ქართველების გარეშე.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ „იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასაო“, დღესაც ასეა: ვაიპოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსასვლელად ბრძოლის გზაზე ანადგურებენ ყველაფერს — ერისთვის ღირებულსა და ფასეულს, მოქმედებენ უცხოელთა კარნახით და მათ გულის მოსაგებად სამშობლოს ყიდიან. ასე რომ, პარალელს თუ გავავლებთ, განსხვავების პოვნა გაგვიჭირდება. გამოდის, რომ დღეს ბევრი გვყავს არა სამასი არაგველისა და მისნაირთა შთამომავალი, არამედ შადიმანებისა და მამულის სხვა გამყიდველთა გენის მატარებელი.

ესაუბრა
**დარეჯან ანდრიაძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უიუნის მლაშობი — ეს არის ამომშრალი მარილიანი ტბა ალტიპლანოს ველზე ბოლივიაში. მდებარეობს ქალაქ უიუნისთან, ზღვის დონიდან 3650 მ სიმაღლეზე და მსოფლიოში ყველაზე დიდი მლაშობია. მისი ფართობი 10582 კვ კმ-ია. წვიმის სეზონზე მლაშობი წყლის თხელი ფენით იფარება და მსოფლიოში ყველაზე დიდ სარკისებრ ზედაპირს ქმნის. სპეციალისტების შეფასებით, უიუნის მლაშობში 10 მლნ ტონა მარილია.



# 10 საოცარი გეოლოგიური წარმონაქმნი დედამიწაზე

ბუნება პლანეტის საუკეთესო მშენებელი და მხატვარია. ის ქმნის ობიექტებს, რომლებითაც ადამიანები აღტაცებული არიან. ბუნების მიერ შექმნილი ძეგლები მაშინ არის თვალწარმტაცი, როცა საქმეში ერთვება დედამიწის ძალა, კლიმატი და დრო. სწორედ ისინი მილიონობით წლის განმავლობაში ქმნის გასაოცარ გეოლოგიურ წარმონაქმნებს.



## კარი ჯოჯოხეთში (თურქმენეთი)

1971 წელს საბჭოელმა გეოლოგებმა ბუნებრივი აირის საბადოს ძებნაში დედამიწა ისე გაბურღეს, რომ მიწა ჩავარდა და გაიხსნა... „ჯოჯოხეთის კარი", რომელიც ცეცხლს აფრქვევს, უკვე 48 წელიწადია. ახლომახლო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მეთანს რომ არ მოეწამლა, გეოლოგებმა მას ცეცხლი წაუკიდეს, ეგონათ, მალე დაიწვებოდა, მაგრამ დღესაც კი არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ აირი ამოიწურება.

დარვაზა — ბუნებრივი აირის კრატერი — თურქმენეთის დაშოღუზის ველაიეთში მდებარეობს. კრატერის დიამეტრი დაახლოებით 60 მ-ია, სიღრმე — 20 მ.



## მთა რორაიამა (ბრაზილია)

რორაიამა ნამდვილი გეოლოგიური საოცრებაა: მას სპეციალისტები ტეპუის (ბრტყელ მთას) ეძახიან. რორაიამა ერთ-ერთი ძველი გეოლოგიური წარმონაქმნია დედამიწაზე. ექსპერტთა შეფასებით, ის დაახლოებით 2 მლრდ წლისაა, მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიისა და ვენესუელის საზღვარზე.



## თეთრი უდაბნო (ეგვიპტე)

თეთრი უდაბნო — ეს არის უდაბნო საჰარის ნაწილი ზომით 10კმ X 30კმ-ზე. მდებარეობს ქალაქ ფარაფრასთან 45 კმ-ში. ეს ადგილი ცნობილია კრემისფერ-თეთრი ფერით და კირქვის უცნაური წარმონაქმნებით. ოდესღაც აქ ოკეანის ფსკერი იყო და თეთრი წარმონაქმნები ზღვის მიკროორგანიზმების ნეშტებია. ქვიშიანმა ქარიშხლებმა ეს კირქვის მთები უცხო პლანეტის პეიზაჟად აქცია.





## ეშმაკის კოშკი (ვაიომინგი, აშშ)

ეს ვულკანური წარმოშობის მონოლითი აშშ-ის „უძველეს მონუმენტად" ითვლება. ეშმაკის მთა დაახლოებით 200 მლნ წლის წინათ წარმოიქმნა მიწის სიღრმიდან ამოსული მაგმისგან და გაცივების შემდეგ ასეთი ფორმა მიიღო.



## დიდი ლურჯი ნახვრეტი (ბელიზი)

დიდი ლურჯი ნახვრეტი გიგანტური ღრმულია ბელიზის ნაპირთან. ის წარმოიქმნა დინებების ზემოქმედებით კირქვის დაშლის შედეგად, რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. მყვინთავები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩადიან ბელიზში, რათა დატკბნენ ბუნების ამ გასაოცარი ქმნილებით.



## კრისტალების გამოქვაბული (მექსიკა)

კრისტალების გამოქვაბული მექსიკის ქალაქ ნაიკაში 300 მ სიღრმეზე მდებარეობს. გამოქვაბული განთქმულია სელენიტის უზარმაზარი კრისტალებით, მათგან ყველაზე დიდი სიგრძით 11 მ-ია, სიგანით — 4 მ და 55 ტონას იწონის. გამოქვაბულში ტემპერატურა ყოველთვის +58 გრადუსი ცელსიუსა, ტენიანობა კი თითქმის 90%-ს აღწევს. ამის გამო გამოქვაბულის გამოკვლევა ძალიან რთულია. სპეციალური აღჭურვილობითაც კი ადამიანს იქ ყოფნა მხოლოდ 20 წუთით შეუძლია.





## პამუკალე (თურქეთი)

პამუკალე ბუნებრივი ტრავერტინის გასაოცარი გამოვლინებაა. ტრავერტინი — ეს არის ტიპი კირქვისა, რომელიც ილექება ცხელ წყაროებში. პამუკალე 1988 წელს იუნესკომ მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეტანა.



## შოკოლადის ბორცვები (ფილიპინები)

შოკოლადის ბორცვები — ეს არის გეოლოგიური წარმონაქმნი ფილიპინების პროვინცია ბოხოლში 50 კვ კმ-ის ფართობზე. იქ, სულ ცოტა, 1260 ასეთი ბორცვია. მშრალ სეზონში ბორცვებზე ბალახის მწვანე ფერი მოყავისფრო-შოკოლადისფრად იცვლება. აქედან მოდის სახელწოდებაც.



## უიუნის მლაშობი (ბოლივია)

უიუნის მლაშობი — ეს არის ამომშრალი მარილიანი ტბა ალტიპლანოს ველზე ბოლივიაში. მდებარეობს ქალაქ უიუნისთან, ზღვის დონიდან 3650 მ სიმაღლეზე და მსოფლიოში ყველაზე დიდი მლაშობია — მისი ფართობი 10582 კვ კმ-ია. წვიმის სეზონზე მლაშობი წყლის თხელი ფენით იფარება და მსოფლიოში ყველაზე დიდ სარკისებრ ზედაპირს ქმნის. სპეციალისტების შეფასებით, უიუნის მლაშობში 10 მლნ ტონა მარილია.

## ბაბელე (რუმინეთი)

ბაბელე (რუმინულად ნიშნავს „ბებერ ქალს") — ასე ეძახიან სოკოს მსგავს კლდოვან წარმონაქმნებს ცენტრალურ რუმინეთში, ბუჩეჯის მთიან მასივში. ეს რუმინეთის ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

**როცა ბოლო ლივერპულელმა დატოვა მოედანი და გასახდელისკენ ხელაწეული და ტაშისცემით გაემართა, სტადიონზე მოსული 90 ათასი კაცი და მათთან ერთად სრულიად საქართველო ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობდა. მინდორზე კი ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ ქართველი ფეხბურთელები, რომლებმაც მეტოქე ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამარჯვება, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა

# 1979 წლის 3 ოქტომბერს თბილისის «დინამომ» «ლივერპული» გაანადგურა

**40 წლის წინათ, 1979 წლის 3 ოქტომბერს, თბილისის „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა ბრწყინვალე გამარჯვება მსოფლიოში იმხანად (ახლაც — 2018-2019 წლების სეზონშიც) უძლიერეს კლუბ „ლივერპულზე“, რომელიც 1977-1978 წლების ჩემპიონთა თასის (ახლანდელი ჩემპიონთა ლიგის) გამარჯვებული იყო.**




როცა 1979-1980 წლების ჩემპიონთა თასის კენჭისყრისას მეთექვსმეტედფინალში „ლივერპულს“ თბილისის „დინამო“ ერგო მეტოქედ, ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა და ბრიტანული პრესა სიხარულს ვერ მალავდა. „ძალიან კმაყოფილები ვართ წილისყრით, თბილისის „დინამო“ შეგვხვდა“, — წერდა იმჟამინდელი ბრიტანული პრესა და, როდესაც „ლივერპულმა“ პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი 19 სექტემბერს შინ, „ეფილდზე“ 2:1 მოიგო (30-ე წუთზე ჯონსონმა გახსნა ანგარიში, 37-ე წუთზე ჩივაძემ გაათანაბრა, ხოლო 45 წუთზე გამარჯვების გოლი კეისმა გაიტანა), ბევრს ეგონა, რომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ინგლისელები კოშმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ 3 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქში ასე განადგურდებოდნენ.

1979 წლის 3 ოქტომბერს, წვიმიან დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე (იმხანად ლენინის სახელობის) 90 ათასი მაყურებლის წინაშე გუნდები ასეთი შემადგენლობით წარდგნენ:

**თბილისის „დინამო“: ოთარ გაბელია, გოჩა მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი ჭილაია, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია.**

**სათადარიგოები: დავით გოგია, ფირუზ კანთელაძე, დავით მუჯირი, რევაზ ჩელებაძე, ნუგზარ კაკილაშვილი.**

**მთ. მწვრთნელი — ნოდარ ახალკაცი.**

**ლივერპულის „ლივერპული“: რეი კლემენსი, ფილ ნილი, კოლინ ირვინი, ფილ ტომპსონი, რეი კენედი, ალან ჰანსენი, კენი დალგლიში, ჯიმი კეისი (დევიდ ფეირკლაფი 77 წთ), დევით ჯონსონი, ტერი მაკდერმოტი, გარემ სუნესი.**

**სათადარიგოები: სტივენ ორგიზოვიჩი, ავი კოენი, ფრენკ მაკჰარვი, სტივენ ჰეიეკეი.**

**მთ. მწვრთნელი — ბობ პეისლი.**

**მსაჯები: ჰაინც ალდინგერი (მთ), ჰორსტ იორი, ანტონ ულმი (ყველა — გფრ).**

ალსანიშნავია, რომ „ლივერპულის“ შემადგენლობაში 6 ფეხბურთელი (კლემენსი, ნილი, ტომპსონი, ჯონსონი, მაკდერმიტი და კენედი) ინგლისის ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყო, ხოლო 3 (ჰანსენი, სუნესი, დალგლიში) — შოტლანდიისა.



ყიფიანი, გაბელია, ჩივაძე






მანუჩარ მაჩაიძე

შეიძლება ითქვას, რომ იმჟამინდელი „ლივერპული“ დიდი ბრიტანეთის ნაკრები იყო.

**გოლები: გუცაევი (55); შენგელია (75), ჩივაძე (81, პენალტით).**

1979 წლის 3 ოქტომბერს მატჩი იყო ის, რისთვისაც ეთაყვანებოდნენ ქართველი (და არა მხოლოდ) გულშემატკივრები თბილისის „დინამოს“.

აი როგორ იხსენებს ერთერთი მონაწილე **ოთარ გაბელია** ამ დაუვიწყარ მატჩს გაზეთ „ლელოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„...თბილისური მატჩის დღეს კოკისპირულად წვიმდა. წვიმა ძალიან უყვართ ბრიტანელებს, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჩვენი დიდი გამარჯვება სწორედ იმ დღეს გამოიჭედა... რა გვითხრა თამაშის წინ ნოდარ ახალკაცმა? — ერთადერთი, რაზეც ამახვილებდა ყურადღებას, იყო ის, რომ შეხვედრის განმავლობაში, როგორც უნდა ყოფილიყო ანგარიში, ყურადღება არ მოგვედუნებინა, წამითაც არ დაგვეკარგა კონცენტრაცია. რამ განაპირობა ეს მოგება? რა თქმა უნდა, ჩვენ სწორად ვითამაშეთ და დავჯაბნეთ ეს მართლაც დიდი გუნდი, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდებოდა, რომ არა გულშემატკივარი. ასეთი ქომაგობა მე არ მინახავს... „ლივერპული“ რაღაც მომენტში დაიბნა. მათ კონცენტრაცია აღარ ეყოთ მეორე ტაიმში. ჯერ ვოვა გუცაევმა გახსნა ანგარიში, მერე რამაზ შენგელიამ დაამატა, წერტილი კი საშა ჩივაძემ დასვა თერთმეტმეტრიანით. წარმოიდგინეთ, ხალხი ტრიბუნების კიბეზე იჯდა და, აბა, რა უფლება გვქონდა, წაგვეგო?!

გოლების გარდა, ალბათ, ყველას ახსოვს გიორგი ჭიკაძის შესანიშნავი გარღვევა, რომელიც ასევე შემორჩება ფეხბურთის ისტორიას. ჩვენ ვხედავდით ინგლისელთა თვალებს. მათ დიდ გაოცებას — თითქოს ვერც წარმოედგინათ, რა მოხდა“.

იმ დღეს თბილისელებმა ყველა დროის საუკეთესო „ლივერპული“ გაანადგურეს. მთავარი მხოლოდ ანგარიში როდი იყო, დინამოელებმა გულშემატკივარი მოხიბლეს მძლავრი და მაღალტექნიკური თამაშით და მეტოქეს გამარჯვების შანსი არ დაუტოვეს.

როცა ბოლო ლივერპულელმა დატოვა მოედანი და გასახდელისკენ ხელაწეული და ტაშისცემით გაემართა, სტადიონზე მოსული 90 ათასი კაცი და მათთან ერთად სრულიად საქართველო ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობდა. მინდორზე კი ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ ქართველი ფეხბურთელები, რომლებმაც მეტოქე ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს.

აი რას წერდა ბრიტანული პრესა მატჩის შემდგომ:

**Dayli mirror**-ი: „ლივერპული“ გამარჯვებისთვის იბრძოდა, როგორც ჩემპიონს შეჰფერის, მაგრამ დამარცხდა უძლიერესთან...“

**Dayli Telegraph**-ი: „მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულელები მონდომებით ცდილობდნენ ქართველი ფეხბურთელების იერიშების შეჩერებას, ისინი იძულებული შეიქნენ, დაეთმოთ მეტოქისთვის, რომელიც მათ სჯობდა ტექნიკით...“

**Dayli Mail**-ი: „ლივერპული“ ცდილობდა, მისთვის ჩვეული სტილით ეთამაშა, მაგრამ იგი გაანადგურეს ფეხბურთელებმა, რომლებიც საუცხოოდ თამაშობდნენ, განსაკუთრებით — მეორე ტაიმში“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. 1981 წელს, როცა თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიგო, „ლივერპული“ ჩემპიონთა თასის გამარჯვებული იყო და ეს ორი გუნდი ერთმანეთს სუპერთასზე უნდა შეხვედროდა, მაგრამ „ლივერპულმა“ თამაშზე უარი განაცხადა...**





# დასავლეთის ქვეყნების დიდი დელეგაცია ყირიმში ჩავიდა

**29 სექტემბერს დასავლეთის ქვეყნების დიდი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან აშშ-ისა და გერმანიის წარმომადგენლები, ყირიმს ეწვია.**

დელეგაციის შემადგენლობაშია 22 ადამიანი ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, აშშ-დან და გერმანიიდან. ვიზიტის მიზანია კავშირების განმტკიცება სახალხო დიპლომატიის ხაზით. დელეგაცია ყირიმში 6 ოქტომბრამდე დარჩება.

ვიზიტის ჩარჩოებში გაიმართება პრეზენტაცია საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნორვეგიის სახალხო დიპლომატების" ხელმძღვანელის, მხარის პარლამენტის დეპუტატის — **ჰენდრიკ ვებერის** წიგნისა „ჩვენი ყირიმი".

ვებერის თქმით, ვიზიტის ოფიციალური ნაწილი დაიწყება სევასტოპოლის მონახულებით, შემდეგ კი გაიმართება საჯარო ღონისძიებები სიმფეროპოლში. სტუმრები გეგმავენ, ეწვიონ ვ. ვერნადსკის სახელობის ყირიმის ფედერალურ უნივერსიტეტსა და ბავშვთა საერთაშორისო ცენტრ „არტეკს". დაგეგმილია შეხვედრა ყირიმის პარლამენტში, აგრეთვე, ევპატორიისა და იალტის მონახულება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# ავსტრიის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში სებასტიან კურცის პარტია ლიდერობს

**ავსტრიის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი კანცლერის, — სებასტიან კურცის პარტია ლიდერობს. წინასწარი ინფორმაციით, ავსტრიის სახალხო პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 37,7% მიიღო.** მეორე ადგილზეა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ხმების 22,1% მოიპოვა; მესამეზე — ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტია ხმების 16%-ით; მეოთხე ადგილი „მწვანეებმა" დაიკავეს. მათ მხარი ამომრჩეველთა 14%-მა დაუჭირა.

# აშშ-ის სპეცწარმომადგენელი უკრაინაში — კურტ ვოლკერი თანამდებობიდან გადადგა

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინაში — კურტ ვოლკერმა განცხადება დაწერა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.**



აღსანიშნავია, რომ ვოლკერმა განცხადება გადადგომაზე მას შემდეგ დაწერა, როცა გამოქვეყნდა ერთ-ერთი მხვერავის საჩივარი **დონალდ ტრამპის** მიმართ. მზვერავი ამტკიცებს, რომ თეთრი სახლის მეთაური ზემოქმედებას ცდილობდა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკიზე, სატელეფონო საუბრის შემდეგ კი რამდენიმე კაცი (მათ შორის — კურტ ვოლკერი) მოსალაპარაკებლად ჩავიდა კიევში.

სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენლის გადადგომაზე ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკული დიპლომატიის მეთაური **მაიკ პომპეო** სასამართლოში გამოიძახეს უკრაინასთან მოლაპარაკებების დოკუმენტებით, სავარაუდოდ, დაკითხავენ ვოლკერსაც.

სკანდალი აგორდა იმ ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვით ტრამპი თითქოს ცდილობდა, აეძულებინა ზელენსკი, გამოძიება დაეწყო ყოფილი ვიცეპრეზიდენტის — **ჯო ბაიდენის** ვაჟის წინააღმდეგ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 70 წლისაა: სი ძინპინმა მაო ძედუნის მავზოლეუმი მოინახულა



**პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია.** ჩსრ-ს თავმჯდომარე **სი ძინპინმა** ჩინეთის რევოლუციის ლიდერ **მაო ძედუნის** მავზოლეუმი მოინახულა, მოგვიანებით კი ტიანანმენის მოედანზე სახალხო გმირების ძეგლი ყვავილების გვირგვინით შეამკო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დღე ყოველწლიურად 1 ოქტომბერს აღინიშნება. ქვეყანაში იმართება საზეიმო დემონსტრაციები მილიონობით ადამიანის მონაწილეობით.

მიმდინარე წელს პეკინში ჩატარდება სამხედრო მიღებაც.

# ტუნბერგის მოთხოვნების შესრულება დაანგრევს გერმანიის ეკონომიკას



**შვედი მოსწავლე გრეტა ტუნბერგი — ეს არის კარგად მომზადებული პროექტი, რომელსაც იყენებენ ბევრი ქვეყნის „მწვანეები", მათ შორის, გერმანია.**

**„იდეოლოგიურმა პოზიციამ, რომელსაც წარმოგვიდგენს აქტივისტი გოგონა, შეიძლება დაღუპოს გერმანიის ეკონომიკა. ყველა ეს პოსტულატი — $CO_2$-ის შემცირება და სხვა, თითიდან არის გამოწოვილი. თუ ეს პოსტულატები შესრულდება, სრულიად განადგურდება გერმანიის ეკონომიკა: მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და ყველა დანარჩენი სფერო",** — განაცხადა ბუნდესტაგის დეპუტატმა (პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის"), საერთაშორისო საკითხების კომიტეტის წევრმა **ვალდემარ გერდტმა.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# როგორი იქნება 10 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები

**1 ოქტომბრიდან მიმოქცევაში გამოვიდა 10 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ახალი მოდიფიკაციის 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში წინა წლების გამოშვების იმავე ნომინალის ბანკნოტების პარალელურად იქნება.**

აღსანიშნავია, რომ ამით ლარის განახლების პროცესი დასრულდა. განახლებული ბანკნოტების ოჯახის ბოლო წევრი 10-ლარიანია.

განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება დაიწყო ეტაპობრივად: 2016 წლის 1 თებერვლიდან მიმოქცევაში გავიდა 20 და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტები; შემდეგ, 2016 წლის 1 ნოემბრიდან — 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები, ხოლო 5 ლარის ნომინალის ბანკნოტები — 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

**განახლებული ბანკნოტების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სპეციალურ ვებგვერდს — www.ganakhlebulilari.ge.**




საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი



www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894